

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგია

შინაარსი

შესავალი	3
1. დემოგრაფია და შრომის ბაზარი	7
2. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები	12
3. ტურიზმი	29
4. სოფლის მეურნეობა	37
5. მშენებლობა	47
6. მრეწველობა	52
7. ინფრასტრუქტურა	56
8. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა	70
9. განათლება, კულტურა და სპორტი	77
დასკვნები	86
დანართი	89

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგია. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში დღემდე არ არსებობს რეგიონული განვითარების სტრატეგიის სტანდარტული მოდელი. აქედან გამომდინარე ეს დოკუმენტი საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მომდევნო წლების განმავლობაში. სასურველია სტრატეგიის შემდგომი განვითარება 4 ძირითადი მიმართულებით: სივრცითი, ეკონომიკური, საინვესტიციო და ინსტიტუციონალური.

სტრატეგია ასრულებს მნიშვნელოვან როლს რეგიონის განვითარების ეფექტურ მართვაში:

- შთამაგონებელი – მიუთითებს განვითარების ძირითად მიმართულებებს;
- პროგრამული – წარმოადგენს საფუძველს რეგიონული პროგრამებისა და პროექტების შემუშავებისათვის, სხვა პროგრამული დოკუმენტების შემუშავებისათვის;
- ამსახველი – უზრუნველყოფს რეგიონში ეკონომიკური, სოციალური და სხვა მიმდინარე პროცესების პერიოდულ შეფასებას.

დოკუმენტი მოამზადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტმა. სტრატეგიის შემუშავების დროს იყო გამოყენებული ინფორმაცია შემდეგი წყაროებიდან:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;
- ქ. ბათუმის მერია;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- მსოფლიო ბანკი;
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- შპს „ბათუმის ოილ ტერმინალი“;
- შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“;

- შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“;
- ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი;
- შპს „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა“;
- შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“,
- სს „ენერგო-პრო ჯორჯია“,

აჭარის რეგიონული განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი მომზადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 25 დეკემბრის #107 განკარგულების „2010-2014 წლების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე.

სტრატეგიის დოკუმენტი შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის თითქმის ყველა დარგს, რაც განაპირობებს დოკუმენტის სტრუქტურას.

ყოველი თავი წარმოდგენილია სამი ნაწილით: 1) არსებული მდგომარეობის აღწერა, 2) სვოთ ანალიზი (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) და 3) სტრატეგიული მიმართულებები.

ქვემოთ მოყვანილია ძირითადი მიზნები, რომლებიც იყო გათვალისწინებული სტრატეგიის მომზადების დროს:

1. აჭარაში სიღარიბის დაძლევა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის ყველა საჭირო პირობის უზრუნველყოფა;
2. აჭარის ადამიანური რესურსების კონკურენტუნარიანობის ზრდა;
3. აჭარაში ეკონომიკური და ინოვაციური აქტიურობის ზრდა;
4. აჭარის ეკონომიკის მაქსიმალური კონკურენტუნარიანობისა და სტაბილურობის მიღწევა;
5. აჭარის კულტურული და ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნება და გაუმჯობესება მომავალი თაობებისათვის;
6. აჭარის ბუნებრივი რესურსების ეფექტური მართვა;
7. აჭარაში სივრცითი წესრიგის ჩამოყალიბება და შენარჩუნება;
8. აჭარის საქართველოს ეკონომიკაში და მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გაღრმავება, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

აჭარის რეგიონული განვითარების პრიორიტეტები:

1-ლი პრიორიტეტი

აჭარის ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერება

მიზანი 1.1. განახლებადი ენერგეტიკის განვითარება (და შემდგომში ელექტროენერგიის ექსპორტი) – მცირე ჰიდროელექტროსადგურები, ქარის და მზის ენერგიის გამოყენება;

მიზანი 1.2. გზების მოდერნიზაცია. ბათუმში და ქობულეთში გზების რეაბილიტაცია, შემოვლითი ავტობანი, გზის რეაბილიტაცია ბათუმი-ახალციხეს მიმართულებით, სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, ტურისტული დანიშნულების გზები;

მიზანი 1.3. ადამიანური რესურსების კონკურენტუნარიანობის ამაღლება. განათლების სისტემის განვითარება, უცხო ენების შესწავლა;

მიზანი 1.4. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. ბიზნესინკუბატორების შექმნა. აჭარის განვითარების ფონდის შექმნა, რომელიც გასცემს საშეღავათო კრედიტებს, მოახდენს სუბსიდირებას და თანადაფინანსებას აჭარაში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის;

მიზანი 1.5. რეგიონული საინოვაციო სისტემის შექმნა. საინოვაციო ინვესტიციების წახალისება. ინოვაციური პროექტების განხორციელება;

მიზანი 1.6. ეკონომიკის ტრადიციული სექტორების მოდერნიზაცია;

მიზანი 1.7. რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესება. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა. საგადასახადო შეღავათების დაწესება;

მიზანი 1.8. სუსტად განვითარებული რაიონების მხარდაჭერა, მოწყობა და განვითარება. სოფლებში ცხოვრების დონის ამაღლება;

მიზანი 1.9. აჭარის მთავრობაში ინსტიტუციონალური რეფორმის ჩატარება. თვითმმართველობების როლის გაძლიერება. სახელმწიფო შემოსავლების განაწილების სისტემის სრულყოფა. ბათუმის მართვის სისტემის სრულყოფა;

მიზანი 1.10. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური მართვა.

მე-2 პრიორიტეტი

აჭარის როგორც უმაღლესი კლასის ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარება

მიზანი 2.1. ტურისტული ინფრასტრუქტურის დივერსიფიკაცია სხვადასხვა დონის ტურისტების მოსამსახურებლად;

მიზანი 2.2. ტურისტულ-საკურორტო რესურსებისა და გარემოს დაცვა. ნაპირის დაცვისა და განვითარების პროექტების განხორციელება. მაღალი კლასის პლაჟების მოწყობა. კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია და დაცვა;

მიზანი 2.3. ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა. ეკოტურიზმის, სოფლისა და აგროტურიზმის განვითარება. “მარინების” მშენებლობა. უინდ-სერფინგისა და იახტინგის განვითარება. სათხილამურო კურორტების განვითარება;

მიზანი 2.4. სანატორიებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა. თერმული და მინერალური წყლების წყაროებთან და სხვა ადგილებზე საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. სამედიცინო ტურიზმის განვითარება;

მიზანი 2.5. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, აჭარის ხელმისაწვდომობის ზრდა. ახალი ავიაკავშირების დამყარება. ბათუმის პორტის მოდერნიზაცია;

მიზანი 2.6. ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლება. დასვენების უსაფრთხო და მიმზიდველი პირობების შექმნა;

მიზანი 2.7. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება. სტადიონი, სპორტის სასახლე, საციგურაო სასახლე, სხვა.

მე-3 პრიორიტეტი

აჭარის მეტროპოლიტანური ზონების (ბათუმის და ქობულეთის) განვითარება

მიზანი 3.1. ბათუმში და ქობულეთში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. გზების, შუქნიშნების, გადასასვლელების, ეკოლოგიურად უსაფრთხო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. საპარკინგო ადგილების რაოდენობის ზრდა;

მიზანი 3.2. ტაქსის და სხვა სატრანსპორტო მომსახურების მოწესრიგება. გასაქირავებელი ტრანსპორტის მომსახურების უზრუნველყოფა;

მიზანი 3.3. კომუნალური მომსახურების სისტემების მოდერნიზაცია. სრული გაზიფიკაცია. ენერგიის დაზოგვის ტექნოლოგიების დანერგვა. ძველი ნაგავსაყრელების დახურვა და ახალი ტექნოლოგიის ნაგავსაყრელის შექმნა;

მიზანი 3.4. სუპერმარკეტების და სავაჭრო ცენტრების განვითარების ხელშეწყობა;

მიზანი 3.5. პარკებისა, ატრაქციონების, მუზეუმებისა და კულტურული ძეგლების დაცვა და განვითარება. ბულვარის შემდგომი განვითარება და ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლის გაუმჯობესება;

მიზანი 3.6. ძველი შენობების რეაბილიტაცია;

მიზანი 3.7. სივრცითი წესრიგის დაცვა და განვითარება;

მიზანი 3.8. სოციალურად დაუცველთათვის თავშესაფრების განვითარება;

მიზანი 3.9. ახალი მესამე მეტროპოლიტანური ზონის განვითარება.

თავი 1. დემოგრაფია და შრომის ბაზარი

2011 წლის პირველი იანვრისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 390,2 ათასს კაცს შეადგენდა. 2004 წელთან შედარებით აჭარის მოსახლეობა გაზრდილია 5,5%-ით (იხ. დანართი - დიაგრამა 1.1). 90-იან წლებში მოსახლეობის ზრდის ტემპის კლება მიგრაციით იყო გამოწვეული. საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ინფორმაციის თანახმად 90-იან წლებში აჭარიდან საზღვარგარეთ მუდმივად საცხოვრებლად წავიდა 50 ათასზე მეტი კაცი ანუ აჭარის მოსახლეობის 13%. განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის განსახლება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, ამასთან ადგილი ჰქონდა მიგრაციულ პროცესებს, რაც გამოწვეული იყო მაღალმთიანი რაიონებში ჭარბი მოსახლეობის არსებობით.

აჭარის მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ბათუმის მუნიციპალიტეტი - 32%, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი-24%, ქობულეთის მუნიციპალიტეტი - 24%, ქედის მუნიციპალიტეტი - 5%, შუახევის მუნიციპალიტეტი - 6%, ხულოს მუნიციპალიტეტი - 9% (იხ. დანართი - ცხრილები 1.1, 1.2. დიაგრამა 1.2).

საქართველოს მოსახლეობის ზრდის საერთო მაჩვენებელთან შედარებით აჭარის მოსახლეობის ზრდის ტემპი მაღალია. ამას განაპირობებს მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი დონე - მაღალი შობადობა და შედარებით დაბალი სიკვდილიანობა (იხ. დანართი - ცხრილი 1.3).

აჭარაში შედარებით დიდია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი. იგი შეადგენს საერთო რაოდენობის 65.4%-ს, საქართველოს მიხედვით ეს მაჩვენებელი 64.6%-ია. ამასთან აჭარის მოსახლეობა უფრო ახალგაზრდაა: აჭარაში შრომისუნარიან ასაკზე უფროსი მოსახლეობის საერთო რაოდენობის 10.6%, საქართველოს მიხედვით კი ეს მაჩვენებელი 16.5%-ს შეადგენს (იხ. დანართი - ცხრილები 1.4-1.9. დიაგრამა 1.3).

აჭარაში უმუშევრობის დონე 2010 წელს შეადგენდა 17,9%-ს. ეს მაჩვენებელი 1,6 პროცენტული ერთეულით აღემატება ქვეყნის მასშტაბით გაანგარიშებულ ანალოგიურ მაჩვენებელს (16,3%). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით აჭარაში 2010 წელს ეკონომიკურად აქტიური იყო 181,1 ათასი კაცი. მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე აჭარაში 64,7%-ია. აღნიშნული მაჩვენებელი უმნიშვნელოდ აღემატება ქვეყნის მასშტაბით გაანგარიშებულ ანალოგიურ მაჩვენებელს (64,2%). აჭარაში დასაქმებულთა რაოდენობა 2010 წლისათვის შეადგენდა 148,6 ათას კაცს. მათგან დაქირავებით მუშაობდა მხოლოდ 54,8 ათასი, მომუშავეთა საერთო რაოდენობის 36,9% (იხ. დანართი - ცხრილი 1.10). აჭარის არ ბიზნეს სექტორში 2010 წელს დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 31 847 კაცს. დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი მოდიოდა დამამუშავებელ მრეწველობაზე (18%), მშენებლობასა (18%) და ვაჭრობაზე (16%) (იხ. დანართი - ცხრილი 1.11, დიაგრამები 1.4, 1.5).

აჭარაში სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებობს სტრუქტურული (პროფესიების მიხედვით) და ხარისხობრივი (კვალიფიკაციის მიხედვით) დისბალანსი. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2008-2009 წლებში ჩატარებული შრომის ბაზრის რეგიონული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოვლინდა რიგი პროფესიები, რომლებიც დეფიციტურია აჭარაში. კვლევის შედეგად ასევე განისაზღვრა ის ძირითადი პროფესიები, რომლებზეც აჭარაში უახლოესი ერთი და 2-3 წლის განმავლობაში იქნება მოთხოვნა. აჭარაში პროფესიული განათლების

სისტემა არასაკმარისად არის ორიენტირებული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა არასათანადოდ არის განვითარებული (იხ. დანართი – ცხრილები 1.12-1.15).

აჭარის ა.რ. მთავრობის 2011 წლის 13 სექტემბრის #43 დადგენილებით შეიქმნა სსიპ აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტო, რომელიც იმყოფება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. სააგენტო დაკომპლექტდა ადამიანური რესურსით, აღიჭურვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ემსახურება სამუშაოს მაძიებლებსა და დამსაქმებლებს დასაქმების საკითხებში. ექვსივე მუნიციპალიტეტში შექმნილია დასაქმების სააგენტოს განყოფილებები. მათი ჩათვლით სააგენტოში დასაქმებულია 22 ადამიანი,

სსიპ აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტოს არსებობის ვადით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაეცა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შექმნილი და დაპატენტებული ელექტრონული მონაცემთა ბაზა .

2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მარტამდე რეგიონის მასშტაბით დარეგისტრირებულია 2233 სამუშაოს მაძიებელი და დასაქმდა დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების 18,9% (423 კაცი); მუდმივად შემოდის ახალი ვაკანსიები და ხდება სამუშაოს მაძიებლების უწყვეტი გადამისამართება შემოსულ ვაკანსიებზე.

2012 წლის აპრილიდან ჩაიშვება და სრული დატვირთვით ფუნქციონირებას დაიწყებს სააგენტოს ახალი ვებ-გვერდი, ასევე ამ პერიოდისათვის იგეგმება რეგიონის შრომის ბაზრის კვლევა, რომელსაც სააგენტო განახორციელებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ადამიანური რესურსების გამოყენებით.

აჭარის დემოგრაფიის და შრომის ბაზრის სვოთ ანალიზი

<u>ძლიერი მხარეები</u>	<u>სუსტი მხარეები</u>
1. ბუნებრივი მატების ხარჯზე მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი; 2. შრომისუნარიანი და შრომისუნარიანზე უმცროსი ასაკის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი; 3. სოფლად მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი; 4. სამუშაო ძალის სიიაფე; 5. შრომისმოყვარე მოსახლეობა; 6. დასახლებული პუნქტების ხელსაყრელი განლაგება.	1. მოსახლეობის მიგრაცია რეგიონიდან და ქვეყნიდან; 2. უმუშევრობის მაღალი დონე; 3. სიღარიბის მაღალი დონე; 4. მოსახლეობის სოციალური დაცვის დაბალი დონე; 5. დემოგრაფიული პროცესების მართვის დაბალი დონე; 6. სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსი; 7. უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის არასაკმარისი ორიენტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე; 8. სუსტად განვითარებული დასაქმების ინფრასტრუქტურა.
<u>შესაძლებლობები</u>	<u>საფრთხეები</u>
1. შრომის ბაზრის ძლიერი ინფრასტრუქტურის შექმნა; 2. განათლების სისტემის სრულყოფა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; 3. კვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადება სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, განათლების სისტემის და კერძო სექტორის მიერ; 4. უმუშევრობის დაძლევა კერძო ინვესტიციების ზრდის ხარჯზე; 5. უმუშევრობის დაძლევა მთავრობის ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯზე; 6. სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფა.	1. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და არახელსაყრელი საინვესტიციო გარემო; 2. გარე და შიდა მიგრაციის ფართო მასშტაბები; 3. სოციალური პრობლემების გამწვავება; 4. პოლიტიკური არასტაბილურობა.

სტრატეგიული მიმართულებები:

დასაქმების ინფრასტრუქტურის განვითარება:

1. საჭიროა მოხდეს მუნიციპალიტეტების დასაქმების ცენტრებზე ზედამხედველობა **სსიპ აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტო მხრიდან**, რომელიც 2011 წელს შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში.
2. საჭიროა შრომის ბაზრის სისტემატური კვლევა და **სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესახებ მონაცემთა ბაზის ფორმირება**.

განათლების სისტემის სრულყოფა

3. სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბალანსის დამყარების მიზნით საჭიროა **განათლების სისტემის ორიენტირება შრომის ბაზარზე**, რადგან აჭარაში არსებული ათი სახელობო პროფესიული ცენტრის მიერ მომზადებული კადრები ნაწილობრივ პასუხობს ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. დამსაქმებელთა უდიდეს ნაწილს პრობლემები აქვს კვალიფიციური მუშა-ხელის მოძიებისა და მოზიდვის სფეროში. საჭიროა, რომ მთავრობამ დაარეგულიროს არსებულ უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში (განსაკუთრებით პროფესიული სწავლების ცენტრებში) საჭირო პროფესიის მუშა-ხელის მომზადების საკითხი პროფესიული კადრების ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად;
4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ **აჭარის ეკონომიკის ყველაზე მსხვილ და პერსპექტიულ დარგებში სპეციალისტების მომზადებას** (სოფლის მეურნეობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, ტურიზმი, მშენებლობა, განახლებადი ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სხვა);
5. **ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებისათვის** საჭიროა შეიქმნას **პროფესიული სწავლების/გადამზადების ცენტრი** (თუ შესაძლებელია ორი ცენტრი), რომელიც ორიენტირებული იქნება ამ მუნიციპალიტეტების სპეციფიკაზე;
6. შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად უნდა შემუშავდეს **უმუშევართა პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამები**, რომელიც მისაწვდომელი იქნება ყველა ასაკის ადამიანებისათვის;
7. აჭარის და, თუ შესაძლებელია, საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა პროექტის განხორციელების დროს უნდა მოხერხდეს **ადგილობრივი კადრების და სტუდენტების წვრთნა პროექტის ფარგლებში**;
8. **სწავლების/გადამზადების ცენტრებთან** სასურველია შეიქმნას **კოოპერაციული საწარმოები**, სადაც სტუდენტები შეძლებენ სტაჟირებას ან მუშაობას (მაგალითად, მე-7 პუნქტის მიხედვით პროფესიული სწავლების ცენტრის შექმნის შემთხვევაში შეიძლება “კოოპერაციული სამზარეულოს” შექმნა, სადაც ადგილობრივი ფერმერები შეძლებენ ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავებას, კონსერვირებას და შემდგომ გაყიდვას, რაც ხელს შეუწყობს ფერმერების შემოსავლების ზრდას).

ახალი სამუშაო ადგილების შექმნა:

9. კერძო ინვესტიციების მოზიდვა, პრივატიზება და სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება წარმოადგენენ მთავარ პირობას რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის;
10. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. ბიზნეს ინკუბატორების შექმნა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მოხდება საშეღავათო კრედიტების გაცემა, სუბსიდირება და თანადაფინანსება აჭარაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის;
11. დღესდღეობით ეკონომიკური განვითარება და შესაბამისად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე. ამასთან დაკავშირებით აჭარის მთავრობამ უნდა ხელი შეუწყოს კომპიუტერიზაციის და ინტერნეტის მომსახურების დონის და მასშტაბების ზრდას რეგიონში.

სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფა:

12. სიღარიბის დამლევს მიზნით საჭიროა სიღარიბის მონიტორინგი თითოეული მუნიციპალიტეტის დონეზე და სოციალური მიზნობრივი პროგრამების შემუშავება;
13. საჭიროა მაღალმთიან აჭარაში სტიქიური უბედურების გამო უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებზე დახმარების პროგრამების განვითარება;
14. მთავრობამ უნდა ჩაატაროს მოსამზადებელი ღონისძიებები შემდგომში უმუშევრებისთვის შემწეობების დაწესების მიზნით ჯანსაღი სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბებისათვის;
15. სასურველია შეიქმნას “სოციალური” მაღაზიების ქსელი, რომლებშიც პენსიონერები და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანები შეძლებენ შეიძინონ პროდუქტები დაბალ ფასებში. ამისათვის საჭირო იქნება სპეციალური სოციალური ბარათების სისტემის შემოღება.

საზოგადოებაში პოზიტიური სოციალური გარემოს შექმნა:

16. სოციალური და საქველმოქმედო აქციების ჩატარება. მაგალითად, დახმარება მრავალშვილიან ოჯახებს, პენსიონერებს, მარტოხელა დედებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს და სხვა (ფულადი დახმარება, პროდუქტების უფასოდ დარიცხვა);
17. საზოგადოებაში პოზიტიური განწყობის შექმნის მიზნით სხვადასხვა სახალხო კულტურული ღონისძიებების ჩატარება (ზეიმები, ფესტივალები, გამოფენები, ბაზრობები და სხვა), ყველა მუნიციპალიტეტში.

თავი 2. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები

წყლის რესურსები და წყლის დაბინძურების წყაროები

2010 წლის მონაცემებით სასმელი წყლის მარაგის გამოყენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეადგენს 39 378 ათას მ³-ს. წყალალბამ მთლიანად შეადგინა 747 130 ათასი მ³, რომელთაგანაც:

- 668 907 ათასი მ³ აღებული იქნა ჰიდროენერგეტიკისათვის;
- 45 164 ათასი მ³ კომუნალური და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის;
- 25 184 ათასი მ³ სოფლის მეურნეობაში თევზის სატბორე მეურნეობისათვის;
- 962 ათასი მ³ აღებულ იქნა დამოუკიდებელი წყალმომხმარებელი საწარმოების მიერ (საწარმოო დანიშნულების);
- 6 913 ათასი მ³ სასოფლო წყალმომარაგებისათვის.

მთლიანად ბუნებრივი წყლის ობიექტებიდან აღებული წყლის რესურსების 98.7% ზედაპირულია, ხოლო 1.3% მიწისქვეშა.

რეგიონში მიწისქვეშა მტკნარი წყლების გამოყენების ძირითადი წყაროებია ჭოროხისა და კინტრიშის ფილტრატები, საიდანაც მიღებული ბუნებრივი რესურსი გამოიყენება ქალაქ ბათუმისა და ქობულეთის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების მიზნით. გარდა ამისა მიწისქვეშა მტკნარი წყლების გამოყენების წყაროებია რეგიონში დღეის მდგომარეობით მოქმედი 90 ჩასასობ მილიანი ჭაბურღილი, რომლიდანაც ამოღებული წყალი ძირითადად გამოიყენება საწარმოო დანიშნულებით.

2010 წლის მონაცემებით მიწისქვეშა წყლების მოხმარების რაოდენობამ ჯამურად შეადგინა 9 667 000 მ³ მათგან ჭოროხის ფილტრატებიდან ამოღებული იქნა 5 826 000 მ³, კინტრიშის ფილტრატებიდან 2 671 000, დამოუკიდებელი წყალმოსარგებლეების მიერ 840 000 მ³. სასოფლო წყალმომარაგებისათვის კი გამოყენებული იქნა 330 000 მ³. მთლიანად ამოღებული მიწისქვეშა მტკნარი წყლებიდან 8 896 000 მ³ (92.1%) გამოყენებული იქნა კომუნალური და სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ხოლო 771 000 მ³ (7.9%) გამოყენებული იქნა საწარმოო მიზნებისათვის .

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 42 დასახელების მინერალური წყალია, მათგან 4-ზე გაცივებულია ლიცენზია (იხ. დანართი – ცხრილი 2.1). აჭარის ტერიტორიაზე მოედინება 16 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 402.6 კმ-ს აღწევს (იხ. დანართი – ცხრილი 2.2). შავი ტბა, პატარა მწვანე ტბა და დიდი მწვანე ტბა განლაგებულია მდინარე აჭარისწყლის ზემო წელში არსიანის ქედის დასავლეთ კალთებზე ზღვის დონიდან 1800-2000 მეტრის სიმაღლეზე. დიდი მწვანე ტბიდან იღებს სათავეს მდინარე აჭარისწყალი (იხ. დანართი – ცხრილი 2.3).

აჭარაში სულ მოქმედი 137 დიდი და პატარა წყლის გამწმენდი ნაგებობაა, 92 849 მ³ საპროექტო სიმძლავრით, რომელთაგანაც ერთი ბიოლოგიურია ხოლო დანარჩენი მექანიკური ტიპისაა.

რეგიონის მოსახლეობის წყალმომარაგების საქმეში არსებული პრობლემები გარკვეულწილად უკავშირდება წყალსადენის სისტემების სანიტარული დაცვის ზონებში გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულებას. გამომდინარე აქედან პერიოდულად ტარდება ამ მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი.

დღეის მდგომარეობით 112 წყალსადენ სისტემასა და სათავე ნაგებობაზე დაწესებულია გარემოსდაცვითი ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა პირობების შესრულების მდგომარეობაზე გარემოსდაცვითი მონიტორინგი.

ჩამდინარე წყლებთან ერთად წყალსატევებში ჩაშვებულია მავნე ნივთიერებები, სულ 4154 ტონა, მათგან:

- ორგანული დაბინძურების სახით (ყ.ბ.მ.) 562 ტონა (13,53%),
- შეწონილი ნაწილაკები 1502 ტონა (36,16%),
- ნავთობპროდუქტები 14,7 ტონა (0,35%),
- ხოლო სხვა დანარჩენი (ქლორიდები, სულფატები, ფოსფატები, ამიაკი და ა.შ.) 2075 ტონა (49,96%).
- ქიმიური დაბინძურების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

რეგიონის მცირე მდინარეთა წყალშემკრები აუზების უმრავლესობა მჭიდროდ დასახლებული ზონებია, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს მათზე. ხშირად ადგილი აქვს მოსახლეობის მხრიდან წყალდაცვითი ზონების ნაგავსაყრელებად გამოყენების ფაქტებს. მსგავსი დარღვევები გამოვლინდა მდინარეების: მეჯინისწყლის, ყოროლისწყლის, ბარცხანის წყალდაცვით ზონებში. აღნიშნულს ემატება ამ მდინარეთა სანაპიროებზე განლაგებულ საწარმოთა მხრიდან მცირე მდინარეთა უბნების ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის გარემოსდაცვითი ღონისძიებების შეუსრულებლობა.

რეგიონში 2011 წელს შესწავლილი იქნა არაკანალიზირებული უბნებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩამდინარე-ნახმარი წყლების გაწმენდის ტექნოლოგიური პირობები, იქ არსებული გამწმენდი ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა და მათი მუშაობის ეფექტურობა.

ჰიდროენერგეტიკული რესურსები

რეგიონს მძლავრი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია და მდინარეების ჩამონადინების შიგაწლიური განაწილება საკმაოდ მრავალფეროვანია (ერთპიკიანი, ორპიკიანი და თითქმის თანაბარი ჰიდროგრაფებითაც), რაც ზედმიწევნით ხელსაყრელ პირობებს ქმნის, რათა მოეწყოს მცირე ჰესები უშუალოდ მდინარის ჩამონადენებზე. ჰიდროენერგეტიკული რესურსების თვალსაზრისით აჭარა ერთ-ერთი უმდიდრესი რეგიონია. ქვეყნის მაშტაბით იგი აშკარად პროგრესირებად პოზიციაზე იმყოფება. აჭარის ინდექსი – 244 კილოვატ საათი/კვადრატული კილომეტრს აღემატება. ენერგეტიკული თვალსაზრისით რეგიონში მძლავრი მდინარეები არსებობს, ესენია: ჭოროხი, აჭარისწყალი, ჩირუხისწყალი და კინტრიში. ამათგან ყველაზე უხვი მდინარე არის ჭოროხი. საქართველოში იგი წარმოდგენილია მხოლოდ მისი მდინარის სათავეს ბოლო ნაწილით. ექსპერტების გამოთვლების თანახმად, აჭარის მდინარეების პოტენციური სიმძლავრე 1000 მეგავატია, რომელიც წარმოშობს 8760 მილიონ კილოვატ/საათს წელიწადში. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში წელიწადში 50-დან 92 მილიონ კილოვატ/საათამდე სიმძლავრე იქნა წარმოებული, რაც მისი პოტენციალის მხოლოდ 1%-ს შეადგენს. ნორვეგიულმა კომპანია ქლინ ენერჯი ინვესტმა ტენდერის საფუძველზე მიიღო ლიცენზია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან პროექტის განხორციელების თაობაზე.

პროექტით დაგეგმილია 3 ჰიდროელექტროსადგურის - შუახევი ჰესი, კორომხეთი ჰესი, ხერთვისი ჰესის მშენებლობა, რომლის დადგმული სიმძლავრე 175-400 მგ.ვტ. შეადგენს, ხოლო საშუალო წლიური გამომუშავება 500-1200 გვტ.სთ-ს. ჰესების მშენებლობის სავარაუდო ღირებულება 300-700 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. ამასთანავე მიმდინარეობს სამუშაოები თურქული კომპანიის - აჭარა ენერჯი 2007-ის მიერ მდინარე აჭარის წყალზე კირნათი-მარადიდისა და ერგე-ხელვაჩაურის ტერიტორიაზე ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელთა საერთო დადგმული სიმძლავრე 77 მგ.ვტ. შეადგენს, ხოლო ინვესტიციათა რაოდენობა - 125 მლნ აშშ დოლარს.

აჭარაში, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თანხმობით, მოქმედებს 5 ჰიდროელექტროსადგური, მათი საერთო სიმძლავრე არის 22,2 ათასი კილოვატ საათი და წლიურად მიღებული ენერგია კი 28,5 მილიონ კილოვატ საათია, რაც საქართველოს პოტენციური ენერგიის მხოლოდ 0,8 პროცენტს შეადგენს. ჰესების სრული სიმძლავრე 23,518 მგვტ-ია და წლიური გამომუშავება კი 55 000_83 000 ათასი კვტ/სთ.

აჭარაში მხოლოდ ერთი, საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურია, დანარჩენები კი მცირე მოცულობის სიმძლავრის ელექტროსადგურებია (იხ. დანართი – ცხრილი 2.4).

ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მისი დამაბინძურებლის წყაროები

სამმართველო ყოველწლიურად რეგიონში აღრიცხავს სტაციონარული წყაროებიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს, მათ შორის 2010 წლის განმავლობაში აჭარის საჰაერო აუზში სტაციონარულ წყაროებიდან გაფრქვეულია 17369,8 ტონა მავნე ნივთიერებები, მათგან 17000,4 ტონა აირადი და თხევადი, ხოლო 369,4 ტონა მყარი ნივთიერებებია (მტვერი) (იხ. დანართი – ცხრილი 2.5).

ატმოსფეროში გაფრქვეული აირად და თხევად მავნე ნივთიერებებში 14958 ტონა ნახშირორჟანგია, 65,2 ტონა გოგირდის ანჰიდრიდი, 31,6 ტონა აზოტის ჟანგეულები, 1696,3 ტონა ნახშირწყალბადები, 107,6 ტონა ნახშირორჟანგი, ხოლო 142,2 ტონა სხვა დანარჩენი ნივთიერებებია. სტაციონარული წყაროებიდან გამოყოფილ მავნე ნივთიერებებთან საანგარიშო პერიოდში დაჭერილი და გაუვნებელყოფილია 2228,4 ტონა რაც წინა წლის მაჩვენებელს 4,5 ჯერ აღემატება, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს აირ და მტვერდამჭერი დანადგარების მუშაობის დაბალ ეფექტურობას, რაც უარყოფითად აისახება რეგიონის საჰაერო აუზის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

რეგიონის საჰაერო აუზის ძირითადი დამაბინძურებელი კერებია ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში არსებული ასფალტ-ბეტონის ქარხანები, სადაც 2011 წლის აგვისტოს თვემდე საწვავად გამოიყენებოდა მაზუთი, თუმცა 2011 წელს მოხდა მათი ტექნიკური გადაიარაღება ბუნებრივ აირზე გადაყვანასთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საწარმოო გამონაფრქვევების როგორც რაოდენობრივ ასევე თვისობრივ მაჩვენებლებს.

მიზნობრივი პროგრამის „ზღვის სანაპირო ზოლის წყლისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებელ კერებში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგის“ ფარგლებში 2010 წლის განმავლობაში აღებული და გამოკვლეული იქნა ატმოსფერული ჰაერის 70 (მათგან 48 საწარმოო გამონაფრქვევების და 22 გარემოსფონურ მდგომარეობაზე) სინჯი. ჰაერის ანალიზი მოიცავდა შემდეგ პარამეტრებს: მტვერი, SO₂, NO₂, SO₄,

H₂S და CO. ზემოთ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენილ ფაქტებზე გატარდა კანონით გათვალისწინებული ზომები.

ავტონომიურ რესპუბლიკაში საკურორტო სეზონის დადგომამდე აჭარის ზღვის სანაპირო ზოლის დამაბინძურებელ საწარმოებს ეგზავნებათ წერილობითი მიმართვები და რეკომენდაციები გარემოს ხარისხობრივ ნორმებზე კონტროლის დაწესებისა და თვითმონიტორინგის სისტემის გაძლიერების მიზნით (90 ობიექტი).

სასარგებლო წიაღისეული

აჭარის ტერიტორიაზე არსებობს სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულის საბადოები, ნედლეული შავი მეტალურგიისათვის, ქიმიური და კვების მრეწველობის, აგროქიმიური და სხვა დარგებისათვის, ნედლეული სამშენებლო ინდუსტრიისათვის, ნედლეული კერამიკის წარმოებისათვის, საიუველირო და სანაკეთო წარმოებისათვის ლამპროფირი და ნედლეული მინის და მინის ტარის მისაღებად (იხ. დანართი - ცხრილი 2.6).

ნარჩენების და ქიმიური ნივთიერებების მართვა

ავტონომიურ რესპუბლიკაში დასახლებული პუნქტებიდან და წარმოება დაწესებულებებიდან, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის ორგანიზებას ახდენს ქ. ბათუმის მერიის შ.პ.ს. „სანდასუფთავების“ სამსახური. ნარჩენების შეგროვება ხორციელდება სამი ძირითადი: ბუნკერული, კონტეინერული და ზარის სისტემებით. ბუნკერული სისტემა (ნაგავსატარი) ძირითადად მრავალსართულიან (9+) შენობებში გამოიყენება ბათუმში, ქობულეთში და ხელვაჩაურში, სულ 40 საცხოვრებელი სახლია, ნაგავგამტარი მიწები და ბუნკერები (სულ 90) ამ შენობების ნაწილებია, მათი მოცულობები 2-3 მ³-ია და 2 დღემდე უზრუნველყოფს ნარჩენების დაგროვებას (ნარჩენების ჩაყრიდან ჩაყრამდე). ბუნკერული სისტემით, მომსახურების მაჩვენებელი 10% -ს შეადგენს. კონტეინერული სისტემით მომსახურების მაჩვენებელი შეადგენს 85%-ს, კონტეინერები (0,18-1,1 მ³ მოცულობის) განთავსებულია ქუჩებში, შენობებთან, სკოლებში საბავშვო ბაღებში და სხვა დაწესებულებებთან ახლოს. ნარჩენები კონტეინერებიდან გროვდება სპეციალური კონტეინერში მანქანების საშუალებებით. ზარის სისტემით მომსახურება 5%-იანი დატვირთვით გამოიყენება, ასეთი სახის მომსახურება ქალაქის დასახლების გარე პერიფერიაში და მთიანი რაიონების დაბების ტერიტორიაზეა.

არსებული მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნის, შეგროვებისა და გატანის ტექნოლოგიური ხაზი ვერ უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალის მიერ ნარჩენების გადარჩევას, თუმცა მძლოლები, მტვირთავები და ქუჩის გამწმენდები თავად არჩევენ ჯართს, პლასტმასს, მინის ტარას და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს. რითაც იღებენ გარკვეულ დამატებით სარგებელს, ოჯახის რჩენაში.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტრანსპორტირება ხდება სპეციალური კონტეინერში უცხოური წარმოების მანქანებით, ღია ძარბანი ავტომანქანები გამოიყენება საამშენებლო ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის. მთლიანად რეგიონში ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება 21 ერთეული სპეცავტომანქანა.

აჭარის ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვების დიდი წილი, შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიაზე, ქალაქ ბათუმსა და ქობულეთზე მოდის, ხოლო ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში მხოლოდ დაბებში დასახლებული მოსახლეობიდან ხდება ნარჩენების მოგროვება, სოფლის დასახლებებიდან საერთოდ არ ხდება ნარჩენების შეგროვება.

ქალაქი ბათუმი შესამჩნევად სუფთაა, ქალაქი აღჭურვილია ახალი ევროსტანდარტული ნაგავმეგროვებელი კონტეინერებით და სპეცმანქანებით, ნარჩენების მოგროვება რეგულარულად ხორციელდება.

ავტონომიურ რესპუბლიკაში დღეის მდგომარეობით ექსპლუატაციაშია 2(ორი) ნაგავსაყრელი პოლიგონი. თუმცა არცერთი მათგანი არ არის სათანადო პირობებით აღჭურვილი. მთლიანად მოქმედი ნაგავსაყრელების მიერ დაკავებული ფართობი შეადგენს 21,5 ჰა-ს, მათგან 19,2-ჰა უჭირავს ქ. ბათუმის ნაგავსაყრელ პოლიგონს, ადლიის დასახლებასთან მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროსთან. ქობულეთის ნაგავსაყრელ პოლიგონს 2,3-ჰა.

ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელებზე დასაწყობება ხდება, როგორც ტოქსიკური, სახიფათო ისე ინერტული ნარჩენებისა, მით მეტი, რომ არსებულ ნაგავსაყრელებზე არ სრულდება არანაირი გარემოსდაცვითი პირობები, თითოეული გარემოს აქტიურ დამაბინძურებელ წყაროებს წარმოადგენენ. მათი ექსპლუატაციისას სავარაუდოდ მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის, წყალსატევებისა და ნიადაგების დაბინძურება.

ნარჩენებთან მოპყრობისას ირღვევა სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და მოთხოვნები, რადგანაც არსებულ ნაგავსაყრელებზე აქტიურ საქმიანობას ეწევიან გარეშე მოქალაქეები, რომლებიც აგროვებენ ადრე დაკონსერვებულ ნარჩენებიდან ლითონის ჯართს, მინის ტარას და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს, ნაგავსაყრელებზე სისტემატიურად შედიან და იკვებებიან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.

ჩატარებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის დროს დაფიქსირდა გარემოს ობიექტების დაბინძურება ნარჩენი-ნავთობპროდუქტებით, ნახმარი ზეთებითა და ხმარებისათვის უვარგისი ქიმიური ნივთიერებებით. ხშირად ამ სახის ტოქსიკური ნარჩენების განთავსება ხდება თვით საწარმოების ტერიტორიებზე. მოქმედ საწარმოებში ტექნოლოგიური პროცესების დროს წარმოიქმნება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში (ტოქსიკური) ნარჩენები, კერძოდ:

- ნავთობპროდუქტების ნარჩენები (ნახმარი ზეთები, მაზუთი, ნავთობშლამი);
- საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები (ნახმარი ელემენტები, მაცივრები, კონდიციონერები, ტელევიზორები, აკუმულატორები და სხვა).

აჭარაში ჩამოყალიბდა სახიფათო სამედიცინო ნარჩენების მართვის სისტემა. კერძოდ 2009 წლიდან შპს „სანდასუფთავების“ ბაზაზე შეიქმნა ჯგუფი, რომელიც აღიჭურვა სპეციალური ტექნიკითა და ახორციელებს სამედიცინო ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას და თერმულ (დაწვას) გაუვნებელყოფას. პროექტის განხორციელების შედეგად აჭარის სამედიცინო დაწესებულებებში მოწესრიგდა დაახლოებით 40 ტონა სახიფათო სამედიცინო ნარჩენის მართვა.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი საბიუჯეტო ხარჯები გარემოს დაცვის ღონისძიებებზე. კერძოდ, ქუჩების დასუფთავება, სანიაღვრე მეურნეობის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა შესრულებაზე.

მიწის რესურსები

აჭარის არ მიწის ბალანსის 2004 წლის მონაცემებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფართობი ადმინისტრაციულ საზღვრებში შეადგენს 290 000 ჰა-ს, აქედან კერძო საკუთრების მიწები - 21 772 ჰა, სასოფლო-სამეურნეო პროფილის მიწები ადმინისტრაციულ საზღვრებში - 155 391 ჰა, მათ შორის სასოფლო სამეურნეო სავარგული - 72 862 ჰა, არასასოფლო სამეურნეო პროფილის მიწები - 112 837 ჰა, მათ შორის ტყის ფონდის ფართობი - 104 167 ჰა.

მელიორაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების დეპარტამენტი მომსახურებას უწევს ხულოს, შუახევის, ქედის მუნიციპალიტეტების სარწყავ და ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის დამშრობ სისტემებს. ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში კლიმატური ნიადაგის პირობები სხვადასხვაა. მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ნათესებზე მოქმედებს გვალვები, ხოლო დაბლობ მუნიციპალიტეტებში მოსული ჭარბი ნალექები ქმნიან ზედმეტ ტენიანობას. აქედან გამომდინარე დეპარტამენტს მუშაობა უწევს ორი მიმართულებით, ერთის მხრივ გვალვიანი მიწების მორწყვისა და მეორეს მხრივ ჭარბ ტენიანი მიწების დაშრობის სახით. ავტონომიურ რესპუბლიკაში 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება 8482 ჰა სარწყავი მიწები, აქედან 6963 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სულ ირიცხება 1836 ჰა დამშრობ ქსელიანი ფართობი, აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულია 1093 ჰექტარი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სულ ირიცხება 3550 ჰა დამშრობ ქსელიანი ფართობი, აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულია 2343 ჰექტარი.

ავტონომიურ რესპუბლიკაში მორწყვის წყაროებად ძირითადად გამოყენებულია მდ. აჭარისწყლის შენაერთი მდინარეების, ღელეებისა და ჩამომდინარე რეგულირებით მიღებული წყლები, წყალ მიმღები სათავე ნაგებობები ძირითადად არასაინჟინრო პრიმიტიული ნაგებობებია, სათავე ნაგებობები გაკეთებულია ქვყრილებით, რომელიც წყალდიდობის პერიოდში ზიანდება და რწყვის სეზონის მიმდინარეობის დროს დეპარტამენტს უხდება სათავე ნაგებობების რიგ შემთხვევებში რამოდენიმეჯერ აღდგენა. სარწყავი ფართობები ძირითადად განლაგებულია მაღალმთიან რაიონებში, სადაც რწყვა მიმდინარეობს მიშვებითი მეთოდით.

სულ ირიცხება 235.9 კმ სიგრძის სამეურნეობათაშორისო სარწყავი არხები, რომლის მეშვეობით ირწყვება 1888 ჰა ფართობი, ხოლო შიგასამეურნეოთი კი 4978 ჰა. ფართობის რწყვას ემსახურება 498.5 კმ საერთო სიგრძის შიდასამეურნეო ლოკალური არხები.

აჭარის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება 2 საირიგაციო და 1 დამშრობი სატუმბო.

ტყის რესურსები

2007-2011 წლებში აჭარაში სატყეო უბნების რაოდენობა სულ შეადგენდა 17 ერთეულს, ხოლო ტყეების ფართობები – 162 103.6 ჰა-ს (იხ. დანართი – ცხრილი 2.7). აჭარის ტყის მერქნული რესურსი მოიცავს წიწვოვან (ფართობი – 45 237 ჰა, მარაგი – 16 720 600 მ³) და ფოთლოვან (ფართობი – 114 592 ჰა, მარაგი – 25 522 700 მ³) ტყეებს (იხ. დანართი – ცხრილი 2.8). ტყის მერქნის სახეობების ფართობები და მარაგები მუნიციპალიტეტების მიხედვით იხილეთ დანართში – ცხრილები 2.9-2.14. სატყეო განყოფილებების 2011 წლის მონაცემებით სულ აჭარაში დაცული ტყის რესურსის მოცულობა 360.40 მ³-ია, ხოლო მიყენებული ზიანი შეადგენდა 19 211.7 ლარს. 2007-2011 წლის პერიოდისათვის ტყის დაცვის მდგომარეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით იხილეთ დანართში – ცხრილი 2.15.

2011 წელს ავტონომიურ რესპუბლიკაში დაიშვა სოციალური სახის ჭრები და ასათვისებლად გამოიყო 119 927. 99 მ³ ხე-ტყე (I ხარისხის – 14052 მ³; II ხარისხის – 105 775. 99 მ³). აქედან ათვისებულია 71 181. 37 მ³ (I ხარისხის – 222.37 მ³; II ხარისხის – 69 159 მ³). ათვისების არსებული მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია გამოყოფილ ტყეკაფებში სატყეო-სამეურნეო მნიშვნელობის გზების მცირე რაოდენობის არსებობით და არსებული გზების დაზიანებით. გასულ წელს აჭარის ტყეებში გამარტივებული ტენდერით გაყვანილი იქნა 13,23 კმ ახალი სატყეო სამეურნეო დანიშნულების გზა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქ. ქობულეთის მოსახლეობა სარგებლობს ბუნებრივი აირით და ასევე მეზობელი გურიის რეგიონიდან შემოტანილი შეშით, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტის დიოკნისის, დეკანაშვილების, ვაშლოვანის, რიყეთის, დიდაჭარის თემებისა და დაბა ხულოს მოსახლეობა სარგებლობს ადიგენიდან შემოტანილი ხე-ტყით. 2011 წლის მონაცემები სოციალური ჭრებისა და ასათვისებლად გამოყოფილი ხე-ტყის შესახებ იხილეთ დანართში – ცხრილი 2.16.

რაც შეეხება აჭარის ტყეების სანიტარულ-ეკოლოგიურ მდგომარეობას: რეგიონში ტყის ძირითადი მავნებლებია: წაბლის ენდოტიური კიბო, ნაღმისებრი ჩრჩილი, მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი, ნადვის დიდი ლაფანჭამია, მბეჭდავი ქერქიჭამია და კენწეროს ქერქიჭამია. სულ დაავადებული ტყის ფართობი შეადგენს 11 788 ჰა - აჭარის ტყეების მთლიანი ფართობის 7,2%. მიუხედავად დაავადებების გავრცელების არეალის მცირე მასშტაბისა, მდგომარეობა საშიშად იქნა მიჩნეული, რადგანაც დაავადებები გამოირჩევა მაღალი ინტენსივობით და გააჩნიათ გავრცელების მრავალი კერა, სადაც ტყის მასივების 70-80% დაავადებულია.

შავი ზღვა

შავი ზღვა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჩაკეტილი წყლის მასივია. ზღვის სიგრძე უკიდურეს დასავლეთ და აღმოსავლეთ წერტილებს შორის 1167 კმ-ია (ბურგასი-ქობულეთი). სანაპირო ზოლის სიგრძე დაახლოებით 4000 კმ-ია, საიდანაც საქართველოს 320 კმ ეკუთვნის (რუსეთის ფედერაცია-395 კმ, უკრაინა-1340 კმ, რუმინეთი-215 კმ, ბულგარეთი-317 კმ, თურქეთი-1365 კმ). შავი ზღვის ე.წ. ზედა ჟანგბადით მდიდარი "ცოცხალი" ფენა 175-200 მ სიღრმემდე ვრცელდება, 200 მ-დან ფსკერამდე თითქმის უჟანგბადოა და საერთოდ არ გვხვდება ორგანული სიცოცხლე. შავი ზღვის განსაკუთრებულ თავისებურებას, რაც მას მკვეთრად განასხვავებს დედამიწის დანარჩენი ჰიდროგარსისგან, წარმოადგენს წყლის ორიგინალური ფენობრივი ხასიათი. 175-200 მ სისქის მქონე ზედაპირული ფენა სიმკვრივით გამოირჩევა (მსუბუქია) მის ქვეშ მდებარე წყლის მასისაგან. ეს განსხვავება იმდენად მკვეთრია, რომ წყლის აღრევა ფენებს შორის

თითქმის არ წარმოებს. ამის გამო ღრმა წყალში დაგროვილია H_2S გრანდიოზული რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ შავ ზღვაში საერთოდ არ არსებობს საშიში იხტიოფაუნა.

აჭარის ზღვის სანაპირო ზონა დაახლოებით 50 კმ სიგრძის და საშუალოდ 0,1-0,3 კმ სიგანის სუსტად შეზნეილი რკალის სახით არის გაჭიმული მდ. ნატანების შესართავიდან საქართველო-თურქეთის საზღვრამდე. გავრცელების დიდ ნაწილზე სანაპირო ზონა წარმოდგენილია სხვადასხვა სიგანის ქვიშა-კენჭოვანი პლაჟებით და ძველი ნაპირგასწვრივი ქვიშა-კენჭოვანი ზვინულების ზოლით. ეს უკანასკნელი თანამედროვე და ძველი ზვინულებისაგან შედგება და აჭარის ზღვისპირეთის მნიშვნელოვან გეომორფოლოგიურ ელემენტს წარმოადგენს. მხოლოდ ალაგ-ალაგ, ლოკალური უბნების სახით გვხვდება კლდოვანი ვერტიკალური ფლატეებით წარმოდგენილი ნაპირები, რომელთა გასწვრივაც პლაჟები არ არის განვითარებული. ასეთი უბნებია: ციხისძირის კონცხის და მწვანე კონცხის მიდამოებში არსებული სანაპირო უბნები და საქართველო-თურქეთის საზღვრის ჩრდილოეთით მდებარე კალენდერის კონცხის სანაპირო უბანი.

ნაპირგასწვრივი ზვინულების ზოლი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზღვის ზვირთცემის მოქმედებით არის შექმნილი, სწორედ ამ სამუშაოზე იხარჯება ზღვის ზვირთცემის ენერგია და აქედან გამომდინარე, სანაპირო ზვინულების ზოლი წარმოადგენს ბუნებრივ ჯებირს, რომელიც სანაპირო ხმელეთს იცავს ზღვის ტალღების ზემოქმედებისაგან.

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე სანაპირო წყალზედა რელიეფის ბუნებრივი მორფოლოგიური იერი საგრძნობლად არის შეცვლილი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების მშენებლობით.

ქ. ბათუმის სამხრეთით საქართველო-თურქეთის საზღვრამდე სანაპირო ზონის წყალზედა ნაწილი წარმოდგენილია მაღალი (4,0 მ) პლაჟით და მის უკან განვითარებული თანამედროვე ნაპირგასწვრივი ზვინულით. ამ უკანასკნელის სიგანე საშუალოდ 100-150 მ. საზღვრებში, ხოლო სიმაღლე 3-5 მ საზღვრებში ცვალებადობს. ძველი (რელიქტური) ნაპირგასწვრივი ზვინულების ზოლი არ არის განვითარებული ქ. ბათუმის სამხრეთით მდებარე სანაპირო ზონის გავრცელების დიდ მანძილზე. ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ ჭოროხის დელტის სანაპირო ზონა, როგორც თანამედროვე პირობებში, ისე ახლო გეოლოგიურ წარსულში გამოირჩეოდა მაღალი დინამიურობით, ზღვის კიდის გასწვრივ მორფოდინამიკური პროცესების განვითარების ინტენსივობით და, შესაბამისად, სანაპირო ხაზის ოსცილიაციური მიგრაციით, რომლის ამპლიტუდა სავარაუდოდ პირველი ასეული მეტრებით განისაზღვრებოდა.

ძველი და თანამედროვე ნაპირგასწვრივი ზვინულების ზოლი კარგად არის გამოსახული ზღვისპირა რელიეფში ქობულეთის ვაკის სანაპირო ზონაში – ციხისძირის კონცხიდან მდ. ნატანების შესართავამდე. ზვინულების ზოლის სიგანე სანაპიროს აღნიშნულ მონაკვეთზე საშუალოდ 150-250 მ-ს, ხოლო შეფარდებითი სიმაღლე საშუალოდ 3-6 მ-ს საზღვრებში ცვალებადობს. ზვინულების ზოლის ზღვისპირა კალთა დამრეცია და შეუმჩნევლად გადადის პლაჟის ზედაპირში (ამ უკანასკნელის სიგანე აჭარის სანაპირო ზონაში საშუალოდ 30-70 მ საზღვრებში ცვალებადობს). ნაპირგასწვრივი ზვინულების თხემი ზოგადად ბრტყელი ზედაპირით ხასიათდება, რომლის სიგანეც 20-40 მ საზღვრებში მერყეობს. ზვინულების ზოლის აღმოსავლეთი (ხმელეთისაკენ მიმართული კალთა) როგორც წესი ციცაბოდ ეშვება მიმდებარე ზღვისპირა ვაკის ზედაპირისაკენ.

აჭარის სანაპიროს ზოგიერთ მონაკვეთზე სანაპირო ზვინულების ზოლი რელიეფში საკმაოდ მკვეთრად გამოხატული ორი პარალელური ნაპირგასწვრივი ზვინულით არის წარმოდგენილი. ამ

ზვინულებს შორის აღინიშნება 1-2 მ სიღრმის გასწვრივი ჩადაბლება. განსაკუთრებით კარგად ორი ნაპირგასწვრივი ზვინულისაგან შედგენილი სანაპირო ზონის სახმელეთო ნაწილი კარგად არის წარმოდგენილი ქ. ქობულეთის სანაპიროს გასწვრივ, რომლის ზედაპირიც მთლიანად საკურორტო ზონა – „ფიჭვნარს“ უკავია. აჭარის სანაპირო ზონის ზოგიერთ უბანზე (მაგ: ქობულეთის სანაპირო) ნაპირგასწვრივი ზვინულების ზოლის ზედაპირი ხელოვნური ტყით არის დაფარული.

ნაპირგასწვრივი ზვინულების ზოლის ბუნებრივი მორფოლოგიური იერი სხვადასხვა ხარისხით არის დეგრადირებული ადამიანის სამეურნეო მოქმედების შედეგად. ახლო წარსულში, სანაპირო ზვინულების ზოლის ზედაპირზე მოქმედებდა ინერტული მასალის მომპოვებელი კარიერები. აღნიშნულის შედეგად წარსულში ნაპირგასწვრივი ზვინულების ერთიანი ზოლის ნაცვლად მათი ცალკეული ფრაგმენტებია შემორჩენილი. კარიერების მოქმედების ადგილზე კი საკმაოდ მოზრდილი ჩადაბლებებია დარჩენილი, რომლებიც გაბმული წვიმების დროს წყლით ივსება (მაგ: ქ. ქობულეთის სანაპირო ჩრდილო უბანი).

შავი ზღვის აკვატორიის ძირითადად დამაბინძურებელ წყაროებს, რომლებიც უმთავრესად მდინარეთა ჩამონადენით, ატმოსფერულ ნალექებით და ქარით არის გამოწვეული, წარმოადგენენ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ობიექტები. ამ ანთროპოგენული წარმონაქმნებიდან უმთავრესი დამაბინძურებლები არიან: ფოსფატური და ნიტრატული სასუქები, ჰერბიციდები, შხამქიმიკატები, მძიმე და ტოქსიკური მეტალები, ნავთობპროდუქტები, ორგანული და არაორგანული კომპლექსური ნაერთები, ფეკალური წყლები, ფენოლები და სხვა.

აჭარის ფლორა და ფაუნა

აჭარა მდებარეობს მსოფლიოში აღიარებული კავკასიის „ცხელი წერტილის“ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ერთ-ერთ პრიორიტეტად უნიკალური ტყის ეკოსისტემების დაცვა წარმოადგენს. აჭარაში გვხვდება ფლორის კოლხური, ხმელთაშუაზღვისპირეთის, წინა აზიური სახეობები. ქვიშიანებზე და ნაშალ-ღორღიანებზე გვხვდება სტეპისა და ნახევრადუდაბნოს სახეობებიც. მდიდარია იგი ადვენტიური (კულტურულ მცენარეულობას შემოყოლილი, ძირითადად სარეველები) სახეობებითაც (439), რაც მთელი ფლორის 23%-ს შეადგენს. ენდემური სახეობების რაოდენობა 13-ით განისაზღვრება. აჭარის ფლორა ითვლის 1900-მდე სახეობას, რომლებიც გაერთიანებულნი არიან 725 გვარში და 138 ოჯახში. მერქნიან მცენარეებზე მოდის მთელი ფლორის 10%-ზე მეტი, ხოლო ბალახოვნებზე – 86 %-ზე მეტი. აჭარის რაიონში აღირიცხება ველურად მოზარდი 1837 სახეობა, მათ შორის საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულია 20-ზე მეტი სახეობა. აჭარაში გავრცელებული სამკურნალო, ქრობადი და იშვიათი მცენარეების სახეების და ფაუნის წარმომადგენლების ჩამონათვალი დანართში – ცხრილი 2.17.

ცოცხალ ბუნების ძეგლებადაა მიჩნეული რელიქტური - ჭოროხის მუხის – ძვირფასი კორომი (ჩირუხი) წიფლნარ - წაბლნარი - დიდხნოვანი ბუჩის ქვეტყით (მაჭახელა) მესამეული პერიოდის ფლორის რელიქტი წყავმაზა - ტყის ძვირფასი კორომი (ჩირუხი) გავრცელება – ქედის რაიონი, სოფელი მახუნცეთი (აწქეს-ის მიმდებარე ტერიტორია) დიდხნოვანი კოლხური ბუჩის ტყის კორომი – (მაჭახელა) ჩვეულებრივი წაბლი – გავრცელება – ქობულეთის რაიონი, წყავროკა.

არაორგანული ბუნების ძეგლებს შორისაა: მწვანე ტბა ადგილმდებარეობა – ზემო აჭარა, გოდერძის ზეკარის გადაღმა მდებარეობს ზღვის დონიდან 2040 მეტრის სიმაღლეზე. უდიდესი სიგრძე 430 მ-ია. სიგანე 180 მ. უდიდესი სიღრმე 18-20 მ. ფართობი 4500 მ. წყლის ტემპერატურა ზედა ფენებში 11

– 12 გრად. ხოლო ფსკერზე 6 გრად. გოდერძის ნამარხი ტყე ადგილმდებარეობა – ადიგენისა და ხულოს რაიონი, მლაშისა და რიყეთის საკრებულოები, მდინარეების ქობლიანისა და აჭარისწყლის ზემო აუზები. ზღვის დონიდან 1600-2000 მ-ის სიმაღლეზე. დაცულობის სტატუსი – საქართველოს „წითელი წიგნი“ (1982). შავი ტბა – (ჩირუხი) ადგილმდებარეობა – ხულო. სოფელი ხიხადირი, ზღვის დონიდან 2000 მ-ზე ზევით. ქვაკაცა (ჩირუხი) ადგილმდებარეობა – შუახევი. ზღვის დონიდან 2350 მეტრი შედგება სამი შთენილისაგან სიმაღლე 7 მ. 5 მ. და 2 მ. დიამეტრი 4 - 4,5 მ. დაცულობის სტატუსი – შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“ (1982). ქოჩახის მაცვივარი ადგილმდებარეობა – ხულო სოფელი ხიხადირი (მთისუბანი). ქვა სვეტი ადგილმდებარეობა – ხულო სოფელი კალოთა წარმოადგენს გეომორფოლოგიურ წარმონაქმნს რომლის სიმაღლე 5-6-მეტრი.

აჭარის დაცულ ტერიტორიებს შორისაა: მტირალას ეროვნული პარკი, ისპანის ნაკრძალი და ქობულეთის აღკვეთილი და კინტრიშის ნაკრძალი.

მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორია რელიქტურ და ენდემურ მცენარეთა იშვიათი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ აღირიცხება 83 ოჯახის 188 გვარის 310 სახეობის ველურად მოზარდი მცენარე. მათ შორის რელიქტური 67 სახეობა, ენდემური 27 სახეობა, მათ შორის კავკასიის ენდემია - 10, კოლხეთის - 10, საქართველოს - 4, აჭარა-ლაზეთის - 3 სახეობა. მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული მერქნიანი მცენარეებიდან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილია 15 სახეობა. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს კოლხური ტიპის შერეული ფოთლოვანი ტყის ტიპის ფიტოცენოზებს წიფლის დომინირებით. პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია 57 სახეობის სამკურნალო მცენარე. მათ შორის საქართველოს „წითელ ნუსხაში“ უმაღლესი სტატუსით შეყვანილია ფოცხვერი და გავაზი. ძალზე მაღალი სტატუსი აქვთ ასევე მურა დათვს, არჩვს, თეთრკუდა ფსოვს, კლარკის ხელიკს, კავკასიურ გველგესლას, შავი ზღვის ორაგულს და მწერების რამდენიმე სახეობას. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული ფაუნის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები იხილეთ დანართში ცხრილი – 2.18.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებობს ქობულეთის დაცული ტერიტორია, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და ქობულეთის აღკვეთილი. ქობულეთის ნაპირგასწვრივი ზვინულების და დიუნების ზოლის უკან მიმდებარე ვაკის ყველაზე დადაბლებულ ნაწილში მდებარეობს უნიკალური სფაგნუმთან-ტორფიანი ისპანის ჭაობი. ისპანი II მსოფლიოში პირველი პერიციკლური (შეუღწევადი) სფაგნუმის ხელუხლებელი ჭაობია, რომლის ფართობია 331 ჰა (ხოლო აღკვეთილის ისპანი I - 439 ჰა,) სადაც წყლის დანაკარგი აორთქლებით ხორციელდება. საოცარი ჭაობია თითქმის ტბაა ნიადაგის ზედაპირის ზემოთ. ტბას კი ზემოდან საბანივით ახურავს 25-45 სმ სისქის ცოცხალი სფაგნუმი, რომელიც არასოდეს არ იფარება წყლით. ტორფი სფაგნუმისა და გაუხრწნელია დიდი და პატარა ელასტიური ფორმებით და მუდამ წყლის დონის ქვემოთაა.

ფრიად ორგინალურია ისპანის სფაგნუმთან – ტორფიანი ჭაობებისა და მისი განაპირა კოლხური ტყეების მცენარეულობა. აქ იზრდება კოლხეთის რელიქტური და ენდემური სახეობები, როგორებიცაა: ლაფანი, იმერული და ჰართვისის მუხა, რცხილა, ქვეტყეში ხარობს- მმერხლი, ჭყორი უძვირფასესი კოლხური ბზა, ყვითელი და კოლხური დუმფარა, მწერიჭამია დროზერა, სამეფო გვიმრა, მანანა ჩვეულებრივი, ლაზური და ჩრდილოეთის ისლი.

ქობულეთის რაიონში, მდინარე კინტრიშის შუა და ზემო დინებაში, ზღ.დონიდან 450-2000 მ სიმაღლეზე მდებარეობს კინტრიშის ნაკრძალი, რომელიც დაარსდა 1959 წელს. მისი ფართობია 13893 ჰექტარი, ტყით დაფარულია 12817 ჰექტარი, მდელოთი 200 ჰექტარი, წყალსატევებით 966 ჰექტარი. სულ ნაკრძალში დაცულია მცენარეთა 1045 სახეობა, მათ შორის იშვიათი 25, ცხოველთა 22 სახეობა, ფრინველთა 102 თევზის 6 სახეობა. იგი მდიდარია კოლხური ტყეებით, რელიქტური და ენდემური მცენარეებით. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პონტოს მუხა, მედვედევის არყი, უნგერნის შქერი, სმირნოვის შქერი, ლაფანი და სხვა გვხვდება წაბლის ტყეებიც.

სტიქიურ – გეოლოგიური მოვლენები

როგორც ცნობილია, სტიქიური მოვლენების გააქტიურებაში მოქმედებს რამდენიმე ფაქტორი: კლიმატური, გეოლოგიური და ადამიანის სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული. საკვლევი ტერიტორიები წარმოადგენენ გორაკ-ბორცვიან რელიეფს. გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ შუა ეოცენის ასაკის ვულკანოგენური ქანები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში გადაფარულია მეოთხეული ასაკის დელუვიური ნალექებით, ხოლო მდინარეთა ხეობებში ალუვიური ნალექებით. ვულკანოგენური წარმონაქმნები უმეტეს შემთხვევაში ქიმიურად გამოფიტულია და ხასიათდებიან მკვეთრად დაქვეითებული ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით. ეს გარემოება ხელსაყრელ პირობას ქმნის სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარებისათვის. ამ პროცესების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ასევე რელიეფის მორფოლოგია. გრავიტაციული პროცესები (ჩამოქცევა, მეწყერი, ჩამოშლა) უმეტესად ვითარდება ციცაბო რელიეფის პირობებში, რომლის დახრის კუთხე 25°-ს აღემატება. ფერდობების მდგრადობისა და მეწყრული პროცესების განვითარების უმთავრესი კრიტერიუმი აღმოჩნდა ფერდობების ამგები ქანების გაწყლიანება ჭარბი ატმოსფერული ნალექებით, ქანების გაწყლიანება მოხდა როგორც ზედაპირული წყლებით, ასევე გრუნტის წყლებით, რომელთა დონეები მნიშვნელოვნად შეივსო ჩანაჟონი წყლებით, ფერდობების ამგები ქანების გაწყლიანება-გადამძიმებამ გამოიწვია ისედაც სუსტი სტატისტიკური წონასწორობის დარღვევა და გრავიტაციული პროცესების განვითარება. აღსანიშნავია, რომ დაზიანებული ფართობების უმეტესობა გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად, რაც დიდ ზეგავლენას ახდენს მეწყრული პროცესების აქტივიზაციაში. სადრენაჟო არხები არ არის გაყვანილი სასოფლო გზების გასწვრივაც, რის გამოც წარმოქმნილი ღვარცოფული ნაკადები მიედინებიან უსისტემოდ და ხელს უწყობენ გეოლოგიური პროცესების აქტივიზაციას. მდინარეების ხეობებში მნიშვნელოვნად ადიდება გამოიწვია გვერდითი ეროზიის განვითარება, სასოფლო სამეურნეო სავარგულების ეროზია და დატბორვა.

2010 წელს განხორციელდა ადლიის სანაპიროს დროებითი ნაპირგამაგრებითი სამუშაოები. მდ. ჭოროხის შესართავიდან ამოღებულ იქნა და ადლიის სანაპიროზე ჩაიყარა 100 000 მ³ ნატანი. სანაპიროს 3.6 კმ პერიმეტრი დაიყო 3 უბნად. I უბანზე (შესართავიდან 2,3 კმ აეროპორტის მოპირდაპირე მხარე) ჩაიყარა 15 000 მ³ ნატანი; II უბანზე (შესართავიდან 2,3კმ, აეროპორტის მოპირდაპირე მხარე) – 70 000 მ³; III უბანზე – შესართავიდან 3,6 კმ-ზე – 15 000 მ³. სამუშაოების დასრულების შემდეგ ნაპირმა საშუალოდ 6 მეტრით მოიმატა. 2011 წელს ნაპირგამაგრებითი სამუშაოებისათვის მდ. ჭოროხის დელტიდან ამოღებული იქნა და ადლიის სანაპიროზე ჩაიყარა 100 000 მ³ ინერტული მასალა.

2009 წლის 1 იანვრიდან მიმდინარეობდა სტიქიის შედეგად დაზიანებული შენობებისა და მიწის ნაკვეთების შესწავლა. ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით განვლილ პერიოდში შესწავლილია მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან და სხვადასხვა უწყებებიდან შემოსული 2596 კორესპონდენცია, აქედან სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა 2514 საცხოვრებელი სახლი და შენობა-ნაგებობა, მათ შორის 705 საცხოვრებელი სახლი ექვემდებარება გეოლოგიურად მდგრად ადგილზე გადატანას, ხოლო დანარჩენი 1809 საცხოვრებელ სახლს ესაჭიროება სხვადასხვა სახის სარემონტო-გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარება, ხოლო მიმდებარე ტერიტორიებზე აუცილებელია მეწყერ საწინააღმდეგო პროფილაქტიკური სამუშაოების განხორციელება. მონაცემები სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შესახებ მუნიციპალიტეტების მიხედვით 2009 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე იხილეთ დანართში – ცხრილი 2.19.

მზის და ქარის ენერგორესურსები

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაინერგა მზის ენერგიის გამოყენებით წყალ გამაცხელებელი სისტემები, რომლებიც მზის სხივურ ენერგიას გარდაქმნიან თბურ ენერგიად, რაც მოდულის ფართობისა და მზის ინტენსივობის პირდაპირ პროპორციულია და უშუალოდ აცხელებს კოლექტორებში გამდინარე წყალს. ეს სისტემები შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან მზის კოლექტორები და ბოილერი (ცხელი წყლის ავზი) მზის ენერგოსისტემების გამოყენება დაინერგა: კინტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრში, აღჭურვილია ჰელიო სისტემით ელექტრო კვებისათვის და წყალგამაცხელებელი სისტემისათვის; მტირალას ეროვნული პარკის რეინჯერთა სახლში, აღჭურვილია ჰელიო სისტემით ელექტრო კვებისათვის; მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში ერთი საოჯახო სასტუმრო სოფელი ჩაქვისთავი აღჭურვილია ჰელიო სისტემით ელექტრო კვებისათვის. ანალოგიურად აჭარის სანაპირო ზოლში განლაგებული რამოდენიმე სასტუმროს გააჩნია მზის ენერგიის გამოყენებით წყლის გამაცხელებლები.

მზის ენერგო სისტემების გამართული მუშაობის მიზნით, დაცული ტერიტორიების სააგენტოს მტირალასა და კინტრიშის ტერიტორიული ადმინისტრაციის თანამშრომლებს ჩაუტარდათ წრთვები ჰელიო სისტემის მოხმარებაში.

ქარის ენერგეტიკული რესურსები, მისი პოტენციური შესაძლებლობით, შესაძლოა გამოყენებული იქნას აჭარის თბო-ენერგეტიკული ბალანსის თვალსაზრისით, ამ მომენტისთვის კი ქარის ენერგია პრაქტიკულად გამოუყენებელია. ქარის ენერგეტიკული პოტენციური რესურსი განსაზღვრულია საშუალო წლიური ქარის სიმძლავრით, მისი ხანგრძლივობით და აქტიური სიჩქარის გამეორებით. ქარის ენერგიის მუშაობის სიჩქარის გამოყენება აჭარაში შემდეგნაირია – $V=3$ მეტრი/წამში (V – აღნიშნავს ქარის სიჩქარეს). ქარის ენერგიის ინდექსი განსაზღვრულია 50 წლიანი მეტეოროლოგიური ფაქტების კვლევებიდან, მეტეოროლოგიური სადგურებიდან გამომდინარე, რომლებიც განლაგებულია შესაფერის შემეცნებით რეგიონებში. ქარის საშუალო სიჩქარის ხანგრძლივობა მერყეობდა 3327 და 6243 საათი, ამ დროის განმავლობაში ამ ტიპის ყველაზე ხანგრძლივი ქარი აღინიშნა შავი ზღვის ყურის ხაზში. ბათუმის ტერიტორიაზე, სადაც სიჩქარეები შემდეგნაირია $V>3$ მეტრი/წამში და გრძელდებიან 5220–6240 საათს წელიწადში, რაც წელიწადში 60–70%-ს შეადგენს. ეს იძლევა შესაძლებლობას ამ ადგილზე განლაგდეს და მოეწყოს ნელი აქტიურობის და ასევე სწრაფი აქტიურობის ქარის ძრავები.

ქარის სამუშაო სიჩქარის ხანგრძლივობა (>3 მეტრი/წამში) ზღვისპირას არის 60-70% შემდეგი სიჩქარისა > 5 მეტრი/წამში, რაც არის 20-40%, $V>3$ მეტრი/წამში – 9-14%, ხოლო $V>10$ მეტრი/წამში საერთო ჯამში 3-8%-ს შეადგენს. ქარის თვითური სიჩქარის მაქსიმუმი ზამთრის პერიოდზე მოდის, მინიმუმი კი ზაფხულის პერიოდზე. საშუალო შეუჩერებელი ქარის ხანგრძლივობა მოცემულ ხაზში $V>3$ მეტრი/წამში გარანტირებულად ვრცელდება ურეკი-ბათუმის ტერიტორიაზე და იცვლება 14 საათიდან 31 საათამდე. საშუალო სიჩქარე წარმოდგენილი მონაცემებიდან გამომდინარე, ქარის სამუშაო სიჩქარის ხანგრძლივობა არის 99%, გარანტირებული ყველა მეტეოროლოგიურ სადგურში. 12 საათი 51-76%-ით, 24 საათი 19-28%-ით აღნიშნული ქარის სიჩქარე 48 საათის ხანგრძლივობისაა და უზრუნველყოფს მთლიანად 4-6%-ს, 1%-ის შემთხვევაში, რომელიც მოდის ბათუმში, ეს ინდექსი აღწევს 120 საათს. აჭარაში ქარის მრავალწლიანი რეჟიმის ტესტები გვიჩვენებს, რომ შავი ზღვის ყურის ხაზი იძლევა შესაძლებლობას ეფექტურად იქნას გამოყენებული ნელი აქტიური ქარის ინსტალაციები. არსებობს ისეთი პირობები, რომლებიც ორივეს ეფექტური გამოყენების საშუალებას იძლევა, როგორც ნელი აქტიური ასევე სწრაფი აქტიური ქარის ძრავების ინსტალირების საშუალებას, კერძოდ კი აჭარაში, კახაბერის მიდამოში. აქ სამუშაო სიჩქარის ხანგრძლივობა 6200 საათს აღემატება, რაც წლიური საათებს აღემატება და 70% შეადგენს, აქედან 40% მოდის ქარის სიჩქარიდან $V>5$ მეტრი/წამში.

აჭარაში თვითმმართველი ერთეულების და აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან გარემოს დაცვის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების დინამიკა იხილეთ დანართში – ცხრილი 2.20.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სვოთ ანალიზი

<u>ძლიერი მხარეები</u>	<u>სუსტი მხარეები</u>
1. ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება; 2. ხელსაყრელი კლიმატური პირობები და ნოტიო ჰავა; 3. ნაყოფიერი ნიადაგები; 4. განახლებული და განვითარებადი ინფრასტრუქტურა: გზები, გაზგაყვანილობა, ელექტრო გაყვანილობა და წყალგაყვანილობა; 5. რეგიონალური მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესის ზრდა გარემოსდაცვითი პრობლემატიკით; 6. ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება; 7. ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება, გადამუშავება და განთავსების ორგანიზება; 8. სახიფათო (სამედიცინო) ნარჩენების თერმული გადამუშავების საწარმოს არსებობა; 9. ვადაგასული ნარჩენი პესტიციდების არ არსებობა; 10. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებების მიმდინარეობა; 11. ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესის ზრდა გარემოსდაცვითი საკითხებით; 12. აჭარაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის რეგიონული მმართველობის ორგანოს არსებობა და საქმიანობის ეფექტურობის ზრდა; 13. ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა; 14. ბიომრავალფეროვნების ნაირსახეობა, დაცული ტერიტორიები, ნაკრძალები და ეროვნული პარკები; 15. მიზნობრივი პროგრამების არსებობა; 16. ნაპირგამაგრებითი სამუშაოები; 17. ვიზუალური საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების მომზადება; 18. რეგიონში არსებული სასარგებლო წიაღისეული და მინერალური წყლები;	1. მწირი ფინანსური რესურსები; 2. გარემოსდაცვითი მონიტორინგისათვის არასაკმარისი აღჭურვილობა; 3. თანამედროვე ტიპის ნაგავსაყრელების არარსებობა, უნებართვო ნაგავსაყრელების სიმრავლე; 4. მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე; 5. მასმედიის საშუალებების დაბალი ინტერესი გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ; 6. ქალაქების რიგ უბნებსა და სოფლებში წყალსადენის ქსელის და სათავე ნაგებობის არადაამუშავილებელი მდგომარეობა; 7. მუნიციპალიტეტებში ეროზიის მაღალი რისკი; 8. მცირე მდინარეებისა და მათი შენაკადების წყალდაცვით ზოლებში საკანალიზაციო ფეკალური წყლების სათანადო ფილტრაციის გარეშე ჩასვლა მდინარეში და მათი ბაქტერიოლოგიური დაბინძურება; 9. დაბინძურების კერების სიმრავლე; 10. საწარმოები, რომლებიც აბინძურებენ გარემოს; 11. გარემოსდაცვითი ნორმატივების საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა და ნორმების არასათანადოდ დაცვა; 12. ზღვის სანაპირო ზოლის დაბინძურება; 13. ჰაერის დაბინძურება (სატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვებით); 14. მდინარეების პოტენციური სიმძლავრის დაბალი გამოყენება; 15. მერქნული და სხვა მცენარეული რესურსების არაღეგალური მოპოვება; 16. ტყის უნებართვო ჭრის ფაქტები; 17. გამოყოფილ ტყეკაფებში სატყეო-სამეურნეო მნიშვნელობის გზების

19. მნიშვნელოვანი ჰიდრორესურსების, მინერალური და სუფთა წყლის მარაგი, ბუნებრივი (ტყის და თევზის) რესურსების არსებობა; 20. რეგიონის მტკნარი მიწისქვეშა წყლების და მისი საპროგნოზო-საექსპლუატაციო მარაგი; 21. ხელსაყრელი პირობები მცირე ჰესების მოსაწყობად; 22. გამოყენებისათვის დასაშვები ხე-ტყის მარაგის არსებობა; 23. ქარის ენერგეტიკული რესურსის არსებობა და გამოყენების შესაძლებლობა; 24. ენერგეტიკული და სამრეწველო ობიექტებიდან ჰაერის დაბინძურების შემცირება; 25. აჭარაში არასამთავრობო, არაკომერციული ბუნება დამცველი ორგანიზაციების არსებობა.	არარსებობა და არსებულის დაზიანება; 18. ტყის ჭრის ადგილებზე დარჩენილი ძირნაყარი ხე-ტყე; 19. დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობა, რიგ ადგილებში სოცო-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ინტერესების კონფლიქტი; 20. არა სრულყოფილი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი; 21. არ არსებობს ტოქსიკური და სხვა სახის სახიფათო ნარჩენების გადამუშავებისა და გაუვნებლობის საწარმოები ან ნარჩენთა განთავსების ადგილები; 22. ნაგავსაყრელების ექსპლოატაციით გარემოზე ზემოქმედების შეფასების არ არსებობა; 23. რეგიონში არსებული ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენები.
<u>შესაძლებლობები</u> 1. ინფრასტრუქტურის განვითარება; 2. გადამამუშავებელი ეკოლოგიურად სუფთა საწარმოების განვითარება; 3. საწარმოებში ახალი, დაბალი რისკის მქონე ტექნოლოგიების დანერგვა; 4. რეგიონული გარემოსდაცვითი სამსახურის მეტეო და სხვა სახის გამზომი საშუალებებით უზრუნველყოფა; 5. საინვესტიციო პროექტები.	<u>საფრთხეები</u> 1. ეკონომიკური მდგომარეობის შესაძლო გაუარესება; 2. დაფინანსების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები; 3. გლობალური დათბობის გავლენით აჭარის კლიმატის ცვლილება; 4. ავტოტრანსპორტის და ენერგო სექტორის მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობა და შესაბამისად იზრდება ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა; 5. საფრთხეები ნავთობპროდუქტების (დაღვრის) ტრანსპორტიორი კომპანიების მხრიდან;- ავარიისა და კატასტროფების დროს გარემოს დაბინძურების საფრთხეები.

სტრატეგიული მიმართულებები:

სასმელი და ზედაპირული წყლების ხარისხის გასაუმჯობესებლად განსახორციელებელი გარემოსდაცვითი ღონისძიებები

1. მოსახლეობის კომუნალური და სასოფლო წყალმომარაგების საკმეში არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების შესწავლა და მათი გადაწყვეტის ღონისძიებებში მონაწილეობა;
2. ზედაპირული წყლების გარემოსდაცვითი მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელება.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად განსახორციელებელი ღონისძიებები

3. ატმოსფერულ ჰაერის დამაბინძურებელ სტაციონარული საწარმოებში აირ და მტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ღონისძიებებში მონაწილეობა; საწარმოებში თვით მონიტორინგის სისტემის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა;
4. საწარმოო და მოძრავი წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გამონაბოლქვი აირებზე გარემოსდაცვითი მონიტორინგი.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტა

5. განახლებადი ენერგორესურსების (ჰიდრორესურსები, მზისა და ქარის ენერგიები) და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენების პროექტების სტიმულირება;
6. რეგიონის საწარმოებში თანამედროვე გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვის და ეკოლოგიურად უფრო სუფთა საწარმოების სადემონსტრაციო პროექტებში მონაწილეობა.

სასარგებლო წიაღისეულის სარგებლობისა და გეოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის ღონისძიებებში მონაწილეობა

7. აჭარის შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და მდინარეთა ნაპირებზე მიმდინარე აბრაზიულ და ეროზიულ პროცესების მონიტორინგი და პრევენციის ღონისძიებები;
8. საბადოებზე ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი და მათი მუშაობის პროცესში სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა;
9. მიწისქვეშა წყლებზე მონიტორინგის განხორციელება;
10. სტიქიურ-გეოლოგიური და მიწის ეროზიულ პროცესების მონიტორინგი.

ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები

11. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინსტიტუციონალური მართვის სისტემის ღონისძიებათა გაუმჯობესების, ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის მოწყობისა და არსებული ნაგავსაყრელების დახურვის საჭირო ღონისძიებებში მონაწილეობა;
12. ტოქსიკური და სხვა სახიფათო ნარჩენების ინსტიტუციონალური მართვის სისტემის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა.

ტყის რესურსებით სარგებლობის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები

13. ტყის დაცვის მუშაკების სათანადო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა. საქმიანობის წარმართვაზე კონტროლის გაძლიერება.
14. ტყის ეკოსისტემების მრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით, ტყის მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის, აღდგენის, განახლების ხელშეწყობის და ხანძარ საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. კერძო ინვესტიციათა მოზიდვის მიზნით სათანადო პირობების შექმნა;
15. ტყის ფონდის სრული ინვენტარიზაციის და მისი აგროეკოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების დეტალური ანალიზების, ადგილობრივი ტყის რესურსების მართვისა და შესაბამისად მდგრადი სატყეო მეურნეობის გაძლიერების ინტეგრირებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა;
16. ადგილობრივი მოსახლეობის სათბობი შემით და სამასალე ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით ტყეკაფების მონიშვნა და გამოყოფა, სატყეო-სამეურნეო გზების მშენებლობა.
17. სამონადირეო და თევზის სატბორე მეურნეობების შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები

18. ქალაქების ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური და სანიაღვრე საკანალიზაციო წყალშემკრები და გამწმენდი სისტემების მდგომარეობის გარემოსდაცვითი მონიტორინგი;
19. აჭარის ზღვის ნაპირისა და წყლის ხარისხის მონიტორინგის სისტემაში ჩართულობის უზრუნველყოფა; ბათუმის ნავსადგურში ჩამდინარე და ბალასტური წყლების მონიტორინგი; ნავთობით ავარიული დაბინძურებისას, საჭიროების შემთხვევებში რეაგირების გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა;
20. „ლურჯი დროშის“ პროგრამაში აჭარის სანაპიროს პლაჟებისა და ნავმისადგომების ჩართვისათვის საჭირო ღონისძიებებში მონაწილეობა.

ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები

21. ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად დაცული ტერიტორიების განვითარებაში მონაწილეობა;
22. მონიტორინგის ჯგუფის შექმნა და მონიტორინგის განხორციელება; ცოცხალი და არაორგანული ბუნების ძეგლების, ენდემური სახეობების, მაღალკონსერვაციული ღირებულების ტყის კორომების აღწერა და მდგომარეობის შეფასება. კონსერვაციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა.

ზოგადი გარემოს დაცვითი ღონისძიებები

23. საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება.

თავი 3. ტურიზმი

2011 წლის მონაცემებით აჭარაში სულ დაფიქსირდა 1 319 513 ვიზიტორი, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელს 35.3% - ით აღემატება, ხოლო 2006 წლის მაჩვენებელს 427.8 %-ით. 2011 წელს შიდა ვიზიტორების რაოდენობა 838 661 კაცი იყო, ხოლო უცხოელი ვიზიტორების – 480 852 (იხ. დანართი - ცხრილი 3.1). აჭარის რეგიონში 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსული უცხოელი ვიზიტორების რაოდენობით პირველ ადგილზეა თურქეთი (48,4%), მეორეზე სომხეთი (21,7%), შემდეგ აზერბაიჯანი –11,7%, ირანი – 5,6%, უკრაინა - 2,2% (იხ. დანართი-ცხრილი 3.2).

2011 წელს საქართველოში შემოსულ უცხოელ ვიზიტორთა 17,1 % აჭარის რეგიონს ესტუმრა (იხ. დანართი - ცხრილი 3.3). მათ შორის შემოსულ ტურისტთა 88,2% ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებზე მოდიოდა (იხ. დანართი - ცხრილი 3.4). 2012 წლის საპროგნოზო მაჩვენებელით აჭარა უმასპინძლებს ორ მილიონ ტურისტს, ხოლო ქ. ბათუმი - 1 250 ათასს (იხ. დანართი - ცხრილი 3.5,3.6).

საკრუიზო ტურიზმის აღდგენისა და განვითარების მიზნით 2006 წელს ბათუმის პორტი გაწვერიანდა საერთაშორისო საკრუიზო პორტების ასოციაციაში „**Med Cruise**”-ში, რაც საშუალებას იძლევა გაიზარდოს საკრუიზო გემების შემოსვლის სიხშირე ბათუმის პორტში. უკვე 2009 წლიდან კი მსოფლიოში ცნობილი საკრუიზო კომპანიები თავიანთ მარშრუტებში ერთ-ერთ გაჩერების ადგილს “ბათუმს” აღნიშნავენ (Sea born, Holland-America). 2011 წელს ბათუმის პორტში შემოვიდა 8 საკრუიზო გემი (იხ. დანართი - დიაგრამა 3.1).

აჭარის ა. რ-ში 2011 წელს 2006 წელთან შედარებით განთავსების საშუალებების რაოდენობამ 87%-ით იმატა. 2011 წელში არსებული 51.1 ათასი ადგილიდან 80 %-ზე მეტი საოჯახო ტიპის განთავსების საშუალებებზე მოდის. ამავე წელს განთავსების საშუალებების დატვირთვის კოეფიციენტი წლის განმავლობაში საშუალოდ მხოლოდ 16,6 % იყო, ხოლო აგვისტოს თვეში განთავსების საშუალებების დატვირთვის კოეფიციენტი 52,35%-ს აღწევდა (იხ. დანართი-ცხრილი 3.7). განსაკუთრებით ტურისტთა ინტერესი აჭარის მიმართ იზრდება ზაფხულის პერიოდში-ივლისსა და აგვისტოში (იხ. დანართი - ცხრილი 3.8).

აჭარაში 25 ტურისტული სააგენტო და 9 საინფორმაციო ცენტრი მოქმედებს. საინფორმაციო ცენტრებიდან 3 ბათუმში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი ქობულეთის, ხულოს, შუახევის ადმინისტრაციულ ცენტრებშია განლაგებული. ქობულეთის საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ისპანის ჭაობის მიმდებარედ მდებარეობს, ძირითადად ეკოტურიზმს ემსახურება.

საზოგადოებრივი კვების ობიექტების ძირითადი ნაწილი ბათუმსა და ქობულეთშია განლაგებული, კერძოდ: ბათუმში ფუნქციონირებს 126 კვების ობიექტი, ხოლო ქობულეთში 120, აქედან კი 90 სეზონურია (იხ. დანართი-ცხრილი 3.9).

2011 წელს აჭარაში განხორციელებული კერძო ინვესტიციების 43.6% ტურიზმის დარგზე მოდის, რაც განაპირობებს არსებული პოტენციალის ზრდას და ბათუმის როგორც ტურისტული ცენტრის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებას (იხ. დანართი - ცხრილი 3.10, დიაგრამა 3.2). რეგიონის იმიჯის ზრდას ხელს უწყობს მსოფლიოში ცნობილი სასტუმრო ოპერატორების ბრენდების შემოსვლა. ახალი სასტუმროების მშენებლობით აჭარაში 2012 წლისათვის დამატებით 4000 განთავსების ადგილი შეიქმნება.

2010 წელს აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგები:

- 2010 წელს ტრანსპორტი რომლითაც ყველაზე ხშირად ისარგებლეს ვიზიტორებმა აჭარაში ჩამოსასვლელად იყო ავტობუსი 25.2% და მატარებელი 22.3% (იხ. დანართი – დიაგრამა 3.3). დიდი რეზერვი არსებობს საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით ვიზიტორთა მოზიდვის მხრივ.
- აჭარაში დამსვენებელთა უმეტესობა (43.3%) 20-დან 29 წლამდე და (32.7%) 30-39 წლის ასაკის ადამიანებს შეადგენს (იხ. დანართი – დიაგრამა 3.4).
- ყველა ასაკობრივ ჯგუფში ვიზიტორთა უმრავლესობა ჩამოვიდა აჭარაში დასვენების მიზნით. 20, და 20-29, 56-65 და 66 წელზე ზემოდ ასაკობრივ ჯგუფებში ამ მონაცემებმა მიაღწია - 86%, 94.5%, 91.2 % და 100%-ს შესაბამისად. 40-დან 55 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა 15%-ისათვის აჭარაში ვიზიტის მიზანი იყო ბიზნესი, რაც გაცილებით მეტია სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით (იხ. დანართი – დიაგრამა 3.5). ვიზიტორთა უმრავლესობა დღიურად ხარჯავდა: 32% – 21-დან 30 ევრომდე, 31% – 20 ევრომდე, ხოლო 14% - 31-დან 40 ევრომდე. ყველაზე მეტს ყოველდღიურად თურქეთიდან და ევროპიდან შემოსული ვიზიტორები ხარჯავენ, მათ შემდეგ სომეხი და შიდა ვიზიტორები მოდიან, შემდეგ ვიზიტორები აზიიდან და ამერიკიდან (იხ. დანართი – დიაგრამები 3.6-3.8).
- აჭარაში დამსვენებელთა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა 1-დან 5 დღემდე ხანგრძლივობის ტურები, დამსვენებელთა 56 პროცენტმა სწორედ დროის ეს პერიოდი გაატარა აჭარაში. თურქეთიდან შემოსულ ვიზიტორებში ყველაზე მეტი პოპულარობით 1-5 დღიანი ტურები სარგებლობს (76 %) და 20-დღეზე ზემოთ ტურები (10%), სომხეთიდან შემოსულ ვიზიტორებში პოპულარობით სარგებლობს 5-10 დღიანი (36%) და 10-20 დღიანი ტურები (32%), რაც შეეხება ევროპიდან, ამერიკის ქვეყნებიდან და შორეული აღმოსავლეთიდან შემოსულ ტურისტებს, ისინი უპირატესობას 5 დღემდე ტურებს ანიჭებენ (56%-56%), ხოლო განთავსების ადგილად ირჩევენ კერძო ბინებს (იხ. დანართი – დიაგრამები 3.9-3.11).

ტურიზმის სვოთ ანალიზი:

<u>ძლიერი მხარეები</u>	<u>სუსტი მხარეები</u>
1. ტურისტული რესურსების მრავალფეროვნება; 2. უნიკალური ტურისტული პროდუქტის არსებობა (ბულვარი, ბოტანიკური ბაღი, ისპანის ჭაობი, დაცული ტერიტორიები, მაჭახელას ხეობა და სხვა); 3. უვიზო მიმოსვლა მიზნობრივ ტურისტულ ბაზრებთან (თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი, პოლონეთი); 4. ლიბერალური სავიზო პოლიტიკა სხვა ქვეყნების მიმართ; 5. მიზნობრივ ბაზრებთან მეგობრული, კეთილგანწყობილი ურთიერთობა; 6. სწრაფად განვითარებადი სათამაშო ბიზნესი; 7. საერთაშორისო აეროპორტის არსებობა რეგიონში; 8. ინვესტიციების ყველაზე დიდი ნაკადი ტურიზმის სფეროში; 9. ცნობილი სასტუმრო ბრენდების შემოსვლა 10. უსაფრთხო გარემო.	1. მოკლე ტურისტული სეზონი; 2. ტურისტული საწარმოების (სასტუმროები, კვების, გართობის ობიექტების და სხვა) ნაკლები დატვირთვა; 3. პლაჟების და ზღვის დაბინძურება; 4. პლაჟზე არასაკმარისი ინფრასტრუქტურა; 5. ტურისტული პროდუქტის ფასისა და ხარისხის შეუსაბამობა; 6. ადგილობრივი ტურისტული სააგენტოების გამოუცდელობა და ნაკლები ინტერესი შემომყვანი ტურიზმის მიმართ; 7. მომსახურების დაბალი დონე; 8. უცხოელ ტურისტებთან კომუნიკაციის დროს ენობრივი ბარიერი; 9. საზოგადოების დაბალი ცნობიერება ტურიზმის, როგორც დარგის მიმართ; 10. საგზაო ინფრასტრუქტურის სუსტი განვითარება საექსკურსიო ობიექტებთან, ტურისტებისთვის საგზაო ნიშნების სიმცირე; 11. ტურისტული ინფრასტრუქტურის სიმცირე; 12. რეგიონის შესახებ ინფორმაციის სიმცირე (პიარი და რეკლამა).
<u>შესაძლებლობები</u>	<u>საფრთხეები</u>
1. ახალი ბაზრების ათვისება; 2. ავიახაზებზე ფასების შემცირება; 3. ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე დაბალბიუჯეტისანი ავიაკომპანიების შემოყვანა, ჩარტერული რეისების დანიშვნა, პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა აზერბაიჯანთან, სამომავლოდ თურქეთთან; 4. საავტომობილო სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება; 5. ტურისტული სეზონის გახანგრძლივება მრავალფეროვანი ტურისტული	1. კონკურენციის ზრდა სხვა ქვეყნების მხრიდან; 2. ეკოლოგიური პრობლემები; 3. ქვეყანაში არსებული კონფლიქტური რეგიონების გამო საქართველოს არასახარბიელო იმიჯი საერთაშორისო ასპარესზე. ინფრასტრუქტურული პროექტების გახანგრძლივება.

პროდუქტების ფორმირების გზით; 6. სხვადასხვა ღონისძიებების (ფესტივალების, კონფერენციების, სპორტული, კულტურული ღონისძიებების) ჩატარება; 7. უცხოური ინვესტიციების ზრდა; 8. საგადასახადო შეღავათების დაწესება.	
---	--

სტრატეგიული მიმართულებები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

1. „იაფფასიანი“ ავიაკომპანიების მოზიდვა და ჩარტერული ავიარეისების განხორციელების ხელშეწყობა;
2. შავ ზღვაზე არსებულ კრუიზებში ბათუმის პორტის ჩართვა, პორტის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების ჩატარება პორტის პოლიტიკის შეცვლაზე საკრუიზო ტურების მიმართ (ტარიფების შემცირება, ნავსადგურის გაზრდა, რათა შესაძლო იყოს უფრო მსხვილი საკრუიზო გემების მიღება);
3. სარკინიგზო სადგურების მოწყობა ევროსტანდარტებთან მისადაგება (სერვისები: ბარგის შენახვის მომსახურება, საინფორმაციო სერვისი, საინფორმაციო დაფა ტურისტული რუკით, სწრაფი კვების კაფე, WiFi ზონა, და სხვა; სისუფთავე და წესრიგი);
4. ავტოსადგურების ევროსტანდარტებთან მისადაგება (სერვისები: ბარგის შენახვის მომსახურება, საინფორმაციო სერვისი, საინფორმაციო დაფა ტურისტული რუკით, სწრაფი კვების კაფე, WiFi ზონა, და სხვა; სისუფთავე და წესრიგი);
5. ტურისტების დიდი რაოდენობით თავმოყრის ადგილებთან პარკინგის სივრცის გაზრდა;
6. გზებზე უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა – შუქნიშნები, გადასასვლელები, პოლიციის მხრიდან მეტი სიმკაცრე დამრღვევების მიმართ, საგზაო ტრანსპორტის სტანდარტების დარეგულირება;
7. საველოსიპედო ხაზების შექმნა აჭარის ძირითად გზებზე, განსაკუთრებით ქალაქებში და დაბებში;
8. ტაქსის მომსახურების ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; გასაქირავებელი ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
9. საერთაშორისო სტანდარტების ავტობანის გაყვანა აჭარის ტერიტორიაზე სარფიდან ქობულეთამდე (ფოთამდე). განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია ქობულეთისა და ბათუმის შემოვლითი გზების გაკეთება, რათა განიტვირთოს ამ ქალაქებში მოძრაობა;
10. გზის ხარისხის გაუმჯობესება ბათუმიდან ახალციხემდე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მანქანების მოძრაობა ამ მიმართულებით მთელი წლის განმავლობაში ეს მიმართულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სომხეთიდან და ირანიდან ტურისტების მოზიდვისათვის. სასურველია მე-8 და მე-9 პუნქტებში აღნიშნული გზების სრულყოფა მოხდეს უმოკლეს ვადებში;
11. ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზების ხარისხის გაუმჯობესება.

აჭარის რეგიონის ცნობადობის ზრდა

12. აჭარის ბრენდინგზე მუშაობა: სამუშაო ჯგუფის შექმნა და კონკურსის გამოცხადება აჭარის რეგიონის ტურისტული სლოგანის და ლოგოს შექმნის მიზნით, რომლებშიც გამოჩნდება აჭარის რეგიონის უნიკალურობა და უპირატესობა;
13. არსებული ტურისტული საინფორმაციო ცენტრების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, ახლადშექმნილ ტურისტულ სააგენტოსთან ერთობლივი საინფორმაციო ქსელის შექმნა;
14. აჭარაში ტურისტული საინფორმაციო ვებ-გვერდის შექმნა, მაგალითად www.ajara.net (შედარებისთვის იხილეთ www.southafrica.net), სადაც მთელი აჭარის ტურისტული

ინფრასტრუქტურა იქნება წარმოდგენილი. კერძოდ ინფორმაცია ბათუმის განთავსების საშუალებების, კვების ობიექტების, მუზეუმების, კინო-თეატრების, ღონისძიებების, კონცერტების, გამოფენების, სატრანსპორტო განრიგის შესახებ. მაგალითად მუზეუმის საიტზე შესაძლებელი იქნება ტურისტმა ნაწილობრივ მაინც დაათვალიეროს ექსპოზიციები, ასევე ნახოს თეატრის საიტზე სპექტაკლის ნაწყვეტი, რესტორნის საიტზე მენიუ და ა.შ. ასევე შესაძლებელი იქნება ბილეთის, მაგიდის დაჯავშვნა. ამ ვებ-გვერდის ინფორმაციული უზრუნველყოფა დაეკისროს ახლადშექმნილ ტურისტულ სააგენტოს;

15. **ტურიზმის კვირეულის** დაწესება და აღნიშვნა ყოველწლიურად, ღონისძიებების ჩატარება სკოლებში და სხვა სასწავლებლებში (ექსკურსიები, გაკვეთილები), გადამზადების კურსების ორგანიზება კვირეულის ფარგლებში, სპეციალური ღონისძიებების ორგანიზება;
16. **გამოფენა-ბაზრობებზე** აქტიური მონაწილეობა;
17. **აჭარაზე დოკუმენტური ფილმის** გადაღება და მისი დუბლირება მიზნობრივი ბაზრების ენებზე, რომელიც იქნება საინტერესო ტურისტებისათვის, და მისი ჩვენება სხვადასხვა არხებზე;
18. მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილ პორტალებზე აჭარის რეკლამირება ბლოგის შექმნის მეშვეობით, მაგალითად, youtube.com, facebook.com, wayn.com, dig.com, livejournal.com, და სხვა;
19. **ინფორმაციული ბროშურების** გავრცელება სასტუმროებში და სხვა ტურისტული ხასიათის დაწესებულებებში.

ტურისტული სეზონის გახანგრძლივება

20. ტრადიციული ტურისტული პროდუქტის გვერდით, რომელიც ძირითადად ზღვაზე დასვენებას გულისხმობს მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების ფორმირება. აჭარაში შესაძლებელია განვითარდეს შემდეგი ტურისტული მიმართულებები:

- ეკოტურიზმი,
- აგროტურიზმი,
- სამედიცინო ტურიზმი,
- გამაჯანსაღებელი და SPA ტურიზმი,
- კულტურული ტურიზმი,
- აქტიური სათავგადასავლო ტურიზმი,
- ზამთრის სპორტის ტურიზმი,
- საკრუიზო ტურიზმი,
- იახტინგი;
- სათამაშო ტურიზმი,
- სპეციალურ ინტერესთა ტურიზმი,
- ტურიზმი „გააკეთე შესვენება“,
- MICE ტურიზმი (ყრილობები, კონფერენციები, გამოფენები),
- საგანმანათლებლო (მაგალითად, ქართული სამზარეულოს შესწავლის კურსები),

ტურიზმის დეპარტამენტმა უნდა მოამზადოს ტურიზმის ამ სახეობების განვითარების სამუშაო გეგმები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკოტურიზმის

განვითარებას, რომელიც წარმოადგენს დიდ ინტერესს ტურისტებისათვის განვითარებული ქვეყნებიდან (დასავლეთი ევროპა, აშშ, კანადა, ავსტრალია და სხვა);

21. ფესტივალების, კულტურული, სპორტული ღონისძიებების მოწყობა არატურისტული სეზონის დროს. მაგალითად, საახალწლო ღონისძიებები, ბათუმობა, სპორტული შეჯიბრები და მარათონები, სახალისო ღონისძიებები. აუცილებელია ევროპული სტანდარტების სტადიონის მშენებლობა;
22. ერთობლივი ტურების შექმნა საქართველოს სხვა რეგიონებთან და მეზობელ ქვეყნებთან ერთად;
23. სათამაშო ტურების ორგანიზება.

ტურისტული მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდა

24. მომსახურების ხარისხის რეგულირება კანონმდებლობის შესაბამისად, სტანდარტების განსაზღვრა, ტურისტული ობიექტების რეგულარული შემოწმება;
25. განათლების სისტემის მისადაგება ტურიზმის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან (იხილეთ თავი “დემოგრაფია და შრომის ბაზარი”);
26. საერთაშორისო დონორების დახმარებით და საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის მხარდაჭერით ტურისტული ობიექტებისათვის სემინარების ჩატარება სპეციფიურ ტურისტულ თემატიკაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლებას;
27. უცხო ენის სპეციალიზირებული შემსწავლელი კურსების შეთავაზება ტურისტული ინფრასტრუქტურაში მომუშავე პერსონალისთვის: გიდებისთვის, მაღაზიის გამყიდველებისთვის, მიმტანებისთვის და ა.შ. განსაკუთრებით, თურქული და ინგლისური ენის კურსები;
28. სასტუმროების სატელეფიო პაკეტში ევროპის ძირითად ენებზე არსებული არხების ჩართვა;
29. ტურისტულ ობიექტებზე Wi-Fi ზონების შექმნა;
30. გართობის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა და რეგულირება (კინოთეატრები, 3D ჩათვლით; კონცერტები; საბავშვო გასართობი ცენტრები; ღამის კლუბები; და სხვა);
31. საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ტურისტების მოთხოვნების გათვალისწინება. საკემპინგო ადგილების, მანქანების ღამის სადგომების მოწყობა, სადაც შეიძლება ღამის გათევება, გზებზე მოტელის ტიპის სასტუმროების არსებობა, ხოლო ახალგაზრდული სეგმენტისთვის ჰოსტელების შექმნა უნივერსიტეტების ბაზაზე.

აჭარის ტურისტულ-საკურორტო რესურსებისა და გარემოს დაცვა

32. ნაგვის ყუთების საკმარისი რაოდენობით განთავსება, მათი რეგულარული დაცარიელება ტერიტორიის დასუფთავებასთან ერთად;
33. ტურიზმის ცნობიერების, სისუფთავის კულტურის ამაღლების კამპანიების შემუშავება და ორგანიზება, მაგალითად, აქცია “შევიწარჩუნოთ ჩვენი პლაჟი და ბულვარი სუფთა მდგომარეობაში!";
34. ცნობიერების ჩამოყალიბების კამპანიებში სასწავლო დაწესებულებების ჩართვა;
35. სკოლის პროგრამებში გარემოს დაცვის ფაკულტატივის ჩართვა;

36. აჭარის ბუნების რესურსების და გარემოს დაცვაზე და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კანონმდებლობის შემუშავება. მაგალითად, დაბინძურებაზე ჯარიმების შემოღება;
37. “ლურჯი დროშის” (Blue Flag) პროგრამის ან მსგავსი პროგრამის დანერგვა აჭარის კურორტებზე.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობი ფინანსური და ეკონომიკური ბერკეტების ამუშავება

38. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
39. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების სწორად დაგეგმვა;
40. საგადასახადო შეღავათების დაწესება სამშენებლო და ტურისტულ ბიზნესზე.

თავი 4. სოფლის მეურნეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია სულ 290 ათასი ჰექტარია, საქართველოს ტერიტორიის 4.1 %-ი. აქედან 80% მთას უკავია, 15% მთისწინეთს და დაბლობი მხოლოდ 5%-ია (14.5 ათასი ჰა) (იხ. დანართი – დიაგრამა 4.1). 2005 წლის მიწის ბალანსის მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიწის ფონდის სტრუქტურას შემდეგი სახე აქვს: მრავალწლიანი ნარგავები – 15 899 ჰა, სახნავი მიწები – 10 309 ჰა, სათიბი მიწები – 7 159 ჰა, ნასვენ მიწები – 1 736 ჰა (იხ. დანართი – დიაგრამა 4.2).

აჭარაში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მეციტრუსეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა; ტრადიციული: მევენახეობა, მეთევზეობა, მემარცვლეობა, მეფუტკრეობა; დამხმარე დარგებია: მეჩაიეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, სამკურნალო მემცენარეობა.

აჭარაში ციტრუსოვნებს 5200 ჰექტარი უკავია. 2010-2011 წლების სეზონზე წარმოებული იქნა 46 200 ტონამდე ციტრუსი, აქედან რეალიზებულია 39 888 ტონა. საქართველოში წარმოებული ციტრუსის 80 %-მდე აჭარაზე მოდის. 2006-2011 წლებში მონაცემები ციტრუსის რეალიზაციის შესახებ იხილეთ დანართში – ცხრილი 4.1.

მიწის ბალანსით აჭარაში ირიცხება 5700 ჰა ჩაის ფართობი, რომლის ძირითადი ნაწილი დასარევილიანებული და ამორტიზირებულია. 2004-2011 წლებში რეაბილიტირებულია 600 ჰა-მდე ჩაის პლანტაცია. რეგიონში ჩაის გადამამუშავებელი 8 საწარმო მოქმედებს. საქართველოში წარმოებული ჩაის ნედლეულის 9.26 % აჭარაზე მოდის. 2011 წლის მონაცემებით ჩაის ფართობი სულ შეადგენს 5616 ჰა-ს, რომლის 63% მოდის ქობულეთზე, 35% ხელვაჩაურზე, ხოლო დანარჩენი ქედაზე (იხ. დანართი – ცხრილი 4.2).

2015 წლამდე **სხვა სუბტროპიკული კულტურებიდან** შემოსავალი 8-10 მილიონ ლარს გადააჭარბებს. პროდუქციის ძირითადი ნაწილი იქნება ექსპორტირებული, ნაწილი კი გამოყენებული იქნება საკონსერვო წარმოებისთვის. საქართველოში წარმოებული სუბტროპიკული კულტურების (სუბტრ. ხურმა, ფეიჰოა, აქტინიდა, დაფნა) 14% აჭარაზე მოდის (იხ. დანართი – ცხრილი 4.3).

2009 წლისათვის **ხეხილოვანთა ფართობი 4420 ჰექტარს** შეადგენს და მოსავალი 11,0 ათას ტონას არ აღემატება. საქართველოში წარმოებული ხილის 8%-ი აჭარაზე მოდის. ხეხილის ფართობების დინამიკა 2004-2011 წლებში, მუნიციპალიტეტების მიხედვით და ხილის მოსავალი იხილეთ დანართში – ცხრილები 4.4, 4.5.

მე -20 საუკუნის 90 - იან წლებამდე აჭარაში **ვენახის** ნარგავებს 500 ჰა-მდე ფართობი ეკავა (მათ შორის სამრეწველო ვენახებს 242 ჰა) და ადგილობრივი ვაზის 40-მდე ჯიშით ხარობდა. წარმოება წლის განმავლობაში 2 ათას ტონას აჭარებდა საშუალოდ 1 ჰა-ზე 8 ტონა ყურძენი იწარმოებოდა. 2011 წელს აჭარაში ვაზის ნარგავები (გაფანტული ნარგავების ჩათვლით) მხოლოდ 177 ჰექტარზეა და ყურძნის წარმოება საშუალოდ 1340 ტონას შეადგენს. საქართველოში წარმოებული ყურძნის 0,8 % აჭარაზე მოდის. ვენახის ფართობით და მოსავლიანობით გამოირჩევა ქედის მუნიციპალიტეტი (იხ. დანართი – ცხრილები 4.6, 4.7).

მემარცვლეობის მხრივ, აჭარის ა.რ. სასოფლო სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში ერთწლიან კულტურებს (სიმინდი, სოია, ლობიო) სახნავი ფართობის სიმცირის გამო მოკრძალებული ადგილი უჭირავს. 2011 წლის მონაცემებით სიმინდი დათესილი იქნა 5876 ჰა-ზე,

ლობიო და სოია – 246 ჰა-ზე. საქართველოში წარმოებული მარცვლეული კულტურების 5 %-მდე აჭარაზე მოდის. 2011 წლის მონაცემებით აჭარაში სულ წარმოებული იყო 11 225 ტონა სიმინდი, 467 ტონა ლობიო. მარცვლეული კულტურების წარმოება მუნიციპალიტეტების მიხედვით იხილეთ დანართში, ცხრილი 4.8.

ამჟამად ადგილობრივი **ბოსტნეულით** მოსახლეობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი 10 -15% -ის ფარგლებშია. ტურიზმისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში დეფიციტი მინიმუმ ორჯერ გაიზრდება. საქართველოში წარმოებული ბოსტნეულ-ბაზჩეული კულტურების 14 %-მდე აჭარაზე მოდის. 2011 წელს ბოსტნეულის წარმოებამ 11 250 ტონა შეადგინა, აქედან 59 411 ტონა კარტოფილის წარმოებაზე მოდის. ბოსტნეულ-ბაზჩეული კულტურების წარმოება 2004-2011 წლებში, მუნიციპალიტეტების მიხედვით იხილეთ დანართში – ცხრილი 4.9.

2011 წლის მონაცემებით რეგიონში 109.4 ათასი სული **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი** ირიცხებოდა. ყოველწლიურად საშუალოდ იწარმოება: 2-5 ათასი ტონა **ხორცი**, 48-55 ათასი ტონა **რძე და რძის პროდუქტი**. საქართველოში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების 10 % აჭარაზე მოდის (იხ. დანართში – ცხრილები 4.10-4.12).

2011 წელს აჭარაში წარმოებული იქნა 359 ტონა **თაფლი**, 317%-ით მეტი 2006 წელთან შედარებით. გასულ წელთან შედარებით თაფლის წარმოებამ 5%-ით იმატა. თაფლის წარმოება მუნიციპალიტეტების მიხედვით იხილეთ დანართში – ცხრილი 4.13. თაფლის წარმოებით გამოირჩევა ძირითადად ქობულეთის მუნიციპალიტეტი, მასზე მოდის წარმოებული თაფლის 53%.

აჭარაში **მეფრინველეობის** განვითარებაზე და შესაბამისად კვერცხის წარმოებაზე 2004-2011 წლებში მეტყველებს ცხრილები 14 და 15. ჩანს, რომ 2004-2005 წლებთან შედარებით მეფრინველეობის პროდუქციის წარმოებამ იკლო (იხილეთ დანართი – ცხრილები 4.14, 4.15).

აჭარაში დღესდღეობით მოქმედებს 72 **სათევზე მეურნეობა**, რომლის ფაქტიური მწარმოებლურობაა 277,2 ტონა, ხოლო მაქსიმალური - 678 ტონა. მათ მიერ დაკავებული მიწის ფართობი შეადგენს 17 840 კვ. მ. სათევზე მეურნეობებში დასაქმებულთა რაოდენობა 200 კაცს აღწევს (იხ. დანართი – ცხრილი 4.16).

2011 წელს **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის** მხრივ აჭარაში სულ ტრაქტორების რაოდენობა 352-ია, სატვირთო მანქანები – 403, სატრაქტორო გუთნები - 38. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით – ცხრილი 4.17.

2011 წელს აჭარაში იმპორტირებული იქნა 293 584 ტონა სასურსათო პროდუქცია, სულ 296 522 ათასი ლარის ღირებულების, 37%-ით მეტი წინა წელთან შედარებით. 2011 წელს ექსპორტმა 23 744 ტონა შეადგინა. 45%-ით ნაკლები 2010 წელთან შედარებით. აჭარაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების **ექსპორტ-იმპორტის** მაჩვენებლები 2008-2011 წლებში იხილეთ დანართში – ცხრილი 4.18. 2011 წლის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები პროდუქტის სახეობების მიხედვით იხილეთ დიაგრამაზე 4.3, 4.4. აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში რეგიონის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ უკრაინა, სომხეთი, ბელორუსია, იტალია (იხ. დანართი – დიაგრამა 4.5), ხოლო ამავე წელს უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში ეკავა მანდარინს, თხილს, ხურმას, მზესუმზირის ზეთსა და დაფნას (იხ. დანართი – დიაგრამა 4.6). რაც შეეხება იმპორტს უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები ეკავა ხორბალს, შაქარს, კარტოფილს, ზეთსა და ხახვს (იხ. დანართი – დიაგრამა 4.7).

2011 წელს კვების პროდუქტების ფასების დინამიკა იხილეთ დანართში - დიაგრამა 4.8. ძირითად პროდუქტებზე (პური, ხორბლის ფვილი, წიწიბურა, საქონლის ხორცი, მცენარეული ზეთი, შაქარი, მარილი) ფასები გარკვეულ წილად მატულობს აპრილის თვეში და აქტიური ტურისტული სეზონის დროს (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი).

2006-2011 წლებში სოფლის მეურნეობაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა 102 117 919 ლარი. 2010-2011 წლებში განხორციელდა 31 543 897 ლარის ინვესტიცია 227%-ით მეტი 2009 წელთან შედარებით, დასაქმდა 1793 ადამიანი. ინვესტიციების განხორციელების მხრივ გამოირჩევა ისეთი დარგები, როგორებიცაა: ფქვილის წარმოება, ხილის გადამამუშავება, პურპროდუქტების, ბოსტნეულის, ზეთის, ჩაის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება. 2006-2011 წლებში სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების და დასაქმების შესახებ მონაცემები იხილეთ დანართში – ცხრილი 4.19.

რეგიონში სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული საინვესტიციო მიმართულებები

- ✓ ბოსტნეული კულტურების წარმოებისათვის სასათბურე მეურნეობის განვითარება;
- ✓ მერძეულ-მეხორცული მიმართულების მეცხოველეობის ფერმების განვითარება;
- ✓ მეკვერცხული და მეხორცული მიმართულების მეფრინველეობის ფერმების განვითარება;
- ✓ ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება;
- ✓ თევზპროდუქტების, ხორცპროდუქტების, საკონდიტრო ნაწარმის, ჩიფსებისა და ა.შ. წარმოების განვითარება;
- ✓ რძის პროდუქტების წარმოების განვითარება;
- ✓ ხილისა და ბოსტნეულის შესანახი სამაცივრე მეურნეობის განვითარება;
- ✓ სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქციის საბითუმო ბაზრების მოწყობა.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობა 2011 წელს:

- შპს „აგროფირმა ქობულეთი“-ს საწარმო აღჭურვილია ჩაის კლასიკური ტექნოლოგიით გადამამუშავების მანქანა-დანადგარებით, ჩაის ერთჯერადი დაფასებისა და აგურა ჩაის წარმოების ხაზებით. ფაბრიკას ჩაის ნედლეულით უზრუნველყოფს შპს „მილენიუმ-ტრანსი“. 2011 წელს საწარმოში მიღებული და გადამამუშავებული იქნა 533 ტონა ჩაის ფოთოლი, საიდანაც წარმოებულია 40,1 ტონა შავი ბაიხის ჩაი, 30,7 ტონა მწვანე ბაიხის ჩაი და 85 ტონა ლაო ჩაის ნახევარფაბრიკატი. ბაიხის ჩაის წარმოებაზე გახარჯულია 288 ტონა, ხოლო ლაო ჩაის ნახევარფაბრიკატის წარმოებაზე - 245 ტონა ჩაის ფოთოლი. ასევე, წარმოებულია 186 ტონა მწვანე აგურა ჩაი;
- შპს „ემირი“-ს მიერ წარმოებულია 170 ტონა მწვანე აგურა ჩაი, რომელიც ექსპორტირებული იქნა მონღოლეთსა და ბელორუსიაში;
- შპს „აჭარა ინვესტ ჩაი“-ს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გააჩნია 2 მიკრო ფაბრიკა. კომპანიის მიერ 2011 წელს გადამამუშავებული იქნა 65 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, საიდანაც წარმოებული იქნა 16 ტონა პირველადი წარმოების შავი ბაიხის ჩაი. ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე მიწოდებული იქნა 0,5 ტონა ერთჯერადი და დაფასოებული ჩაის ბრენდი „მარადიდი“;

- შპს „აგროექსპორტი“-ს საწარმოში კლასიკური ტექნოლოგიის გამოყენებით მზადდება მაღალი კლასის ერთჯერადი მოხმარების შავი ჩაი „ელიტა“ და მწვანე ჩაი „ბათუმი“. მოსახლეობისაგან 2-3 ფოთლიანი დუყი შესყიდული იქნა 0.8-1.0 ლარად. 2011 წელს გადამუშავებულია 3,0 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და დამზადებულია 0.7 ტონა ბაიხის ჩაი. ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარს მიეწოდა 2500 კოლოფი ერთჯერადი ჩაი;
- 2011 წელს შპს „ADJARIAN TOBACCO“-ს მიერ წარმოებული იქნა 3.5 ტონამდე თამბაქოს მშრალი ნახევარფაბრიკატი, საიდანაც დამზადდება ქართული სიგარა;
- 2011 წელს შპს „აიკონ ჯგუფის“ მიერ 1,1 ჰა ფართობზე დახურულ გრუნტში წარმოებული იქნა 500 ტონამდე პომიდორი;
- შპს „სენს-სელექშენი“-ს მიერ 2011 წელს წარმოებულია 30 ტონამდე სალათის ფურცელი და 500 კგ-მდე „ჩერი“-ს ჯიშის პომიდორი;
- 2011 წელს რეგიონში ხორბლის გადამუშავებას ახორციელებდა 5 წისქვილკომბინატი, რომელთა მიერ წლის განმავლობაში გადამუშავდა 56 051 ტონა ხორბალი, საიდანაც წარმოებული იქნა 36 269 ტონა უმაღლესი ხარისხის პურის ფქვილი;
- შპს „ბათუმის ლუდის ქარხნის“ მიერ 2011 წელს წარმოებული იქნა 3 მლნ 300 ათასი ლიტრი ლუდი „ბათუმური“, რომლის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე განხორციელდა;
- შპს „ბათოილი“-ს მიერ 2011 წელს წარმოებული იქნა 7 173 966 ლიტრი რაფინირებული ზეთი,
- შპს „კოკოტაური“-ს მიერ 2011 წელს წარმოებული იქნა 170 000 ბოთლი მინერალური წყალი „კოკოტაური“;
- შპს „Farm land“- მა 2011 წელს აწარმოა 2 800 ათას ცალამდე ფრინველის კვერცხი;
- შპს „აჭარული ღვინის სახლი“ - კომპანიის მიერ ადგილობრივი მოსახლეობისაგან შესყიდული იქნა 9 ტონა „ჩხავერის“ ჯიშის ყურძენი, საიდანაც წარმოებული იქნა 5800 ლიტრი ჩამოსასხმელი ღვინო, ასევე შესყიდული და გადამუშავებული იქნა 13 ტონა „ცოლიკოურის“ ჯიშის ყურძენი და წარმოებულია 8400 ლიტრი ღვინო. კომპანიის მიერ 2011 წელს წარმოებული იქნა 5000-მდე ბოთლი სამარკო ღვინო „პორტო ფრანკო“, რომელიც უკვე მიეწოდება სამომხმარებლო ბაზარს;
- შპს „ხელვაჩაურის პურის კომბინატი“ - ს მიერ წარმოებული იქნა 2 700 ათასი ლარის ღირებულების 1950 ტონა პური და ექსპლოატაციაში გაშვებული იქნა საკონდიტრო საწარმო;
- შპს „ციტრო“- 2011 წელს კომპანიის მიერ წარმოებული იქნა 250 გრ-იანი 45 000 ცალი 7 სახეობის ხილის წვენი და 1 ლიტრიანი 25 000 ცალი 4 დასახელების ხილის წვენი
- შპს „ჯეოლოკი“ - კომპანია ამოქმედდა 2011 წლის ნოემბრის თვეში და მისი ძირითადი საქმიანობა მაკარონის წარმოებაა. საწარმო უშვებს 6 სახეობის 0,5 და 1,0 კგ შეფუთვის მაკარონის ნაწარმს. 2011 წელს კომპანიის მიერ წარმოებული იქნა 46 ტონა მაკარონის პროდუქცია, საიდანაც ადგილობრივ ბაზარზე რეალიზებულია 15 ტონა.

საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი ორგანიზაციების მიერ 2011 წელს განხორციელებული პროექტები

- ✓ ევროკავშირის პროგრამა SPSP „სექტორის განვითარების მხარდაჭერა“ ფარგლებში სამინისტროში ერთთვიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ჰოლანდიელი ექსპერტი - ქალბატონი პეტრა გერეიტი, რომლის მიერ მომზადებული იქნა საპროექტო განაცხადი, რომელიც განსახილველად წარდგენილია ევროკავშირში. პროექტი ითვალისწინებს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“, ფერმერული მეურნეობებისა და სამინისტროს ინსტიტუციონალურ განვითარებას. პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი 3 მლნ ევროს შეადგენს.
- ✓ რეგიონში ბიო-გაზის დანადგარებისა და სასათბურე მეურნეობის განვითარების პროექტი დაფინანსდა **ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ**. პროგრამის ფარგლებში ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში მოეწყო თითო პილოტური ბიო-გაზის დანადგარი და სასათბურე მეურნეობა
- ✓ **ჩეხეთის განვითარების სააგენტოს** მიერ დაფინანსდა ჩეხური საერთაშორისო ორგანიზაცია **კარიტას-ჩეხეთის**, ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია **ABCO-სა** და სამინისტროს მხარდაჭერით მომზადებული პროექტი „ხულოს მუნიციპალიტეტში მეკარტოფილე ფერმერთა საკონსოლიდაციო ცენტრის მოწყობა“. პროექტის ფარგლებში ასოციაციის წევრებს ჩაუტარდა ტრენინგები, მიეწოდათ სხვადასხვა სამექანიზაციო საშუალებები
- ✓ **გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)** ფარგლებში ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ დაფინანსდა 122 800 ლარით, რომლის ფარგლებში 1 ჰა-ზე მოეწყო მრავალწლიანი კულტურების სანერგე მეურნეობა

ინფორმაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ 2004-2011 წლებში განხორციელებული პროექტების შესახებ იხილეთ დანართი – ცხრილი 4.20.

სახელმწიფო პროგრამა „იაფი კრედიტის“ პირობებში სესხი დაუმტკიცდა 14 კომპანიას, სულ გაცემული იქნა 5 630 ათასი ლარის ოდენობის სესხი (იხ. დანართი –ცხრილი 4.21)

2004-2011 წლებში განხორციელებული **მიზნობრივი პროგრამები ითვალისწინებდნენ შემდეგ ღონისძიებებს**: ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებები, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, აჭარის აგროკლიმატურ პირობებში ეკოლოგიურად სუფთა ბიოტექნოლოგიური მეთოდის გამოყენება მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მოსახლეობის უზრუნველყოფა ჯიშობრივად გაუმჯობესებული სხვადასხვა სახის სარგავი მასალით, ციტრუსოვანთა მავნებელ დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ხელშეწყობა, ციტრუსოვანთა ნაყოფის ექსპორტზე რეალიზაციის ხელშეწყობა, ფერმერთა სწავლება-კონსულტირება და მათი უზრუნველყოფა სახელმძღვანელო-საცნობარო ლიტერატურით, მცირე მექანიზაციის საშუალებების შეძენა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა, სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის მიზნით ლაბორატორიული კვლევა, ცხოველებისა და ადამიანის საერთო სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები (აცრები), ერთწლიანი კულტურების ჯიშთ განახლებისათვის ფერმერთა ხელშეწყობა, სურსათის ხარისხის კონტროლის მიზნით ლაბორატორიული კვლევის პროგრამა, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა, ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრის განვითარება, სსიპ –სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის გადაიარაღება (იხ. დანართი - ცხრილები 4.22- 4.29).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2004-2011 წლებში
მიზნობრივი პროგრამების დაფინანსების დინამიკა

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
პროგრამების დაფინანსება (ლარი)	89 442	306 014	348 346	721 508	1 634 841	1 221 725	1 056 027	2 239 600

სოფლის მეურნეობის სვოთ ანალიზი

<u>ძლიერი მხარეები</u>	<u>სუსტი მხარეები</u>
1. რეგიონის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; 2. უნიკალური სუბტროპიკული და კონტინენტალური ბუნებრივ-კლიმატური პირობები; 3. ორგანული პროდუქციის წარმოები-სათვის ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები; 4. დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების არსებობა; 5. ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მუდმივად მზარდი მოთხოვნილება; 6. შრომითი რესურსების არსებობა; 7. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტისათვის ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმები; 8. რეგიონის აგრარული სექტორის მრავალდარგობრიობა.	1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების დაბალი დონე; 2. მსხვილ და საშუალო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სიმცირე; 3. ახალი ტექნოლოგიების დეფიციტი და აგროტექნიკის დაბალი დონე; 4. მექანიზაციის დაბალი დონე, სოფლად ხელით შრომის მაღალი ხვედრითი წილი; 5. სანაშენე, სანერგე, მეთესლეობის, ჯიშთა გამოცდისა და მცენარეთა დაცვის, სამელიო-რაციო, ვეტერინარული, აგროსაინჟინრო და სხვა სახის ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე; 6. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემგროვებელი, სასაწყობო და სარეალიზაციო მომსახურების ინფრასტრუქტურის დაბალი დონე; 7. რეგიონში ეროზიული ზონების არსებობა და მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე; 8. სოფლად ინფრასტრუქტურის დაბალი დონე (შიდა სასოფლო გზები, გაზიფიკაცია, წყალგაყვანილობა, ტელეფონი, ინტერნეტი და სხვა); 9. ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან ადაპტირებული, დაავადებებისადმი მდგრადი ჯიშების ინტროდუქციისა და ჯიშთგანახლების დაბალი დონე; 10. მრავალწლიანი ნარგავების ამორტიზებულობის მაღალი დონე და მეჩხერიანობა; 11. დაბალი მოსავლიანობა; 12. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაბალი სასაქონლო სახე, არასტანდარტული პროდუქციის მაღალი ხვედრითი წილი; 13. მაღალი დანახარჯები ერთეულ პროდუქციაზე 14. აგროსასურსათო პროდუქციის ვიწრო საექსპორტო არეალი; 15. აგრომეწარმეთა აგროტექნიკური და მარკეტინგული ცოდნის დაბალი დონე, კონსერვატიული დამოკიდებულება სიახლეებისადმი;

	16. აგრომეწარმეთა საინფორმაციო-საკონსულტაციო უზრუნველყოფის დაბალი დონე; 17. აგროსასურსათო სექტორში დასაქმებულთა შორის კოოპერაციისა და კონსოლიდაციის დაბალი დონე; 18. საბანკო/საკრედიტო/სალიზინგო ორგანიზაციების დაბალი დაინტერესება აგროსასურსათო სექტორით და მომსახურების არახელსაყრელი პირობები (მაღალი საპროცენტო განაკვეთი) და სხვა; 19. რეგიონის აგროსასურსათო სექტორში სადაზღვევო მომსახურების არარსებობა; 20. სურსათის უვნებლობის და ხარისხის დაბალი დონე.
<u>შესაძლებლობები</u> 1. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება; 2. აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა; 3. ადგილობრივი და უცხოური ბიზნესსაზოგადოების ორიენტირება რეგიონის აგროსასურსათო სექტორში ინვესტიციების განხორციელებაზე; 4. ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისება; 5. აგრომეწარმეთა შემოსავლების ზრდა; 6. მსოფლიო და ადგილობრივ ბაზრებზე ბიო პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა; 7. საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ორიენტირება რეგიონის აგროსასურსათო სექტორზე; 8. ტურისტთა რაოდენობის ზრდა; 9. აგრო, ეკო, სამთო, სამონადირეო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები; 10. რეგიონის სრული გაზიფიცირება; 11. ადგილობრივი და საერთაშორისო საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება.	<u>საფრთხეები</u> 1. გლობალური ეკონომიკური კრიზისი 2. ინფლაცია; 3. გლობალური დათბობა, ბუნებრივი კატაკლიზმები, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და ა. შ ; 4. ბაზრების მრავალფეროვნების ნაკლებობა; 5. ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების მასიური გავრცელება; 6. მომხმარებლის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა სურსათის უვნებლობის სისტემის არარსებობის გამო; 7. იმპორტული პროდუქციის დემპინგი.

სტრატეგიული მიმართულებები:

სასოფლო სამეურნეო მიწების ეფექტიანად გამოყენების ხელშეწყობა

1. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პრივატიზაციის პროცესის გააქტიურების და მიწათსარგებლობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და გარემოს დაცვის სამმართველოსთან ერთად მსხვილკონტურიანი მიწის ფართობების შესწავლა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მათი ზომების დადგენა, პირობებიანი აუქციონის ფორმით გაყიდვის ან იჯარით გაცემის ხელშეწყობა;
2. მიწათსარგებლობის ეფექტიანობის ამაღლებისა და ქონების დარეგისტრირების პროცესის გააქტიურებისათვის სასოფლო სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის ადმინისტრირების გაუმჯობესება, რადგან გადასახადის დარიცხვის საფუძველია მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც ხელს შეუწყობს მიწის მესაკუთრეთა ცნობიერების ამაღლებას;
3. ფერმერებსა და აგრომეწარმეებს შორის კოოპერაციისა და კონსოლიდირების ხელშეწყობის მიზნით პროგრამებისა და პროექტების ორიენტირება;
4. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალურად გამოყენების და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;
5. რეგიონის აგრარულ სექტორზე საინფორმაციო ელექტრონული ბაზის შექმნის ხელშეწყობა.

წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ამაღლების ხელშეწყობა

6. აგრომეწარმეთა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საშუალებებით, მათ შორის მცირე მექანიზაციის საშუალებებით, უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;
7. მთიან აჭარაში ბიოგაზის დანადგარების დანერგვისასთვის (თანადაფინანსების) პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა;
8. მემცენარეობაში, მეფრინველეობასა და მეცხოველეობაში პერსპექტიული ჯიშების გავრცელებისა და ჯიშთგანახლების ხელშეწყობა;
9. ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან ადაპტირებული, მაღალშემოსავლიანი მცენარეთა მდგრადი ჯიშების გავრცელების პროგრამების ამოქმედების ხელშეწყობა;
10. მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა ცხოველთა იდენტიფიკაციის, ხელოვნური დათესვლის სერვისცენტრების და სასაკლაოების მოწყობით;
11. მეთევზეობისა და მეფუტკრეობის დარგების განვითარების ხელშეწყობა;
12. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ხელშეწყობა.

აგრო განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობა

13. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფერმერთა საკონსულტაციო-სასწავლო ცენტრის შექმნა;
14. აგრარულ სექტორში დასაქმებულთა სწავლება-კონსულტირება (ტრენინგები) და მათი უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა;
15. სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა (აგრონომი, ვეტექიმი, ვეტერინარი, ენტომოლოგი და სხვა) დეფიციტის დაძლევის მიზნით უცხოეთში სწავლების მხარდაჭერა;
16. დეფიციტურ აგრარულ სპეციალობებზე სტუდენტთა სწავლების სტიმულირება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა

17. პროდუქციის წარმოებისათვის ნედლეულის შემგროვებელ, სასაწყობო და გადამამუშავებელ საწარმოთა შექმნის სტიმულირება;
18. სანაშენე და სათესლე მეურნეობების ჩამოყალიბების სტიმულირება;
19. ფერმერთა მომსახურების ცენტრების განვითარების ხელშეწყობა;
20. პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო პროექტების სუბვენცირება, გარანტიით უზრუნველყოფა და თანადაფინანსება.

აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობა

21. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
22. დაკრედიტების, დაზღვევისა და ლიზინგის სისტემების განვითარების ხელშეწყობა;
23. საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისა და ექსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
24. აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
25. ბიზნეს ფორუმებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენების ორგანიზება;
26. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;
27. დამხმარე ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა (დენი, წყალი, გაზი, გზა და ა.შ.);
28. საერთაშორისო სტანდარტების (ISO, HACCP, GLOBAL GAP, CODEX ALIMENTARIUS და ა.შ.) დანერგვის ხელშეწყობა.

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სისტემის ხელშეწყობა

29. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის, მცენარეთა დაცვის, ფიტოსანიტარული მდგომარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის კეთილსაიმედოობის გასაუმჯობესებლად ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ხელშეწყობა;
30. მცენარეთა დაავადებებისა და მავნებლების, ადამიანისა და ცხოველთა საშიში ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
31. თანამედროვე სტანდარტების ლაბორატორიის შექმნის ხელშეწყობა.

თავი 5. მშენებლობა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2010 წელს მთლიან დამატებით ღირებულებაში მშენებლობის წილი 10,3 პროცენტი იყო და შეადგინა 142,5 ათასი ლარი (იხ. დანართი – დიაგრამები 5.1, 5.2). აღნიშნული მაჩვენებელი 2006 წელთან შედარებით გაზრდილია 49 %-ით.

ქვეყნის მასშტაბით მშენებლობაში (ბიზნეს სექტორი) გამოშვებული პროდუქციის მთლიან მოცულობაში აჭარის არ-ის ხვედრითი წილი ბოლო წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2010 წელს გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ 218,9 მლნ. ლარი შეადგინა (იხ. დანართი – ცხრილი 5.1; დიაგრამა 5.3), რაც წინა წელთან შედარებით 14,6%-ით გაზრდილია. აჭარა თბილისის შემდეგ პირველ ადგილს იკავებს რეგიონებს შორის მშენებლობაში პროდუქციის გამოშვების მოცულობით.

აჭარის ა. რ-ში 2010 წელს მშენებლობაში ბრუნვის მოცულობამ 208,1 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 13 %-ით, ხოლო ამ დარგში დამატებული ღირებულება 2010 წელს 84,6 მლნ. ლარი იყო, ეს მაჩვენებელი 2009 წელთან შედარებით 16,8 %-ით გაიზარდა (იხ. დანართი - დიაგრამები 5.4, 5.5).

2010 წელს მშენებლობაში განხორციელებული კერძო ინვესტიციები 79,24 მლნ. ლარს შეადგენდა. წინა წელთან შედარებით გაიზარდა 25,84 მლნ. ლარით (იხ. დანართი - დიაგრამა 6). 2010 წელს აჭარაში სამშენებლო ბიზნესში საშუალო შრომის ანაზღაურებამ 846,9 ლარი შეადგინა, ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 238,1 ლარით – 39,1 %-ით, ხოლო საქართველოს მასშტაბით 2010 წელს საშუალო ხელფასმა 674,6 ლარი შეადგინა (იხ. დანართი - ცხრილი 5.2).

აჭარის არ-ში 2010 წელს მშენებლობაში 4064 კაცი იყო დასაქმებული, ეს არის ქვეყნის მასშტაბით ამ დარგში დასაქმებულების დაახლოებით 10 პროცენტი (იხ. დანართი-ცხრილი 5.3; დიაგრამა 5.7). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა ეკონომიკის სამინისტროს 2011 კვლევის შედეგების თანახმად მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 6500 კაცს აღემატებოდა.

2011 წლის განმავლობაში კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მშენებლობის დარგზე გაცემული სესხების მოცულობა 47270,28 ათ. ლარია, რეგიონის ეკონომიკის ყველა დარგზე გაცემული მთლიან სესხებში 14% მშენებლობაზე მოდის.

აჭარის ტერიტორიაზე 2011 წელს გაცემული იქნა მშენებლობის 792 ნებართვა, მათ შორის ბათუმში – 516, ქობულეთში - 67, ხელვაჩაურში - 191, ქედაში – 3, შუახევიში – 4, ხულოში – 11 (იხ. დანართი- დიაგრამა 5.8).

2011 წლის განმავლობაში თვითმმართველ ქალაქ ბათუმში ძირითადად ნებართვები გაიცემოდა საცხოვრებელი სახლების შენებაზე. დაახლოებით 359 855 კვ.კმ მიწის ნაკვეთზე აშენდება საცხოვრებელი სახლები (იხ. დანართი-დიაგრამა 5.9-5.14).

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აჭარის არ-ში მშენებარე ობიექტების რაოდენობაა 603, აქედან 509-ის მშენებლობა მიმდინარეობს და 94 შეჩერებულია (იხ. დანართი-ცხრილი 5.4).

მშენებლობის სვოთ ანალიზი

<i>ძლიერი მხარეები</i>	<i>სუსტი მხარეები</i>
1. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო; 2. ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა; 3. ეკონომიკური ზრდის მაღალი პოტენციალი; 4. ნებართვების გაცემის გამარტივებული წესი: ერთი ფანჯრის პრინციპი, ნებართვებზე მოსაკრებლების ოდენობის სიმცირე; 5. პრივატიზაციის ფართო არიალი; 6. იაფი მუშახელი; 7. კერძო საამშენებლო და საპროექტო კომპანიების სიმრავლე; 8. დაკვეთების მრავალფეროვანი კონიუნქტურა; 9. მსხვილი და მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების მასშტაბური განხორციელება; 10. მშენებლობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები; 11. ეკონომიკის სხვა დარგებში ინვესტიციების ზრდა; 12. რეგიონის სანაპირო ზოლის როლისა და სატრანზიტო ფუნქციის გაზრდასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების მაღალი ტემპი; 13. საშენ მასალათა წარმოებისათვის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების არსებობა; 14. რეგიონის გაზიფიცირების პროგრამა; 15. საზოგადოების მზადყოფნა; ცვლილებებისა და რეფორმებისადმი 16. საბიუჯეტო სახსრებით და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების თანამონაწილეობით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.	1. ენერგორესურსების დამზოგი და ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიებისა და მასალების გამოყენების დაბალი აქტივობა; 2. კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების დეფიციტი; 3. მშენებლობის მენეჯმენტის არასათანადო დონე; 4. მშენებლობაში ხარისხის მართვისა და კონტროლის სისტემის არაეფექტურობა; 5. მომხმარებლების არასაკმარისი ნდობა საამშენებლო დეველოპერული კომპანიებისადმი; 6. მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მექანიზმების არასრულყოფილება; 7. იზოთეკური სესხის მაღალი პროცენტი; 8. საამშენებლო ბიზნესზე საბანკო სესხის მაღალი პროცენტი; 9. საამშენებლო მასალების მწარმოებელი საწარმოების სიმცირე და გამოშვებული პროდუქციის არასაკმარისი რაოდენობა; 10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტების, დასახლებების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის არ არსებობა; 11. სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში (მათ შორის დაგეგმარების კუთხით) საზოგადოების დაბალი ჩართულობა და საჯაროობის არასრულყოფილება; 12. საზოგადოების შედარებით დაბალი სამართლებრივი კულტურა და არასათანადო დამოკიდებულება ურბანული მემკვიდრეობისადმი; 13. სხვადასხვა დონის საჯარო მოხელეთა არასათანადო კვალიფიკაცია; 14. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურული ერთეულების ინსტიტუციური მოწყობისა და კომპლექტაციის არასრულყოფილება, მათი მწირი დაფინანსება და არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა; 15. საამშენებლო სფეროში სადაზღვევო

	კომპანიების ჩართულობის დაბალი დონე და სავალდებულო დაზღვევის არ არსებობა; 16. სოციალურად დაუცველი ფენებისთვის საბინაო ფონდის სიმცირე; 17. საქალაქო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის არასრულყოფილება და მესაკუთრეთა (მათ შორის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების) ინტერესების, უფლებება/მოვალეობებისა პასუხის-მგებლობების ჩამოუყალიბებლობა; 18. სამშენებლო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების და ნაგავსაყრელებისთვის ტერიტორიის არ არსებობა.
<u>შესაძლებლობები:</u> 1. საბანკო სექტორის გააქტიურება, იპოთეკურ და მშენებლობაზე გაცემული კრედიტების პროცენტის შემცირება; 2. ინფრასტრუქტურული პროექტებით საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესება; 3. მშენებლობის პროდუქციაზე მოთხოვნის არსებობა და მოსახლეობის ნდობის ზრდა; 4. სადაზღვევო კომპანიების სერვისის გაუმჯობესება; 5. საზოგადოების ინტერესების დაცვის მექანიზმის გაუმჯობესება; 6. აჭარისადმი უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორთა ინტერესის ზრდა; 7. რეგიონში არსებული სამრეწველო ზონების განვითარება; 8. მესაკუთრეთა მძლავრი ფენის შექმნა; 9. შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღების შედეგად დასახლებული პუნქტების მდგრადი განვითარება; 10. სამშენებლო სფეროში პროგრესული საწარმოო სტრუქტურების განვითარება, დასაქმებისა და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება; 11. საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების რეგიონებთან საწარმოო კავშირების განვითარება.	<u>საფრთხეები:</u> 1. ინვესტიციების სიმცირე; 2. გლობალური ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია; 3. მშენებლობაში გამოყენებულ მასალებზე ფასების ზრდა; 4. კვალიფიციური კადრების გადინება; 5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების გაჭიანურებით ტერიტორიების არარაციონალური გამოყენება, ქაოსური მშენებლობები; 6. საშენ მასალათა წარმოებისათვის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოყენებასთან და წარმოებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები.

სტრატეგიული მიმართულებები:

სამშენებლო სფეროში განათლების დონის და დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება

1. მშენებლობაში დასაქმებულთა სწავლება-კონსულტირება (ტრეინინგები) და მათი სტაჟირება;
2. მშენებლობისა და არქიტექტურის დარგში დეფიციტურ სპეციალობებზე სტუდენტთა სწავლების თანადაფინანსება, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისე პროფესიულ სკოლებში;
3. მშენებლობის სპეციალისტთა დეფიციტის დაძლევის მიზნით უცხოეთში სწავლების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის ამოქმედება;
4. მშენებლობის კუთხით სპეციალისტთა სავალდებულო პროფესიული სერთიფიცირების სისტემის შემოღება;
5. საკანონმდებლო ცვლილებებზე დროული ინფორმირება, სემინარების ორგანიზება თემებზე: უძრავი ობიექტების მშენებლობის სამართლებრივი რეგულირება, საგადასახადო ასპექტები, სამშენებლო საქმიანობის შესახებ პრაქტიკული კითხვები;
6. ქალაქგეგმარებასა და მსხვილ საპროექტო სამუშაოებში ადგილობრივი კადრების ჩართულობა.

მშენებლობაში სავალდებულო დაზღვევის შემოღების მიზნით საკანონმდებლო ინიციატივა

7. დასაქმებულთა სავალდებულო დაზღვევა;
8. სამშენებლო პროდუქტის სავალდებულო დაზღვევა;
9. სამშენებლო ტექნიკის სავალდებულო დაზღვევა;
10. რისკების სავალდებულო დაზღვევა.

სამშენებლო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა

11. კონკურენტუნარიანი სამშენებლო მასალების წარმოების განვითარების მიზნით თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საწარმოების შექმნისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა;
12. მშენებლობაში დამწყები კომპანიებისთვის ბიზნეს ინკუბატორის შექმნა;
13. სამშენებლო სექტორის სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამა;
14. სამშენებლო მასალების და ტექნიკის გამოფენა-ბაზრობების ორგანიზება;
15. ყოველკვარტალურად ან ყოველწლიურად მარკეტინგული კვლევების ჩატარება და შესაბამისი ინფორმაციის პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნება;
16. საშენ მასალათა წარმოებისათვის საჭირო სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დადგენა და რეალიზაცია.

მშენებლობაში ხარისხის მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა

17. სამშენებლო პროდუქტის ხარისხის დამდგენი ლაბორატორიების შექმნა და მათი აკრედიტაციის პროცესების სრულყოფა;
18. სახელმწიფო და კერძო დაკვეთების შესრულების დროს ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების, მსუბუქი კონსტრუქციების, ეკოლოგიურად სუფთა და თბოდამზოგი საშენი მასალების და ნაკეთობების გამოყენების სტიმულირება.

ქალაქმშენებლობის პროცესის საჯაროობის უზრუნველყოფა და ურბანული მემკვიდრეობის დაცვა

19. საზოგადოების აქტიური ჩართულობის მიზნით ქალაქმშენებლობითი პროექტების საჯარო განხილვა და მასმედიით გაშუქება;
20. საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით საკონსულტაციო ჯგუფების ფორმირება.

ქალაქმშენებლობის დარგში სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის სრულყოფა

21. მუნიციპალიტეტებს მიეცეთ რეკომენდაცია ქალაქმშენებლობის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურად გატარების მიზნით შექმნან ერთიანი სტრუქტურული ორგანო, რომელიც უფლებამოსილი იქნება მშენებლობის ნებართვის გაცემასა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებაზე, აგრეთვე ამ სამსახურების კოორდინაციის მიზნით განისაზღვროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამ დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოსთან (ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო) ურთიერთდამოკიდებულება;
22. ქალაქმშენებლობის დარგში სახელმწიფო სტრუქტურების თანამედროვე დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა;
23. საჯარო სამსახურში დასაქმებულთა გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და პერიოდული ატესტაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტების, დასახლებების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავება

24. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტების, დასახლებების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების დაჩქარება;
25. დოკუმენტაციის შემუშავებამდე ბარაკული ტიპის დასახლებების, ყოფილი სამრეწველო ობიექტებისა და თავისუფალი ტერიტორიების, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი რესურსების მქონე არელების ქაოსური მშენებლობებისაგან დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა;
26. მშენებლობა დაუმთავრებელი ობიექტების საბოლოო ბედის გადაწყვეტა.

საქალაქო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფა

27. სემინარების სისტემატურად ორგანიზება თემაზე: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მართვა, მათი უფლებები, მოვალეობები, და პასუხისმგებლობა;
28. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის პრივატიზების პროცესის დასრულება;
29. სოციალურად დაუცველი ფენებისათვის საბინაო და სამანევრო ფონდის შექმნის მიზნით სათანადო პროგრამების შემუშავება.

თავი 6. მრეწველობა

2004 წლიდან მნიშვნელოვნად დაჩქარდა რეგიონის ეკონომიკის განვითარება. სწრაფი ტემპით დაიწყო ეკონომიკის რეაბილიტაცია და ინტეგრაცია, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში. შესაბამისად, სწრაფი ტემპით გაიზარდა რეგიონში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება.

2012 წლის 1 იანვრის მდომარეობით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით აჭარის რეგიონში მრეწველობის დარგში ფუნქციონირებს 419 მსხვილი, საშუალო და მცირე ზომის საწარმო, მათ შორის: 397 წარმოადგენს დამამუშავებელ მრეწველობას, 17 სამთომოპოვებითს და 5 ელექტროენერგიის, აირის და წყლის წარმოება და განაწილებას (იხ.დანართი-ცხრილი 6.1).

მრეწველობაში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება 2010 წელს 2006 წელთან შედარებით 72%-ით გაიზარდა. აჭარაში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში მრეწველობის ხვედრითი წილი ამავე პერიოდში 5,6–8,1%-ის ფარგლებში მერყეობს, 2010 წელს ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირდა 8,5%-ით (იხ.დანართი-დიაგრამა 6.1).

2010 წელს აჭარის რეგიონში მრეწველობაში ბიზნეს სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 155 მლნ ლარი, რაც ქვეყნის მასშტაბით ამავე დარგში გამოშვებული პროდუქციის მოცულობის 3,2%-ს შეადგენს. ხოლო ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 159 მლნ. ლარი (იხ.დანართი-ცხრილი 6.2; დიაგრამა 6.2,6.3).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით აჭარის არ-ში 2010 წელს მრეწველობაში 6377 კაცი იყო დასაქმებული და წინა წელთან შედარებით დასაქმებულების რაოდენობა გაზრდილია 4,3 %-ით (იხ. დანართი -ცხრილი 6.3, დიაგრამა 6.4). მრეწველობის სფეროში დასაქმებული ადამიანების 91% მოღვაწეობენ დამამუშავებელ მრეწველობაში. დასაქმებულთა დიდი ნაწილი მოდის ტექსტილისა და ტექსტილის ნაწარმის წარმოებაზე - 41% და საკვები პროდუქტებისა (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს წარმოებაზე -30% (იხ. დანართი–დიაგრამა 6.5).

2005-2011 წლებში ძველი უმოქმედო ან დაბალრენტაბელური სამრეწველო საწარმოების პრივატიზების შედეგად შეიქმნა და ამუშავდა თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი საწარმოები, სადაც 2004-2011 წლებში განხორციელდა 145 მილიონ აშშ დოლარზე მეტი კერძო ადგილობრივი და უცხოური ინვესტიცია. 2011 წლის განმავლობაში განხორციელდა 36 მილიონი ლარის ინვესტიცია, რაც 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4-ჯერ აღემატება (იხ. დანართი–დიაგრამა 6.6).

მრეწველობის სვით ანალიზი

<i>ძლიერი მხარეები:</i>	<i>სუსტი მხარეები:</i>
1. ხელსაყრელი პირობები გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის; 2. ახლოს არსებული იაფი ნედლეულის წყარო (პირველადი სოფლის მეურნეობა); 3. იაფი სამუშაო ძალა; 4. გარკვეული პოტენციალი ხის დამუშავებისა და სამშენებლო ინდუსტრიის სფეროში; 5. საზღვაო ნავსადგურის, რკინიგზის და საავტომობილო გზების (ინფრასტრუქტურა) არსებობა; 6. მსოფლიო ბაზრებზე ფასების ზრდის ფონზე გადამამუშავებელი დარგის რენტაბელობის ზრდის პოტენციალი; 7. მრეწველობის განახლებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.	1. გრძელვადიანი და იაფი საკრედიტო რესურსების ნაკლებობა; 2. კაპიტალისა და ინვესტიციების სიმცირე; 3. მდარე ხარისხის ფალსიფიცირებული და არასტანდარტული პროდუქციით გაჯერებული ბაზარი; 4. მენეჯმენტის დაბალი დონე; 5. ადგილობრივი წარმოების ნედლეულისა და მასალების სამრეწველო ათვისების დაბალი დონე; 6. სამრეწველო წარმოებაზე ორიენტირებული ბიზნეს ინტელექტის ნაკლებობა და აქტიურობის დაბალი დონე; 7. შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე; 8. კადრების დაბალი კვალიფიკაცია და შრომის დაბალი ანაზღაურება; 9. შრომითი რესურსების შეუსაბამობა საბაზრო მოთხოვნებთან; 10. მარკეტინგის დაბალი დონე; 11. საგარეო ბაზრების მოძიების სისუსტე, უცხოურ ბაზრებზე დამკვიდრების დაბალი ხარისხი; 12. საწარმოების არასრული დატვირთვა და პროდუქციის წარმოების მაღალი ხარჯები; 13. ცალკეულ სამრეწველო საწარმოებში არსებული მოძველებული ტექნიკა და ტექნოლოგიები; 14. სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის არ ქონა; 15. პროდუქციისა და ბაზრების მრავალფეროვნების სიმცირე; 16. ხარისხის მართვისა და კონტროლის სისტემის გაუმართაობა; 17. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფოებრივი ზედამხედველობის უზუნველყოფის დაბალი დონე და შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო სტრუქტურების არარსებობა ; 18. საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის მომხმარებელთა უფლებების და საქონლის

	ხარისხის შესახებ დაბალი ინფორმირებულობა; 19. მსხვილ და საშუალო საწარმოთა ნაკლებობა, გარე და შიდა ბაზრების მარკეტინგული კვლებისათვის რესურსების სიმცირე; 20. ბიზნეს ასოციაციების ნაკლებობა.
შესაძლებლობები: 1. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები; 2. საექსპორტო შესაძლებლობების ზრდა და ახალი ბაზრების ათვისება; 3. შემოსავლების ზრდა; 4. იაფი და გრდმელვადიანი საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობის გადიდება; 5. კერძო სამეწარმეო ინტერესის ზრდა; 6. პრივატიზაცია, სახელმწიფოს ხელში ნაკლები საწარმო; 7. შიდა მოთხოვნის არსებობა; 8. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ამოქმედება; 9. ინდუსტრიული საწარმოებისათვის აუცილებელი ინვესტიციების მოზიდვა 10. ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება; 11. ხელისუფლების და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ მრეწველობის სექტორის მხარდაჭერა; 12. მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მდგრადი განვითარება; 13. საგადასახადო სისტემის გამარტივება; 14. მდარე და არასტანდარტული სამრეწველო პროდუქციის იმპორტის შეზღუდვა.	საფრთხეები: 1. მსოფლიო ფინანსური კრიზისი; 2. იმპორტული პროდუქციის დემპინგი; 3. არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა.

სტრატეგიული მიმართულებები:

1. მრეწველობის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება და საწარმოო პროცესში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვაში მხარდაჭერა (მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის თანადაფინანსება სტრატეგიული მნიშვნელობისა და პრიორიტეტული დარგების საწარმოებში). სახელმწიფო მნიშვნელობის მრეწველობის დარგების სუბვენციებისა და თანადაფინანსების პროგრამები;
2. სამრეწველო ბიზნეს ინკუბატორების შექმნა იმ ტერიტორიებზე, სადაც მომავალში შესაძლებელია სამრეწველო ზონების განვითარება (ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში);
3. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის ხელშეწყობა: ზონის ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა უფრო მიმზიდველი გახდეს ინვესტორისათვის; ზონის რეკლამირება (შესაძლოა საინფორმაციო საიტის შექმნა);
4. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მოხდება საშელავათო კრედიტების გაცემა, სუბსიდირება და თანადაფინანსება აჭარაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის;
5. მრეწველობის სფეროში შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით დასაქმებულ მუშაკთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების და მენეჯერების დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით მათი სწავლების მხარდამჭერი ღონისძიებები, ტრენინგები, სტაჟირება, გადამზადება, სწავლება-კონსულტაცია. ბიზნესსა და განათლებას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა ადგილობრივი დასაქმებისა და უწყვეტი სწავლების უზრუნველსაყოფად;
6. ქართული პროდუქციის მიმართ შიდა და უცხოურ ბაზრებზე ნდობის მოპოვების მიზნით აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დანერგვა. ამისათვის საჭიროა სათანადო საკანონმდებლო ღონისძიების ჩატარება, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის შესრულებაზე სრულფასოვანი სახელმწიფოებრივი ზედამხედველობის უზრუნველყოფა, შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო სტრუქტურების შექმნის გზით;
7. ბიზნეს ასოციაციებიდან თანამშრომლობა და მათი მხარდაჭერა;
8. სამრეწველო ბიზნეს ფორუმების და გამოფენების მოწყობა.

თავი 7. ინფრასტრუქტურა

I. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

აჭარაში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 2010 წელს 103.9 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 20%-ით გაიზარდა. ამ დარგის ხვედრითი წილი 2006-2010 წლებში მთლიან დამატებულ ღირებულებაში 7.3-11.5 %-ის ფარგლებში მერყეობდა (იხ. დანართი-დიაგრამა 7.1).

მთლიანად ქვეყანაში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში პროდუქციის გამოშვება 2003-2010 წლებში ზრდის, ხოლო 2009 წელს კი უმნიშვნელო კლების ტენდენციით ხასიათდება. 2010 წელს გამოშვებული პროდუქცია 132.4 მლნ. ლარი იყო, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 12.9 %-ით. ამავე დარგში ბრუნვის მაჩვენებელი 2010 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია 4.9%-ით და 133.5 მლნ ლარი შეადგენა. 2003-2010 წლებში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში პროდუქციის გამოშვება და ბრუნვის მოცულობა რეგიონების მიხედვით და აჭარაში ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის დარგში პროდუქციის გამოშვება და ბრუნვის მაჩვენებლების დინამიკა იხილეთ დანართში – ცხრილი 7.1 და დიაგრამები 7.2, 7.3.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით აჭარის არ-ში ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის დარგში 2011 წლის მდგომარეობით მოქმედებს 180 ორგანიზაცია, მათ შორის 13 მსხვილი, 19 საშუალო, 120 მცირე და 28 უცნობი.

აჭარის არ. 2010 წელს ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში 3225 კაცი იყო დასაქმებული, წინა წელთან შედარებით დასაქმებულების რაოდენობა შემცირებულია 19.8 %-ით, როცა მთლიანად საქართველოს მაშტაბით შემცირდა 2%-ით (იხ. დანართი - ცხრილი 7.2 და დიაგრამა 7.4) 2010 წელს აჭარაში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება წინა წელთან შედარებით გაიზარდა 19.8 %-ით, შრომითი დანახარჯები კი 8.3 პროცენტით შემცირდა (იხ. დანართი - ცხრილი 7.3 და დიაგრამა 7.5).

საზღვაო ნავსადგური უკავშირდება კავკასიის, ცენტრალური აზიის, უკრაინისა და თურქეთის ქვეყნებს საავტომობილო და სარკინიგზო გზებით.

ბათუმის ნავსადგური გამოირჩევა თავისი გეოსტრატეგიული და ბუნებრივი უპირატესობებით, კერძოდ:

- ნავსადგური მდებარეობს ბუნებრივ ღრმაწყლიან უბეში, რაც იძლევა დიდტონაჟიანი გემების მიღების საშუალებას;
- ნავსადგურში შესასვლელად არ არის საჭირო არხის გავლა;
- ნავსადგური კარგადაა დაცული სანაპიროდან;

ნავსადგური გამოიყენება აგრეთვე, როგორც მთავარი სატრანზიტო ნავსადგური ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ნავთობის გადასამუშავებლად.

ბათუმის საზღვაო ნავსადგური შავი ზღვის აუზის აღმოსავლეთ სანაპიროზე სატრანსპორტო-საკვანძო ფუნქციას ასრულებს, რომლის მეშვეობით ხორციელდება "TPACECA"-ს მარშრუტზე

გატარებული ენერგომატარებლების 94%-ის გადატვირთვა, ასევე ამ მიმართულებისა და საქართველოს სამხრეთით განლაგებული ქვეყნების მშრალი ტვირთების გადაზიდვები.

ნავსადგურს გააჩნია 5 ტერმინალი: ნავთობტერმინალი, მშრალი ტვირთის ტერმინალი, საკონტეინერო ტერმინალი, სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი და სამგზავრო ტერმინალი.

ბათუმის ნავთობტერმინალის 100% წილის მფლობელი 2008 წლიდან გახდა ყაზახეთის რესპუბლიკის ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კომპანია „კაზმუნაიგაზი“. ნავთობტერმინალი სპეციალიზებულია ნედლი ნავთობის გადამუშავებაზე და პრაქტიკულად ყველა სახის ნავთობპროდუქტებზე.

გარდა სატვირთო ოპერაციებისა ტერმინალზე მიმდინარეობს ნარეცხი წყლების, ბინძური ბალასტის და ლოილაური წყლების მიღება სპეციალურ დანადგარებში.

ნავთობტერმინალს აქვს ტექნოლოგიური ფართი 3 ჰექტარზე.

შპს “ბათუმი ოილ ტერმინალის” ტვირთბუნვა ტვირთების სახეობებისა და საბაჟო რეჟიმების მიხედვით იხილეთ დანართში – ცხრილი 7.4.

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“ სპეციალიზებულია მრავალპროფილიანი მშრალი ტვირთებისთვის, უპირატესად კონტეინერებისათვის. ასევე სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი გამოიყენება მშრალი ნაყარი და გენერალური ტვირთებისათვის.

2007 წლის სექტემბერში ფილიპინურმა კომპანია **"International Container Terminal Services Inc."**-მა მიიღო კონცესია ბათუმის ნავსადგურის საკონტეინერო ტერმინალისა და სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის შემდგომი განვითარებისა და ამოქმედების შესახებ. გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, **"ICTSI"**-ის შვილობილი კომპანია “ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი” (**BICTL**) ექსკლუზიურად ახორციელებს საკონტეინერო ტერმინალისა და საბორნე გადასასვლელის მართვას ბათუმის პორტში. ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალში 2008-2011 წლის განმავლობაში გადამუშავებული კონტეინერების შესახებ და 2009-2011 წლების განმავლობაში საბორნე გადასასვლელზე გადამუშავებული ტვირთების შესახებ მონაცემები იხილეთ დანართში – ცხრილები 7.5, 7.6.

შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“ – მშრალი ტვირთების ტერმინალი სპეციალიზებულია ნაყარი, ყრილი და გენერალური ტვირთების გადამუშავებაზე. მშრალი ტვირთების ტერმინალის ოპერირებას 2008 წლიდან ახორციელებს ყაზახეთის რესპუბლიკის სახელმწიფო კომპანია. 2011 წელს შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ ტვირთბუნვამ შეადგინა 1517,1 ათასი ტონა, მათ შორის 653 ათასი ტონა ტრანზიტზე მოდის, 432 ათასი ტონა – იმპორტზე, ხოლო 432 ათასი ტონა ექსპორტზე (იხ. დანართში – ცხრილი 7.7). ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მთლიანი ეკონომიკური ტვირთბუნვა 2008 - 2011 წლებში (ბათუმის ნავთობჩამომსხმელ, საბორნე გადასასვლელის, საკონტეინერო და მშრალი ტვირთების ტერმინალში გადამუშავებული ტვირთების მაჩვენებლები) იხილეთ დანართში – დიაგრამა 7.6.

შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“ (სამგზავრო ტერმინალი) მდებარეობს ქ. ბათუმის ცენტრში. გააჩნია საზღვაო სადგურის შენობა და ორი ნავმისადგომი. 2011 წელს საზღვაო ტრანსპორტით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობამ შეადგინა 23 141 კაცი 189%-ით მეტი 2008 წელთან შედარებით

(იხ. დანართი – ცხრილი 7.8). საზღვაო სამგზავრო გადაყვანები ხორციელდება ძირითადად რუსეთის, თურქეთისა და უკრაინის მიმართულებით და შესაბამის ექსპლუატაციას აწარმოებს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები: შპს "ირაკლი-2008" და შპს "ექსპრეს-ბათუმი". ასევე ბორანის საშუალებით, კერძოდ ბათუმი-ილიჩოვსკის (უკრაინა) მიმართულებით.

აჭარის სარკინიგზო კვანძს და მის ინფრასტრუქტურას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს გავლით ნედლი ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და მშრალი ტვირთების რკინიგზით ტრანსპორტირების საკითხში. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სალიანდაგო მეურნეობის განვითარება შემდეგია: მთავარი ხაზის სიგრძე, ჩოლოქიდან ბათუმამდე შეადგენს 34 კილომეტრს; სადგურების სალიანდაგო განვითარება შეადგენს 35,7 კილომეტრს. სადგური „ბათუმი“-ს სატვირთოს მუშაობის მაჩვენებლები 2008-2011 წლებში იხილეთ დანართში - ცხრილი 7.9.

2006 წელს აჭარაში აშენდა და მოდერნიზება ჩაუტარდა მახინჯაურისა და ქობულეთის რკინიგზის სადგურებს. შედეგად, მახინჯაურის რკინიგზის სადგური საათში 600 მგზავრს ემსახურება. **სამგზავრო გადაყვანები ხორციელდება ძირითადად ქვეყნის შიგნით, თუმცა ვინაიდან აჭარა წარმოადგენს ტურისტულ რეგიონს და ტურისტთა დიდი ნაკადი სომხეთის რესპუბლიკაზე მოდის,** საქართველოს რკინიგზის მიერ გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული და 2007 წლიდან ამოქმედდა სეზონური მარშრუტი ერევანი-მახინჯაურის მიმართულებით. შესაბამისად, 2008-2011 წლებში რკინიგზით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა მახინჯაურის ცენტრალური სადგურიდან იხილეთ დანართში – ცხრილი 7.10. 2011 წელს აჭარის რკინიგზის მომსახურებით სულ ისარგებლა 1 061 813 კაცმა, 45%-ით მეტმა ვიდრე 2010 წელს.

2007 წელს განხორციელებული თურქული ინვესტიციის შედეგად გაიხსნა და ექსპლუატაციაში შევიდა **ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი**. ის აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მენეჯმენტს დღეისათვის ახორციელებს შპს „ტავ ჯორჯია“. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტით სარგებლობა ხელსაყრელია არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის, არამედ თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიის საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობისთვისაც. ეს გარემოება ერთიორად ზრდის აჭარის რეგიონის როლს როგორც თავად საქართველოს, ასევე მეზობელი თურქეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასევე, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ფუნქციონირება ხელს უწყობს აჭარის რეგიონს ტურიზმის განვითარებაში.

- ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა გამტარუნარიანობა შეადგენს 300 მგზავრს საათში;
- ბათუმის აეროპორტის შენობის ფართობია - 4000 კვ.მ;
- თვითმფრინავებისთვის განკუთვნილი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ფართობი შეადგენს (2500მ x 45მ) - 112500 კვ.მ.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან გარდა ადგილობრივი რეისების სრულდება საერთაშორისო რეგულარული რეისები თურქეთისა და უკრაინის მიმართულებით, ხოლო სეზონურად აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართულებით. 2011 წელს შესრულდა სულ 1998 საერთაშორისო და 1518 შიდა რეისი, გადაყვანილი იქნა შესაბამისად 111 921 საერთაშორისო, 21 969 შიდა და სულ ჯამში 133 890 მგზავრი. 2008 წელთან შედარებით გადაყვანილია 65%-ით მეტი

მგზავრი. **ბათუმის** საერთაშორისო აეროპორტიდან 2008-2011 წლებში შესრულებული რეისების რაოდენობა და მგზავრთბრუნვა იხილეთ დანართში – ცხრილი 7.11.

აჭარის არ საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება **2958,79 კმ საავტომობილო გზა** მათ შორის: ა/ბეტონის გზები - 205 კმ; ხრეშოვანი საფარის გზები - 1025 კმ; გრუნტის გზები - 1728,79კმ; აგრეთვე არის ერთი გვირაბი სიგრძით 657 მ; აჭარის გზებზე განლაგებულია 430 ცალი ხიდი. საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სხვა მრავალ პროექტთა გარდა, საქართველოს მთავრობის ინიციატივით და აზიის განვითარების ბანკის (ADB) ფინანსური მხარდაჭერით საფუძველი ჩაეყარა და მიმდინარეობს მშენებლობა ქვეყნისათვის და კერძოდ, აჭარის რეგიონისათვის ძალზედ მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც ითვალისწინებს აჭარაში შემოვლითი, სატრანზიტო, გზის მშენებლობას ფოთი-ბათუმი-სარფის მონაკვეთზე. გზა შემოვლის ბათუმის და ქობულეთს ცენტრალურ ნაწილს და მივა თურქეთის საზღვრამდე. შედეგად, მთლიანად განიტვირთება ბათუმი და ქობულეთი, აჭარის შემოვლითი გზის მშენებლობის შედეგად სატვირთო მანქანები სანაპირო ზოლის დასახლებულ პუნქტებს აღარ გაივლიან. რაც მნიშვნელოვანია აჭარისთვის ერთის მხრივ როგორც ტურისტული რეგიონისათვის და, მეორეს მხრივ, როგორც ქვეყნის სატრანზიტო დერეფნის შემდგომი განვითარებისათვის. 2007-2011 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მიერ რეგიონში ფართო მასშტაბის ღონისძიებები განხორციელდა. მონაცემები შესრულებული სამუშაოების შესახებ იხილეთ დანართში – ცხრილი 7.12.

აჭარაში საავტომობილო სამგზავრო გადაყვანების სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საგარეუბნო მარშრუტებზე გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა და მგზავრთბრუნვა ყველაზე დიდია, რაც ბუნებრივიცაა. ცნობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის რეგიონი 64 თემისაგან შედგება, რომლებიც დაახლოებით 340 სოფელს აერთიანებს. შესაბამისად, აქ მოსახლეთა მგზავრობათა გენერაცია ყოველდღიური და ინტენსიურია. სულ 240 საგარეუბნო მარშრუტს ყოველდღიურად დაახლოებით 600 ავტობუსი ემსახურება და დღიური მგზავრთბრუნვა 48000 შეადგენს (იხ. დანართი – ცხრილი 7.13). აჭარიდან ასევე სრულდება საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანები. საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანები ხორციელდება საქართველოს ყველა მიმართულებით. ხოლო საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანები ძირითადად თურქეთის, საბერძნეთის და სომხეთის მიმართულებებით. ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის პირობებში სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის გაზრდის, საგზაო მშენებლობის განვითარების, ახალი ავტოგზაგზლებისა და სადგურების მშენებლობის, ტურიზმისა და კურორტების განვითარების საფუძველზე, მნიშვნელოვნად გაიზარდება აჭარის მოსახლეობის და მისი სტუმრების სატრანსპორტო მომსახურება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მგზავრთნაკადის შემდგომ ზრდას. მონაცემები 2008-2011 წლებში მგზავრთბრუნვის შესახებ ტრანსპორტის სახეობათა მიხედვით იხილეთ დანართში – დიაგრამა 7.7.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფიქსირებული სატელეფონო კავშირი წარმოდგენილია ორი კომპანიით: ა) შპს „სილქნეტი“ (სულ 32 000 აბონენტი, მათ შორის 27 500 კერძო პირი და 4500 კორპორატიული, რომელის დაფარვის ზონაა ქ. ბათუმი და ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა გარკვეული სოფლებისა), რომელიც შეიქმნა კომპანია „ვანექსის“, „აჭარის ელექტროკავშირისა“ და „გაერთიანებული ტელეკომის“ გაერთიანების შედეგად. აღნიშნული კომპანიის საქმიანობის სფერო მთლიანად მოიცავს ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებით მომსახურებას,

როგორცაა ადგილობრივი სატელეფონო კავშირი, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირი, ინტერნეტ მომსახურება, სატელეგრაფო კავშირი და რადიო-უზრუნველყოფა. ასევე ფიქსირებულ სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფას ახდენს შპს „ა-ნეტი“ (810 აბონენტი, დაფარვის ზონა ქ. ბათუმი).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში **ინტერნეტქსელით** ფიქსირებულ მომსახურებას ეწევიან შემდეგი ინტერნეტ პროვაიდერული კომპანიები: ა) შპს „სილქნეტი“ (19 000 აბონენტი, ქ. ბათუმი, ხელვაჩაური და ქ. ქობულეთი); ბ) შპს „კავკასუს ონლაინი“ (730 აბონენტი); დ) შპს „ა-ნეტი“ (ქ. ბათუმი, 721 აბონენტი). ხოლო უკაბელო ინტერნეტ მომსახურებას ახდენენ შპს „ვიტელ ჯორჯია“ (იგივე მაქსიმალი, 2000-ზე მეტი აბონენტი), რომელთა დაფარვის ზონა ჯერჯერობით მხოლოდ ქ. ბათუმის ტერიტორიაა. ხოლო რაც შეეხება აჭარის მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობას მათი მცირეოდენი ნაწილი ახერხებს ინტერნეტით სარგებლობას (შპს „მაგთიკომი“-ს ტელეფონის - „მაგთიფიქსი“-ს ინტერნეტით).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ითვლება ფიჭური კავშირით მომსახურების ფართო დაფარვის ზონად. აჭარის მოსახლეობა სარგებლობს მობილური კომპანიების შპს „მაგთიკომი“-ს, შპს „ჯეოსელი“-სა და შპს „მობიტელი“-ს მომსახურებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში **ტელემაუწყებლობას** ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი, რომლის დაფარვის ზონაა მთლიანად აჭარის რეგიონია. ასევე ტელემაუწყებლობას ახორციელებს შპს „ტელეარხი-25“.

II. კომუნალური მომსახურება

აჭარის რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფას ახდენს შპს „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა“ და შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“.

აჭარის ა.რ-ში შპს „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა“-მ გაზიფიკაციის სფეროში 2008 წლიდან 2011 წლის ჩათვლით 16.4 მლნ. ლარის ინვესტიცია განახორციელა. რაც შეეხება მთლიან საინვესტიციო თანხას, რომელსაც აღნიშნული კომპანია აპირებს დააბანდოს ბუნებრივი აირის მშენებლობაში აჭარის ტერიტორიაზე განისაზღვრება დაახლოებით 41 მლნ. ლარით. სულ აჭარის ა.რ ტერიტორიაზე შპს „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა“-ს მიერ 2008 წლიდან 2011 წლის ჩათვლით აშენებულ იქნა 189 045 გრძივი მეტრის გაზსადენი (საშუალო წნევა 116 153 გრძივი მეტრი და დაბალი წნევა 72 892 გრძივი მეტრი). 2011 წლის განმავლობაში ქ. ბათუმში აშენებულია საშუალო წნევის 11 632 და დაბალი წნევის 33 628 გრძივი მეტრის გაზსადენები, ქ. ქობულეთში - საშუალო წნევის 788 და დაბალი წნევის 2452 გრძივი მეტრის და ხელვაჩაურში - საშუალო წნევის 13 733 და დაბალი წნევის 4 118 გრძივი მეტრის გაზსადენები (იხ. დანართი – ცხრილი 7.14).

აჭარის რეგიონში შპს „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა“-ს გაზიფიცირების ქსელში ჩართულია სულ 50 337 აბონენტი, ხოლო პოტენციური აბონენტების რაოდენობა შეადგენს – 12 023-ს. მონაცემები აჭარის რეგიონში შპს „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა“-ს აბონენტთა რაოდენობის შესახებ 2011 წლის მდგომარეობით იხილეთ დანართში – ცხრილი 7.15. 2011 წლის მდგომარეობით აჭარის რეგიონში

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარაში“ სამშენებლო და საწარმოო პროცესში დასაქმებულია 304-მდე თანამშრომელი.

აჭარის რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფას ასევე ახდენს შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“. აღნიშნული კომპანია 2011 წლის მდგომარეობით ფლობს ქ. ბათუმში: 29 700 მაღალი წნევის, 46 179 საშუალო წნევის და 54 802 დაბალი წნევის გრძივი მეტრის გაზსადენებს. კომპანია ასევე ფლობს ქობულეთში საშუალო (6224 გრძივი მეტრი) და დაბალი (65 343 გრძივი მეტრის) წნევის მქონე გაზსადენებს (იხ. დანართი – ცხრილი 7.16). შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“ 2011 წლის მდგომარეობით ქ. ბათუმში და ქ. ქობულეთში სულ 15 394 აბონენტს აწვდის ბუნებრივ აირს, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 121 კაცს (იხ. დანართი – ცხრილი 7.17).

აჭარის რეგიონში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მართვა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების მართველობის სფეროში შედის.

ეს დარგი აჭარაში წარმოდგენილია შემდეგი იურიდიული პირებით:

- ქ. ბათუმი - შპს „ბათუმის წყალი“;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტი - შპს „ქობულეთის წყალკანალი“ და შპს „ქობულეთის სოფლის წყალი“;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი“
- ქედის მუნიციპალიტეტი - შპს „ქედის წყალკანალი“;
- შუახევის მუნიციპალიტეტი - შპს „შუახევის წყალკანალი“;
- ხულოს მუნიციპალიტეტი - შპს „ხულოს წყალკანალი“.

აჭარის რეგიონში ამჟამად მნიშვნელოვანი სამუშაოები ტარდება ქ. ბათუმისა და ქ. ქობულეთის წყლისა და კანალიზაციის სექტორის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ამასთანავე მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამებითა და სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტებში დაბებისა და სოფლების წყლისა და კანალიზაციის რეაბილიტაცია.

მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს და დაგეგმილია ქ. ბათუმის წყლისა და კანალიზაციის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. აღნიშნულ სამუშაოების ძირითადად აფინანსებს გერმანიის განვითარების ბანკი (KfW), რომელთა მიერაც ამ ეტაპზე ქ. ბათუმის მერიისათვის გამოყოფილ იქნა 55 379 043 ევრო შეღავათიანი სესხის სახით, სამუშაოების პირველი და მეორე ეტაპის განსახორციელებლად. აღნიშნული რეაბილიტაციის პროექტი ხორციელდება 2007 წლიდან. გარდა გერმანიის განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი სესხისა, აღნიშნული პროექტის ორივე ეტაპს აფინანსებს ქ. ბათუმის მერია, საერთო თანხით – 14 694 104 ევრო. მოცემულ წყლისა და კანალიზაციის რეაბილიტაციის ორივე ეტაპისათვის საერთო ჯამში გამოყოფილი 70 073 147 ევროს შესაბამის დამატებით ღირებულებების გადასახადის გადახდას ახორციელებს ქ. ბათუმის მერია.

გერმანიის განვითარების ბანკის მიერ გარდა ქ. ბათუმისათვის გამოყოფილი სესხისა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გამოყოფილ იქნა 6 700 000 ევრო, ზღვის სანაპირო ზოლის (სარფი, კვარიათი, გონიო, ახალსოფელი) წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის

რეაბილიტაციისათვის, რომლის შესაბამისი დამატებით ღირებულების გადასახადის გადახდა ხდება აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

ქ. ბათუმის წლისა და კანალიზაციის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ამ ეტაპზე განხორციელებულ იქნა და ასევე დასრულების სტადიაშია შემდეგი სამუშაოები:

დასრულებული პროექტები:

- ქ.ბათუმის წყლის და კანალიზაციის რეაბილიტაციის მთავარი სამუშაოები;
- კანალიზაციის სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია (2 ერთეული);
- წყლის სამარაგო რეზერუარების მშენებლობა;
- მეჯინისწყლისა და ბარცხანის სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია;
- წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია (3 ერთეული);
- მაგისტრალური წყალსადენი მილის მშენებლობა (64 კმ);
- წყლის ახალი გამანაწილებელი მილების მშენებლობა სახლების მიერთებების ჩათვლით (564 კმ);
- ახალი საკანალიზაციო მილების მშენებლობა სახლების მიერთებების ჩათვლით (352 კმ)

მიმდინარე პროექტები:

- ინჯალოს რეზერუარის მშენებლობა (95%)
- წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები შავშეთის, მეჯინისწყლის, მელიქიშვილის, გ. ბრწყინვალეს და მთისძირის ქუჩებზე (40%);
- წყლის გამრიცხველიანება - 1 082 კარადა;
- ზღვის სანაპირო ზოლის სარფი-გონიო-კვარიათის საკანალიზაციო სისტემის მოწყობა (80%);
- ადლიის გამწმენდი შენობა-ნაგებობის მშენებლობა (65%);
- ზღვაში ჩამშვები საკანალიზაციო მილის მშენებლობა (45%)

ქ. ბათუმის წყლისა და კანალიზაციის რეაბილიტაციის მესამე ეტაპს ძირითადად აფინანსებს ასევე გერმანიის განვითარების ბანკი (KfW), რომლის მიერაც გამოყოფილ იქნა 20 მლნ. ევროს სესხი. აღნიშნული პროექტის მესამე ეტაპსაც ასევე აფინანსებს ქ. ბათუმის მერია, საერთო თანხით – 2 მლნ. ევრო. მოცემულ წყლისა და კანალიზაციის რეაბილიტაციის ეტაპისათვის გამოყოფილი 22 მლნ. ევროს ევროს შესაბამისი დამატებით ღირებულების გადასახადის გადახდას ახორციელებს ქ. ბათუმის მერია.

ქ. ქობულეთის წყლისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია ხორციელდება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. სამუშაოები ჩატარდა ორ ეტაპად. რეაბილიტაციის პირველ ეტაპისათვის გამოყოფილი იყო 5,8 მლნ ლარი, ხოლო მეორე ეტაპისათვის - 25 მლნ. ლარი.

ქ. ქობულეთის წყლისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციის პირველ ეტაპზე განხორციელდა წყლის სათავე ნაგებობისა და წყლის რეზერუარების მშენებლობა, ხოლო მეორე ეტაპზე ქალაქის წყალ-კანალიზაციის მაგისტრალების მშენებლობა და შიდა ქსელის დაახლოებით 80 %-ის რეაბილიტაცია. ამჟამად მიმდინარეობს მესამე ეტაპისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმარება, რის შემდეგაც განხორციელდება კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

აჭარის არ ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემაში ჩართული აბონენტთა (მათ შორის გამრიცხველიანებულთა) რაოდენობა თვითმმართველი ერთეულების მიხედვით იხილეთ დანართში - ცხრილი 7.18 და დიაგრამა 7.8. აჭარის არ ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემაში დასაქმებულთა რაოდენობა 2011 წლის მონაცემებით შეადგენს 560 კაცს. დასაქმება თვითმმართველი ერთეულების მიხედვით იხილეთ დანართში - ცხრილი 7.19.

2006-2011 წლებში აჭარის ა.რ-ის ტერიტორიაზე წყლისა და საკანალიზაციო სისტემაში განხორციელებული/მიმდინარე მიზნობრივი პროგრამები თვითმმართველი ერთეულების მიხედვით იხილეთ დანართში - ცხრილი 7.20.

აჭარის რეგიონში ელექტროენერგიის განაწილების სისტემა და მისი მიწოდება ბოლო პერიოდებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნველყოფს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“. ამ ეტაპზე რეგიონი საკმარისი რაოდენობით იღებს ელექტროენერგიას და მიწოდების 24 საათიანი გრაფიკია თუ არ ჩავთვლით ავარიულ გამორთვებს. მეორეს მხრივ სისტემას მაინც ახასიათებს გარკვეული მერყეობა (მაგ. დაბალი ვოლტაჟი), რაც გამოწვეულია დისტრიბუციის სისტემაში არსებული დეფექტების გამო. ამჟამად თითქმის მთელს რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

აჭარის არ-ში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ განხორციელებული ინვესტიციები 2008-2011 წლებში შეადგენს 38,4 მლნ. ლარს, მათ შორის აწჳესის ჰიდროელექტრო სადგურის რეაბილიტაციისათვის 7,2 მლნ ლარი იქნა დახარჯული. **აბონენტთა** რაოდენობა 2011 წელს შეადგენდა - 111 232 (იხ. დანართი - ცხრილი 7.21 და დიაგრამა 7.9).

აჭარის რეგიონში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აბონენტთა 84% (93 453 აბონენტი) არის ინდივიდუალურად გამრიცხველიანებული (იხ. დანართი – ცხრილი 7.22). სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ არსებული გეგმით აჭარის რეგიონში ინდივიდუალური გამრიცხველიანება უნდა დასრულდეს 2013 წლის ბოლოსათვის. 2012-2013 წლებში აჭარის რეგიონში ინდივიდუალური გამრიცხველიანების სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გეგმა იხილეთ დანართში - ცხრილი 7.23. აღნიშნული კომპანიის მიერ აჭარის რეგიონში ამჟამად **დასაქმებულია 600 კაცი** (იხ. დანართი - ცხრილი 7.24).

ინფრასტრუქტურის სვოთ ანალიზი:

<u>ძლიერი მხარეები</u>	<u>სუსტი მხარეები</u>
1. აჭარის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა: • ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის გეოსტრატეგიული და ბუნებრივი უპირატესობა; • ხელსაყრელი და სტაბილური სანავიგაციო ვითარება. 2. რეგიონში არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: • ბათუმის აეროპორტის საერთაშორისო მნიშვნელობა; • თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და საერთაშორისო სტანდარტების აეროპორტი; • სარკინგზო-საბორნე გადასასვლელი ბათუმის პორტში, რომელიც შავი ზღვის აუზის აღმოსავლეთ სანაპიროზე სატრანზიტო-საკვანძო ფუნქციას ასრულებს და ამ მიმართულებითა და საქართველოს სამხრეთით განლაგებული ქვეყნების მშრალი ნაყარი და გენერალური ტვირთების გადასაზიდვად გამოიყენება; • აჭარის სარკინიგზო კვანძისა და მისი ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა საქართველოს გავლით ნედლი ნავთობის, ნავთობპროდუქტების და მშრალი ტვირთების რკინიგზით ტრანსპორტირების საკითხში კასპიის ზღვის რეგიონიდან ევროპისაკენ და პირიქით; • თბილისი-ბათუმი-სტამბულის ავტომაგისტრალით საერთაშორისო გადაზიდვების წარმოება; 3. აჭარის რეგიონის როლი ქვეყნის სატრანზიტო დერეფნისა და ლოგისტიკის შემდგომი განვითარების კუთხით;	1. მოძველებული სატრანსპორტო საშუალებები და მათი შეუსაბამობა საერთაშორისო ეკოლოგიურ და ტექნიკურ ნორმებთან, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო კონვენციებით; 2. ტრანსპორტის დარგში დამხმარე სატრანსპორტო მეურნეობების განვითარების დაბალი დონე (დასაქმებული პერსონალისა და მენეჯმენტის არაკვალიფიციურობა, სათანადო სტანდარტების ტექნიკური საშუალებების სიმცირე, რაც წინაპირობაა გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების უგულვებელყოფისა); 3. სატრანსპორტო ეკოლოგიური პრობლემები (დარგში დასაქმებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საჰაერო ემისიების, წყალმომარაგების, ჩამდინარე წყლების ჩაშვების, ნარჩენების მართვის, მავნე ნივთიერებების უტილიზაციის და სხვა მსგავსი საკითხებისადმი პოლიტიკის არ არსებობა); 4. სატრანსპორტო ეკოლოგიური საკითხებისადმი მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ორგანოების არ არსებობა მუნიციპალიტეტების დონეზე; 5. თანამედროვე სტანდარტების ავტოფარეხების და ავტოსადგურების არ არსებობა; 6. აჭარის რეგიონის საკურორტო ზონებში (სარფი, კვარიათი, ქობულეთი) სატრანზიტო გზით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები; 7. აჭარის რეგიონში საავტომობილო გზების თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობა; 8. სოფლის გზების ცუდი მდგომარეობა; 9. მდგრადი ურბანული მუნიციპალური

4. ინფრასტრუქტურულ პროექტებში სახელმწიფო ინვესტიციების ზრდა; 5. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების თანამონაწილეობა ინფრასტრუქტურულ პროექტებში; 6. ფიჭური სატელეფონო კავშირების ხელმისაწვდომობა; 7. ქ. ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის მოსახლეობის უზრუნველყოფა ბუნებრივი აირით. შპს 'სოკარ ჯორჯიას' მიერ მიმდინარე და გასატარებელი (დაგეგმილი) ღონისძიებები ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით; 8. ქ. ბათუმსა და ქ. ქობულეთში წყლისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციის I და II ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობა.	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა (საგზაო ნიშნების და საგზაო შუქნიშნების სიმცირე; დაუხაზავი ქუჩები, გადასასვლელები ფეხით მოსიარულეთათვის; მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელები, ავტოპარკირება; უნარშეზღუდული პირების გადაადგილებისათვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა შეუსაბამოა); 10. მუნიციპალიტეტებს და სოფლებს შორის არარეგულარული სატრანსპორტო განრიგი და მარშრუტები; 11. ქ. ბათუმში სატრანზიტო გზის არ არსებობა, რაც ხელს შეუწყობდა ქალაქის განტვირთვას ავტოსატრანსპორტო საშუალებებისაგან; 12. ლოგისტიკური მომსახურების დარგში ინსტიტუციონალური განუვითარებლობა, რაც ხელს უშლის ამ დარგში მოქმედი სატრანსპორტო კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ზეგავლენას ახდენს მომსახურების ხარისხსა და ტარიფებზე; 13. ქ. ბათუმის ტერიტორიაზე განლაგებული სარკინიგზო-სატვირთო სადგურის უარყოფითი ზეგავლენა ტურიზმზე; 14. აჭარის რეგიონის ტურისტულ ზონებში (მახინჯაური, ჩაქვი, ციხისძირი) სარკინიგზო-სალიანდაგო ინფრასტრუქტურის არსებობა ხელს უშლის ტურიზმის შემდგომ განვითარებას; 15. აჭარის რეგიონში მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვებზე (საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო ტრანსპორტი) მოქმედი მაღალი ტარიფები უარყოფით ზეგავლენას ახდენს მგზავრობათა და ტვირთების მოძრაობათა გენერაციაზე; 16. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფის უთანასწორობა; 17. რეგიონის მამტაბით საკაბელო ტელეფონების ხელმისაწვდომობის დაბალი დონე;
--	---

	18. აჭარის ა.რ. მთლიანი ტერიტორიის არასრული გაზიფიცირება, განსაკუთრებით მაღალმთიანი რეგიონის; 19. არ ხდება აჭარაში მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა; 20. წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მომსახურების დარგში მოქმედ საწარმოთა მფლობელობაში არსებული ამორტიზირებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რომელიც საჭიროებს განახლებას; 21. წყლის ხარისხის შესამოწმებელი ლაბორატორიების ნაკლებობა და თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობა; 22. მიმდინარე პერიოდში მოუწესრიგებელი უწყვეტი წყალმომარაგება და მიწოდებული წყლის ხარისხის დაბალი დონე; 23. არსებული წყლისა და საკანალიზაციო სისტემების ამორტიზირებული მდგომარეობა და მისი გამტარუნარიანობის დაბალი დონე; 24. ქ. ბათუმში, ქ. ქობულეთში, და მუნიციპალიტეტის დაბებში წყალმომარაგების სისტემაში გამრიცხველიანების დაბალი დონე; 25. აჭარის მუნიციპალიტეტებში ენერგომომარაგების სისტემაში ინდივიდუალური გამრიცხველიანების დაბალი დონე.
--	---

<u>შესაძლებლობები</u>	<u>საფრთხეები</u>
1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში განსახორციელებელი ინვესტიციებით რეგიონის ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა; 2. აჭარის შემოვლითი მაგისტრალური გზის მშენებლობა; 3. უცხოური ინვესტიციების ზრდა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში; 4. გზების რეაბილიტაცია. საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემური ღონისძიებების გატარება; 5. სატრანზიტო ინფრასტრუქტურის განვითარება; 6. დამატებითი სატრანსპორტო სეზონური მარშრუტები; 7. საჰაერო გადაზიდვებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება; 8. ელექტრონული მართველობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში რეგიონის აქტიური მონაწილეობა; 9. ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვის მდგრადი სისტემის შექმნა;	1. ეკოლოგიური პრობლემის ზრდა; 2. ეკონომიკური კრიზისი; 3. ინვესტიციების მოცულობის შემცირება; 4. საწვავზე ფასების ზრდა.

სტრატეგიული მიმართულებები:

ტრანსპორტი

1. მოწესრიგდეს მდგრადი ურბანული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (დამონტაჟდეს შუქნიშნები (მოწესრიგდეს არსებული შუქნიშნები), საგზაო ნიშნები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელები და სატრანსპორტო მარშრუტების ამსახველი რუკები, დაიხაზოს ქუჩები და ფეხით გადასასვლელები, შეიქმნას გადაადგილებისათვის საჭირო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა უნარშეზღუდულთათვის) ტურისტულ ობიექტებთან მანქანების გასაჩერებელი ადგილების უზრუნველყოფა;
2. რეგულარული საავტობუსო სამგზავრო გადაყვანების ორგანიზაციის და ხარისხის გაუმჯობესებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება მუნიციპალიტეტებს და სოფლებს შორის სატრანსპორტო განრიგის და მარშრუტების რეგულირების მიზნით;
3. აჭარის მუნიციპალიტეტებს და ქ. ბათუმის თვითმმართველობას მიეცეთ რეკომენდაცია სატრანსპორტო ეკოლოგიური საკითხებისადმი მაკონტოლებელი ან მარეგულირებელი სამსახურების შექმნის შესახებ, ან შესაბამისი, არსებული ზედამხედველობის სამსახურებისადმი, ასეთი, დამატებითი ფუნქციების მინიჭება.
4. შეირჩეს ხელსაყრელი ტერიტორია, ავტოსადგურებისა და ავტოფარეხების ასაშენებლად, მომზადდეს შესაბამისი ტერიტორია საპრივატიზებოდ და მოიძებნოს დაინტერესებული ინვესტორი, რომელიც ააშენებს საერთაშორისო სტანდარტების ავტოსადგურებსა და ავტოფარეხებს;
5. რეგიონში მიმდინარე შემოვლითი სატრანზიტო გზის მშენებლობის პროცესის მხარდაჭერა, რათა განიტვირთოს ცენტრალური გზები საცობებისაგან და თავიდან იქნეს აცილებული საკურორტო ზოლში (სარფი, კვარიათი, ქობულეთი) სატრანზიტო გზით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები;
6. გზის ხარისხის გაუმჯობესება ბათუმიდან ახალციხემდე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მანქანების მოძრაობა ამ მიმართულებით მთელი წლის განმავლობაში;
7. ბათუმში რკინიგზისა და საავტომობილო გზის კვეთებში მოეწყოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (ხიდები), რომელიც უზრუნველყოფს ორივე სატრანსპორტო ნაკადების შეუფერხებელ მოძრაობას;
8. სარკინიგზო ინფრასტრუქტურის სანაპირო ზონიდან გადატანა, რათა ხელი შეეწყოს ტურიზმის განვითარებას ქობულეთი-ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე;
9. საველოსიპედო ხაზების შექმნა აჭარის ძირითად გზებზე, განსაკუთრებით ქალაქებში და დაბებში;
10. ეკოლოგიურად უსაფრთხო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება; ბათუმის გადაქცევა "მწვანე ქალაქად", მუნიციპალური ელექტრო ტაქსის სისტემის დანერგვა.
11. ბათუმში და ქობულეთში იახტებითა და სხვა მცირე ხომალდებით მოგზაურთათვის პატარა ნავსადგურების მოწყობა;
12. სახელმწიფო ავიაკომპანიის შექმნა.

კავშირგაბმულობა

13. რეგიონის მაქსიმალური ინტერნეტიზაციის მიზნით ღონისძიებების გატარების ხელშეწყობა;

კომუნალური მომსახურება

14. კომუნალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, რათა გაიზარდოს მომხმარებლის საიმედო და მდგრადი უზრუნველყოფა ნორმატიული ხარისხის კომუნალური რესურსებით; ავარიული სიტუაციებისა და მომსახურების შეფერხების მინიმიზაცია, მიწოდებული მომსახურების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა;
15. აჭარის სრული გაზიფიკაციის ხელშეწყობა;
16. ქ. ბათუმში წყლისა და კანალიზაციის სისტემის სრული რეაბილიტაციისათვის (III ფაზა) საჭიროა 45-50 მლნ. ევროს მოძიება და შესაბამისი სამუშაოების გატარება, რაც საშუალებას მოგვცემს ქ. ბათუმში XXI საუკუნის განმავლობაში სრულად იქნეს უზრუნველყოფილი წყლისა და კანალიზაციის სისტემის გამართული ფუნქციონირება;
17. ქობულეთის წყლისა და კანალიზაციის სისტემის სრული რეაბილიტაციისათვის საჭიროა სახსრების მოძიება, პროექტის მომზადება და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება, რომლის საფუძველზე ქ. ქობულეთი სრულად იქნება უზრუნველყოფილი წყლისა და საკანალიზაციო სისტემის გამართული ფუნქციონირებით;
18. მუნიციპალიტეტებში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემაში მიზნობრივი მუნიციპალური პროგრამების განხორციელება, რაც მოგვცემს საშუალებას მუნიციპალიტეტების დაბეზი და სოფლები უზრუნველყოფილნი იყვნენ წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის გამართული მუშაობით;
19. ქ. ბათუმში, ქ. ქობულეთში და მუნიციპალიტეტის დაბეზში, გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები არსებულ აბონენტთა გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით.

თავი 8. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აჭარაში მოქმედებს 12 სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული სამედიცინო დაწესებულება. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 იანვრის #11 დადგენილებით - „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტებით ეტაპობრივად განხორციელდება ჰოსპიტალური სექტორის ოპტიმიზაცია, რეაბილიტაცია და აღჭურვა. ხოლო რაც შეეხება პირველადი ჯანდაცვის ქსელს – მისი რეაბილიტაცია-აღჭურვა დასრულდა 2008 წელს (იხ. ცხრილი 8.1).

პარალელურად მიმდინარეობს კერძო სამედიცინო სექტორის განვითარება. კერძო სექტორი ძირითადად წარმოდგენილია სტაციონარების, დიაგნოსტიკური ცენტრების, სტომატოლოგიური პოლიკლინიკებისა და კაბინეტების სახით. 2011 წლის მონაცემებით რეგიონში 11 სავადმყოფო, 2 სამშობიარო სახლი, 5 სასწრაფო დახმარების ცენტრი, 3 დიაგნოსტიკური ცენტრი, 3 სამკურნალო სადიაგნოსტიკო ცენტრი და 1 პოლიკლინიკური სექტორი ფუნქციონირებდა (იხ. დანართი - ცხრილი 8.2). აჭარაში სამედიცინო დაწესებულებებში საწოლთა ფონდი 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 1076-ს, საწოლთა დატვირთვის მაჩვენებელი – 169,0. ინფორმაცია სამედიცინო დაწესებულებების მუშაობის შესახებ მუნიციპალიტეტების მიხედვით იხილეთ დანართში – ცხრილი 8.3.

2010 წელს აჭარაში შემთხვევათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 202 795, ავადობა 53 934 (100 000 მოსახლეზე). 15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში აღირიცხა 34668 შემთხვევა, შესაბამისად ავადობა – 54 942 (100 000 - 15 წლამდე მოსახლეზე). პოლიკლინიკური დახმარება მუნიციპალიტეტების მიხედვით 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მონაცემები ჰოსპიტალიზაციისა და ლეტალობის შესახებ იხილეთ დანართში – ცხრილები 8.4-8.6.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელმწიფო დაფინანსებაზე. თუმცა პარარელურად ვითარდება კერძო სექტორიც, რომლის წილიც სამედიცინო სერვისების მიწოდებაში დინამიურად იზრდება. მოსახლეობას სამედიცინო მომსახურება მიეწოდება სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამების სახით, რომელთა სამედიცინო მომსახურების მთლიან ღირებულებას ან მნიშვნელოვან ნაწილს იხდის სახელმწიფო. იზრდება ფასიანი სამედიცინო მომსახურების სერვისებიც. ვითარდება როგორც ინდივიდუალური ასევე კორპორაციული სამედიცინო დაზღვევა. ეტაპობრივად მიმდინარეობს სახელმწიფო და ადგილობრივი სამედიცინო პროგრამების ნაწილის მოსახლეობის სოციალურად დაუცველი კატეგორიების სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით ჩანაცვლება, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს დარგის შემდგომი განვითარებისათვის. სახელმწიფო, აჭარის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითთმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან 2011 წელს დაფინანსებულ იქნა 23 523 148 ლარის ჯანმრთელობის დაცვისა და 80 535 219 ლარის სოციალური დახმარების პროგრამები (საპენსიო დახმარების ჩათვლით) (იხ. დანართი - ცხრილები – 8.7,8.8).

აჭარაში სულ 63 007 კაცი იღებს პენსიას, მათ შორის ძირითადი 45 987 არის ასაკობრივი პენსიონერი. პენსიონერების 30 % ბათუმში მცხოვრებია (იხ. დანართი – ცხრილი 8.9, დიაგრამა 8.1) პენსიის ჯამური თანხა რომელიც გაიცა 2011 წლის დეკემბრის თვეში 5 823 610 ლარს შეადგენს (იხ. დანართი – ცხრილი 8.10).

2011 წლის მონაცემებით თვითმმართველობების მიხედვით პენსიონერთა განაწილებას შემდეგი სახე აქვს: ბათუმი – 19 765 კაცი, ქობულეთი – 14 824 კაცი, ხელვაჩაური – 13 421 კაცი, ქედა – 4 003 კაცი, შუახევი – 4 276 კაცი და ხულო – 6 718 კაცი. 2008-2011 წლებში აჭარაში პენსიონერების რაოდენობა თვითმმართველობების მიხედვით იხილეთ დანართი – დიაგრამა 8.2.

აჭარაში 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სულ **31 060 საარსებო შემწეობის მიმღები პირია**. მათი წილი მთელ მოსახლეობაში – 8%-ია. საარსებო შემწეობას აჭარაში იღებს 7 350 ოჯახი. 2011 წელს გადარიცხულმა თანხამ – 12 491 796 ლარი შეადგინა (იხ. დანართი – ცხრილი 8.11 და დიაგრამა 8.3).

აჭარის არ-ში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი სულ 18 387 ოჯახია, რომლებიც ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს იღებს (იხ. დანართი – ცხრილი 8.12).

2010 წელს ჯანდაცვის სფეროში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება იყო 117,4 მლნ. ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 2.4%-ით გაიზარდა. ეს მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება დინამიკაშიც (იხ. დანართი – დიაგრამა 8.4).

ჯანდაცვის დარგში პროდუქციის გამოშვება წლების განმავლობაში იმატებს, 2010 წელს 33911,5 ათ. ლარი იყო, რაც 2009 წელთან შედარებით 17,8 %-ითაა გაზრდილი. ბრუნვის მოცულობაც ზრდის ტენდენციით ხასიათდება, 2010 წელს ბრუნვამ შეადგინა 30727,6 ათ. ლარი, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 17,7 %-ით. 2010 წელს ჯანდაცვის სფეროში შრომის ანაზღაურება 299,4 ლარი იყო, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 5258 კაცს შეადგენდა, ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 11,1%-ით გაზრდილია (იხ. დანართი – დიაგრამები 8.5-8.7).

2010 წლის მონაცემებით **სახელმწიფო სექტორში დასაქმებულია 960 ექიმი**, 1102 საშუალო სამედიცინო პერსონალი და 416 ადმინისტრაციული და დაბალი სამედიცინო პერსონალი. რაც შეეხება **კერძო სექტორს**: დასაქმებულია 300 ექიმი, 259 საშუალო სამედიცინო პერსონალი და 157 ადმინისტრაციული და დაბალი სამედიცინო პერსონალი. 2005-2010 წლებში სამედიცინო კადრების დასაქმების შესახებ მონაცემები იხილეთ დანართში – ცხრილი 8.13.

1989 წლიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში **მაღალმთიანი აჭარიდან განსახლებული იქნა სულ 9072 ოჯახი** (ქვემო ქართლი – 2610 ოჯახი, შიდა ქართლი – 170 ოჯახი, კახეთი – 853 ოჯახი, სამცხე-ჯავახეთი – 1379 ოჯახი, სამეგრელო – 339 ოჯახი, იმერეთი – 333 ოჯახი, გურია – 3388 ოჯახი) (იხ. დანართი – დიაგრამა 8.8).

2012 წლის 01 იანვრისათვის რეგიონში აღრიცხულია სტიქიით დაზარალებული 4434 ოჯახი, ამათგან I და II კატეგორიას მიეკუთვნება 189 ოჯახი (სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან არ არის დანგრეული, მაგრამ გამოუსადეგარია საცხოვრებლად, აღდენას არ ექვემდებარება); III-კატეგორიას - 1491 ოჯახი (სახლი დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად, რომელშიც ამჟამად ცხოვრობენ, სახლი აღდგენას ექვემდებარება); IV კატეგორიას - 2754 ოჯახი (სახლი საცხოვრებლად ვარგისია, მაგრამ მიმდებარე ტერიტორია დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად) (იხ. დანართი – ცხრილი 8.14).

2011 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა განხორციელებული ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების შესწავლისა და გადაწყვეტის მიზნით. სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებებით, ფინანსური დახმარება გამოეყო 155 ოჯახს. რომლის საერთო თანხა შეადგენს

706 500 ლარს. ამასთან, ხულოს მუნიციპალიტეტში ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შენობის რეაბილიტაციისათვის აჭარის ა.რ. ბიუჯეტიდან გამოიყო 281 000 ლარი. ასევე სტიქიით და ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს მუნიციპალიტეტებმა თავიანთი სარეზერვო ფონდიდან გასცეს 218 196 ლარი 938 ოჯახზე.

აჭარის არ-ში 2010 წლის მონაცემებით რეგისტრირებულია 4455 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი. ორგანიზებულ სექტორში ჩასახლებულია - 328 ოჯახი ხოლო კერძო სექტორში 1520 ოჯახი. მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით თამარის დასახლებაში აშენდა 22 - საცხოვრებელი კორპუსი სადაც შესახლებული იქნა 600 იძულებით გადაადგილებული ოჯახი.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სვოთ ანალიზი

<u>ძლიერი მხარეები</u>	<u>სუსტი მხარეები</u>
1. ჯანდაცვის და სოციალური სექტორისადმი ხელისუფლების კეთილი ნება, დარგის რეორგანიზაციაში ხელისუფლების თანადგომა; 2. ჯანმრთელობის დაცვის სექტორის სადაზღვევო მომსახურებაზე გადაყვანა: - კორპორაციული დაზღვევის ხელშეწყობა; - სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დახმარება და მათზე დაზღვევის პოლისების გაცემა; - პედაგოგების დაზღვევა; 3. სპეციალისტების მაღალი დონის საბაზისო განათლება; 4. ზოგიერთი სოციალური ჯგუფებისათვის ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა; 5. ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარება; 6. კერძო ინვესტიციების ზრდა ჯანდაცვის სფეროში; 7. მიმდინარე პოლიტიკური სტაბილურობა და კორუფციის დაბალი დონე.	1. სამედიცინო მომსახურების ხარისხის და ეკონომიკური ეფექტიანობის დაბალი დონე (დაბალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურება); 2. აუცილებელი სამედიცინო მომსახურების დაბალი მოხმარება; 3. დაბალი ნდობა ადგილობრივი პერსონალის მიმართ; 4. თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის ნაკლებობა; 5. სამედიცინო დაწესებულებების ჭარბი ამორტიზირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; 6. არაკვალიფიცირებული კადრების სიჭარბე; 7. სუსტი მენეჯმენტი; 8. მარგინალური სოციალური ჯგუფების სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე; 9. სუსტი ინსტიტუციური ბაზა; 10. დაბალი საპენსიო უზრუნველყოფა; 11. მოსახლეობის მედიკამენტებზე დაბალი ხელმისაწვდომობა; 12. სოციალური დახმარებების შეზღუდული შესაძლებლობები; 13. კერძო სამედიცინო სექტორის არასაკმარისი განვითარება; 14. სოციალური შემწეობის მიმღები მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში; 15. ჯანდაცვის სფეროში ჩართულ სუბიექტებს შორის რეგულაციების არარსებობა; 16. მოსახლეობის ინფორმირებულობის ნაკლებობა.

<u>შესაძლებლობები</u>	<u>საფრთხეები</u>
1. კადრების გადამზადების შესაძლებლობები, მათ შორის უცხოეთის კლინიკებში; 2. დონორების და ინვესტორების მოზიდვის პერსპექტივები; 3. უმუშევრობის და სიღარიბის დონის შემცირება; 4. ინფორმაციის გამჭვირვალობა.	1. ჯანდაცვის ობიექტების სტატუსისა და საკუთრების ფორმის განსაზღვრის გაჭიანურება; 2. მოსახლეობის გარკვეული ფენის ინტერესების შესაძლო გაუთვალისწინებლობა რეფორმირების პროცესში; 3. სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტებზე ფასების მატება.

სტრატეგიული მიმართულებები:

რეგიონში სამედიცინო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მიწოდების განვითარების ხელშეწყობა

1. სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის, მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების, მოსახლეობისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდების მიზნით საავადმყოფოების ქსელის რეორგანიზაცია, მათი მიზნობრივი პრივატიზება და ინვესტიციების მოზიდვა;
2. რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, საავადმყოფოების რეორგანიზაციის პირობებში მათი პროფილის განსაზღვრა. მაღალმთიან რაიონებში სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის შენარჩუნება, ამ პრობლემის მქონე სოფლების იდენტიფიკაცია, მათთვის პირველადი სამედიცინო მომსახურების პროდუქტის შექმნა;
3. დაავადებიათობისა და ავადობის საფუძველზე ამბულატორიული, სტაციონალური და სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამების შემუშავება;
4. სოციალურად დაუცველი ფენებისათვის, პენსიონერებისათვის სამედიცინო მომსახურების უფასოდ ან შეღავათით მიწოდების ორგანიზაცია;
5. მცირე და საშუალო სიმძლავრეების კერძო სამედიცინო სექტორის ეტაპობრივი განვითარების ხელშეწყობა;
6. სახელმწიფოს მხრიდან პირველადი ჯანდაცვის ცენტრების შექმნისადმი ხელშეწყობა და მათი მომსახურების დონის ამაღლება;
7. სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

მოსახლეობის უფლებების დაცვა

8. სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის კმაყოფილების გაზომვა;
9. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
10. ინფექციური და პარაზიტული დაავადებების პრევენცია;
11. ეპიდზედამხედველობა და ეპიდსიტუაციების მართვა.

სოციალური მომსახურების გაუმჯობესება

12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა;
13. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
14. მშობლების ზრუნვას მოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების შექმნის ხელშეწყობა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
15. მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არ მქონე მოსახლეობის რეესტრის შექმნა (დამის თავშესაფარების არსებობა);
16. სოციალური სახლების (მოხუცთა თავშესაფარი) შექმნა;
17. დევნილებისთვის და ეკომიგრანტებისთვის სოციალური პირობების გაუმჯობესება. ეკოლოგიური საფრთხის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ფაქტობრივი საჭიროებების შეფასება და წინადადებების მომზადება. მათი უსაფრთხო ადგილზე განსახლების ორგანიზება,

ადაპტაცია-ინტეგრაციის პრობემის შექმნა, საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და სოციალური დაცვა;

18. აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების მჭიდროდ დასახლებული სოფლებიდან, მთის განტვირთვის მიზნით, მოსახლეობის ინტეგრაცია მეტროპოლიტანურ ზონებში;
19. ეკომიგრანტი ოჯახებისათვის ბინათმშენებლობა და ინტეგრაცია აჭარის მეტროპოლიტანურ ზონებში;
20. მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა.

ექიმთა გადამზადების და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის პროგრამა

21. დასაქმებული სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული განათლების ხელშეწყობა;
22. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საკითხებში სამედიცინო პერსონალის მომზადება.

სადაზღვეო სისტემის სრულყოფა

23. ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის განვითარების ხელშეწყობა;
24. სადაზღვეო კომპანიების და სამედიცინო დაწესებულებების ურთიერთობების სრულყოფა.

თავი 9. განათლება, კულტურა და სპორტი

განათლება

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების სფეროში მოქმედებს ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება. დანართში ცხრილი 9.1 გვიჩვენებს კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ზრდის ტენდენციას. ცხრილი 9.2 გვიჩვენებს კერძო და საჯარო სკოლებში მოსწავლეთა გადანაწილებას. 2011 წლისათვის მოსწავლეთა 12% კონცენტრირებულია კერძო სკოლებში. კერძო სექტორის გააქტიურება ხელს უწყობს სკოლებს შორის კონკურენციის ზრდასა და განათლების ხარისხის ამაღლებას. მიზანშეწონილია საგანმანათლებლო სფეროში კერძო ინვესტიციების მოზიდვა.

აჭარაში 2011 წლისათვის 352 სერტიფიცირებული მასწავლებელია, რაც აჭარაში დასაქმებულ მასწავლებელთა დაახლოებით 5%-ია. აღსანიშნავია, რომ სერტიფიცირებულ მასწავლებელთა დიდი წილი ბათუმის საჯარო სკოლებშია განაწილებული. დანართში ცხრილი 9.3 გვიჩვენებს მასწავლებელთა გადანაწილებას რაიონების მიხედვით. მიზანშეწონილია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.

საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება. რაც შეეხება ფიზიკა-მათემატიკური საგნების მნიშვნელობას, თანამედროვე ეპოქაში ფიზიკა - მათემატიკა ფართოდ გამოიყენება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში: მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, მედიცინაში, ეკონომიკაში, გარემოს დაცვასა და აღდგენა-კეთილმოწყობაში, სოციალურ გადაწყვეტილებათა მიღებაში. მიზანშეწონილია უცხო ენებისა და ფიზიკა - მათემატიკის გაძლიერებულად სწავლების ხელშეწყობა. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ამ მიმართულებით 2011 წელს სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

- ქალაქ ბათუმის N4 საჯარო სკოლაში ინგლისური ენისა და ქალაქ ბათუმის №6 საჯარო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების ცენტრები გაიხსნა.
- 2011 წელს ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების ცენტრში სწავლობდა 197 მოსწავლე, ხოლო ინგლისური ენის სწავლების ცენტრში კი - 100.

განათლების ხარისხის ხელშეწყობის მიზნით სამინისტრო ახორციელებს არაერთ საკონკურსო პროგრამას. მიზანშეწონილია მსგავსი პროგრამების გამრავალფეროვნება და მასშტაბების გაზრდა.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2011 წელს სამინისტროს მიერ განხორციელებული კონკურსების შესახებ.

- სასკოლო კლუბების განვითარების პროგრამის ფარგლებში 2011 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 35 000 ლარი გამოყო. დაფინანსდა სასკოლო კლუბების 13 ინიციატივა.
- 2011 წელს კონკურსში „ბავშვები და ხელოვნება 2011“, რომლის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახვითი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული

მოსწავლეების აღმოჩენა და წახალისება, მონაწილეობდა ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების 684 მოსწავლე. ამათგან გამოვლინდა 12 გამარჯვებული მოსწავლე.

- 2011 წელს კონკურსში „ფოტოგრაფია 2011“, რომლის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ნიჭიერი ფოტოგრაფების აღმოჩენა და წახალისება, მონაწილეობდა აჭარის საჯარო და კერძო სკოლების 61 მოსწავლე. კონკურსის შედეგად გამოვლინდა პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელი 3 გამარჯვებული მოსწავლე.

რესურსცენტრების მიერ მოწოდებული ინფორმაციით სკოლებში არსებული ვაკანსიების შესახებ დგინდება, რომ ზოგიერთი მუნიციპალიტეტის (ქედა, შუახევი, ხულო) სკოლებში ამა თუ იმ საგნის მასწავლებელი საერთოდ არ არსებობს. განსაკუთრებით პრობლემურია უცხო ენების, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. მიზანშეწონილია მასწავლებელთა მიმაგრება მაღალმთიან რაიონებში.

სამინისტროს ინიციატივით 2011 წლიდან ამოქმედდა პროგრამა „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“, რომლის ფარგლებშიც შეირჩა 7 მასწავლებელი. პროგრამის დასაფინანსებლად აჭარის ბიუჯეტიდან 2012 წელს გამოიყო 80 000 ლარი.

სწავლისას ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებას კი წარმოადგენს მოძებნოს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლების გზები. ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოდელის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და კლასის სრულუფლებიანი წევრია. ის სრულად უნდა მონაწილეობდეს სასკოლო და საკლასო აქტივობებში. მიზანშეწონილია სსმ მოსწავლეებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო სერვისების შექმნა.

2011 წლიდან სამინისტროს ინიციატივით სკოლების რეაბილიტაციისას გათვალისწინებულია სსმ მოსწავლეთა საჭიროებები. ასევე, ინკლუზიური ჯგუფი ფუნქციონირებს ბათუმის N6 საჯარო სკოლაში, სადაც 39 სსმ მოსწავლეს სპეციალურ საგანმანათლებლო სერვისებს სთავაზობენ სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლები. აღნიშნულის დაფინანსებისათვის 2011 წელს აჭარის ბიუჯეტიდან გამოიყო 54 600 ლარი.

აჭარაში 4 სკოლა პანსიონია: სალიბაურის (ხელვაჩაური), ჩაისუბნის (ქობულეთი), მერისის (ქედა) და დაბა შუახევის (შუახევი). სკოლა-პანსიონებში საპანსიონო მომსახურებას გადის 427 მოსწავლე. სკოლა-პანსიონების კონტინგენტი ძირითადად სოციალურად დაუცველი ან მზრუნველობამოკლებული მოსწავლეებისაგან შედგება. 2012 წელს აღნიშნული სკოლების საპანსიონო მომსახურებისათვის სუბსიდიის სახით სამინისტროდან გამოიყო 674 300 ლარი. აღსანიშნავია, რომ სალიბაურის სკოლა-პანსიონის გარდა ყველა პანსიონი საჭიროებს რეაბილიტაციას. მიზანშეწონილია სკოლა-პანსიონების სუბსიდირება და რეაბილიტაცია.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 229 საჯარო სკოლაა. 2004 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს სკოლების შენობა-ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სულ რეაბილიტირებული და აშენებული იქნა 163 საჯარო სკოლა, საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 71%, რისთვისაც აჭარის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 41 884 588 ლარი. მიზანშეწონილია სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის გაგრძელება.

მოსწავლეთა სასკოლო ფორმებით უზრუნველყოფის პროგრამის მიზანია მოსწავლეთა შორის ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა და ბავშვის თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბება. **სხვა დადებით მხარეებთან ერთად პროგრამის განხორციელება გარკვეულწილად სოციალურად დაუცველი ოჯახების პრობლემების გადაჭრასაც შეუწყობს ხელს.** 2005 წლიდან 2011 წლამდე პროგრამის ფარგლებში შეიკერა 104 978 ერთეული სასკოლო ფორმა, რისთვისაც აჭარის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 4 101 400 ლარი. მიზანშეწონილია მოსწავლეთა სასკოლო ფორმებით უზრუნველყოფა.

სამინისტროს ინიციატივით 2011 წლიდან ფუნქციონირებს ა(ა)იპ „აჭარის განათლების ფონდი“, რომელიც მიზნად ისახავს განათლების ხარისხის ამაღლებას საზოგადოებაში. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს შესაძლებლობა უფასოდ შეისწავლოს ინგლისური ენა ქ. ბათუმსა და ყველა მუნიციპალიტეტებში. ა(ა)იპ „აჭარის განათლების ფონდის“ ძირითადი ფუნქციებია, უცხო ენების სწავლება სხვადასხვა დონეებზე და ზოგადად განათლების პოპულარიზაცია. აჭარის მასშტაბით უფასო ინგლისური ენის სწავლების კურსები გაიარა 4467 მსმენელმა. 2012 წლიდან დაგეგმილია მუნიციპალიტეტებში უფასო კომპიუტერული კურსები. მიზანშეწონილია უწყვეტი განათლების ხელშეწყობა.

უცხოეთის დაწესებულებებში სტაჟირების მიზნობრივი პროგრამის დასაფინანსებლად 2011 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოიყო 28 500 ლარი. 2011 წელს პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 12-მა აპლიკანტმა.

კულტურა

აჭარის რეგიონში 2011 წლის მონაცემებით ფუნქციონირებს 15 **მუზეუმი**, აქედან 6 ქ. ბათუმში და 9 მუნიციპალიტეტებში. ძირითადი სამუზეუმო ორგანიზაციების (პეტრას ციხე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი (4 ფილიალი), გონიო-აფსაროსის მუზეუმ ნაკრძალი, აჭარის ხელოვნების მუზეუმი) ბიუჯეტი 2011 წელს შეადგენდა 940 800 ლარს. ვიზიტორთა რაოდენობა კი - 41 805-კაცს შეადგენდა, 46%-ით მეტი 2010 წელთან შედარებით (იხ. დანართი - ცხრილი 9.4,9.5).

- მუნიციპალიტეტებში მოქმედი კულტურული ცენტრების შესახებ მონაცემები იხილეთ დანართში – ცხრილი 9.6.
- 2011 წლის მონაცემებით საზოგადოებას ემსახურება 3 თეატრი და 4 საკონცერტო-სანახაობითი დაწესებულება. 2009-2011 წლებში თეატრებში მაყურებელთა საშუალო რაოდენობა 18 000-ზე მეტი იყო (იხ. დანართი – ცხრილი 9.7).

სპორტი

აჭარის ა.რ. სპორტის სფეროში მუნიციპალური ბიუჯეტიდან 2009-2010 წლებში მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2010 წელს მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსებამ შეადგინა 1 337 317 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 35,1%-ით. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სპორტის სფეროში განხორციელებული ინვესტიციები 2007-2010 წლებში იხ. დანართში – ცხრილი 9.8, დაიგრამა 9.1.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში სპორტის სფეროში მოქმედი ფედერაციები და რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსებულმა ღონისძიებებმა 2011 წელს 510 00 ლარი შეადგინა. რეგიონში სულ 30 სპორტული ფედერაცია, 6 სახელმწიფო სპორტული სკოლა და 11 კერძო სპორტული კლუბი მოქმედებს (იხ. დანართი - ცხრილები 9.9-9.11).

ახალგაზრდობის საქმეთა ღონისძიებებისთვის 2011 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისთვის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოიყო 70 000 ლარი.

განათლების, კულტურისა და სპორტის სვოთ ანალიზი

ძლიერი მხარეები: 1. ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმა; 2. აჭარის არ განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს არსებობა; 3. აჭარის მთავრობის აქტიური მონაწილეობა განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროს განვითარებაში; 4. რეფორმებისადმი საზოგადოების მხარდაჭერა; 5. მართვის სისტემა, რომელიც აგებულია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპზე.	სუსტი მხარეები: 1. საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ დაწესებულებათა არაეფექტური მართვა; 2. დაბალ კონკურენტუნარიანი გარემო; 3. არასრულყოფილი ერთიანი საინფორმაციო ბაზა; 4. არასრულყოფილი საკანანმდებლო ბაზა კულტურისა და სპორტის სფეროში; 5. მომსახურების საბაზრო მოთხოვნებთან შეუსაბამობა; 6. დაბალკვალიფიციური და არასაკმარისი ადამიანური რესურსი; 7. განათლების დაბალი ხარისხი და მისი შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტებთან; 8. დაბალი ინტერესი უმაღლესი და პროფესიული განათლების ზოგიერთი სპეციალობის მიმართ 9. ახალგაზრდების არასაკმარისი დაინტერესება სპორტითა და კულტურით; 10. ინვესტიციების სიმცირე სპორტისა და კულტურის სფეროში.
შესაძლებლობები: 1. განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში ინვესტიციების ზრდა; 2. საერთაშორისო კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და მონაწილეობა; 3. განათლების სისტემის ადაპტირება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; 4. შედეგზე ორიენტირებული მართვის სისტემის შექმნა; 5. საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერება; 6. არასამთავრობო სექტორთან და დონორებთან ურთიერთობა.	საფრთხეები: 1. განათლების, კულტურისა და სპორტის პოლიტიკის არასტაბილურობა; 2. ეკონომიკური მდგომარეობის შესაძლო გაუარესება და ინვესტიციების შემცირება; 3. კვალიფიციური კადრების გადინება.

სტრატეგიული მიმართულებები

განათლება

ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება

1. გაძლიერებული სწავლების ხელშეწყობა - ფიზიკა/მათემატიკა/ინგლისური/სპორტი - სპეციალიზირებული სკოლების ხელშეწყობა;
2. სასკოლო ინიციატივების, კონკურსებისა და ოლიმპიადების მხარდაჭერა;
3. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა - მასწავლებელთა გადამზადება/ მომავალ მასწავლებელთა მომზადება;
4. მასწავლებელთა მიმაგრება მაღალმთიან რაიონებში - მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრა.

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

5. სკოლების ინფრასტრუქტურის ადაპტირება სსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მოსარგებად;
6. სპეციალური საგანმანათლებლო სერვისების სუბსიდირება;
7. სკოლა-პანსიონების სუბსიდირება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

8. სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
9. მოსწავლეთა სასკოლო ფორმებით უზრუნველყოფა;
10. საჯარო სკოლების ინვენტარით უზრუნველყოფა;
11. სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარება;
12. სკოლა- პანსიონების რეაბილიტაცია და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

პროფესიული და უმაღლესი განათლების რეგიონის საჭიროებებზე ორიენტირება

13. დეფიციტური პროფესიების გამოვლენა (საჭიროებათა კვლევა);
14. კერძო პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე საშეღავათო პირობების შემუშავება და დაწესება პრიორიტეტულ პროფესიების განვითარებაზე;
15. დეფიციტურ სპეციალობებზე სტუდენტებისათვის სპეციალური დაფინანსების მოდელის შემუშავება და დანერგვა.

უწყვეტი განათლების ხელშეწყობის პროგრამა

16. უცხო ენებისა და კომპიუტერის უფასო კურსები მოსახლეობისათვის;
17. საერთაშორისო სტაჟირებებზე სპეციალისტების მივლინების დაფინანსება.

კულტურა

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა

18. სამუშაო ჯგუფის შექმნა;
19. კანონპროექტის მომზადება;
20. საზოგადოებისათვის და დაინტერესებულ პირთათვის კანონპროექტის წარდგენა/განხილვა.

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება, პოპულარიზაცია და აჭარის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ერთიანი საინფორმაციო ბაზის გაუმჯობესება

21. ძირითად ძეგლებზე ძირეული საკონსერვაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება;
22. ექსპერტების მოწვევა და სამუშაო ჯგუფის შექმნა;
23. სამოქმედო გეგმის/გრაფიკის შედგენა;
24. სამუშაოების მონიტორინგი;
25. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან საგზაო ნიშნების და საინფორმაციო დაფების განთავსების პროექტის დასრულება;
26. აუდიო გიდების და ვირტუალური ტურების პროექტის დასრულება;
27. კულტურული ტურიზმის ტურების დაგეგმვა;
28. სუვენირების წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა.

აჭარის მუზეუმების და გალერეების მოდერნიზება და პროგრამული განვითარება

29. მუზეუმების ქსელის გაფართოება და არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
30. მუზეუმების მართვის სისტემის გაუმჯობესება საინფორმაციო პროგრამების ამოქმედების ხელშეწყობა;
31. მუზეუმებში სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა;
32. მუზეუმების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება სემინარებში, ტრენინგებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის გზით .

ფოლკლორის და ხალხური შემოქმედების ხელშეწყობა, შენარჩუნება, და პოპულარიზაცია

33. ინვენტარის შექმნა ფოლკლორული ანსამბლებისათვის (მუსიკალური ინსტრუმენტები და სასცენო კოსტიუმები);
34. ფოლკლორული ანსამბლების გასტროლების მხარდაჭერა;
35. მასტერ კლასების ჩატარების ხელშეწყობა;
36. ფოლკლორული და ხალხური შემოქმედების ფესტივალებისა და კონკურსების ჩატარების მხარდაჭერა;

37. ეთნოგრაფიის სფეროში სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა სამეცნიერო კვლევების განხორციელების, ნაშრომების, პუბლიკაციების, აუდიო და ვიზუალური მასალების გამოცემის მხარდაჭერის გზით.

სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობა და მისი შემდგომი პოპულარიზაცია

38. აქტუალურ სახელოვნებო სფეროებში (კინო და თანამედროვე ხელოვნება) კვლევების ჩატარების, რესურს ბაზების შექმნის, და განვითარების გეგმის შემუშავების ხელშეწყობა;
39. საექსპოზიციო და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და მათი შემდგომი ამოქმედებისა და განვითარების ხელშეწყობა;
40. საკონკურსო პროგრამების, სხვადასხვა კულტურული და სახელოვნებო ღონისძიებების ხელშეწყობა;
41. ფოტო, სახვითი და თანამედროვე ხელოვნების კატალოგების გამოცემა;
42. უცხოეთში გამოფენებში, ბიენალეებში და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა

43. სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების განვითარების გეგმის შემუშავების ხელშეწყობა;
44. სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია და არსებული ინფრასტრუქტურის განვითარება;
45. სასცენო და მუსიკალური ღონისძიებების მხარდაჭერა;
46. ანგარიშვალდებულების კრიტერიუმების შემუშავება და დანერგვა;
47. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების გასტროლების მხარდაჭერა და თეატრალური და მუსიკალური დასების, ანსამბლების მიღება;
48. სასცენო და სამუსიკო სფეროში სხვადასხვა მასტერ კლასების/ვორკშოპების მხარდაჭერა, საერთაშორისო და ადგილობრივი კონკურსების ჩატარება;
49. შეფასების და მონიტორინგის განახლებული სქემის შექმნა და დანერგვა.

სახელოვნებო განათლების ხარისხის ამაღლება და კულტურისა და ხელოვნების სფეროს კვალიფიციური კადრების მომზადება

50. სახელოვნებო სკოლების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
51. ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ინსტიტუციური განვითარების გეგმის შემუშავება;
52. ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერა;
53. სახელოვნებო –საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა/პროფესორ – მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

სპორტი და ახალგაზრდობა

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა

- 54. სამუშაო ჯგუფების შექმნა;
- 55. კანონპროექტის მომზადება;
- 56. საზოგადოებისთვის და დაინტერესებულ პირთათვის წარდგენა/განხილვა.

სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია

- 57. წახალისების სისტემის შემუშავება;
- 58. ინფრასტრუქტურის განვითარება;
- 59. ადგილობრივი და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება;
- 60. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

პროფესიული სპორტის განვითარება

- 61. წახალისების სისტემის შემუშავება;
- 62. ინფრასტრუქტურის განვითარება;
- 63. ადგილობრივი და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება;
- 64. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა

- 65. ახალგაზრდული პროექტების შემუშავება და განხორციელება;
 - 66. არაფორმალური და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა;
 - 67. მიმდინარე პროექტების შესახებ საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- აქტიური კომუნიკაცია უმაღლეს სასწავლებლებთან, დონორ ორგანიზაციებთან და ახალგაზრდულ საქმიანობებზე ორიენტირებულ არასამთავრობო სექტორთან.

დასკვნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგიული მიმართულებები დარგების მიხედვით შემდეგია:

დემოგრაფია და შრომის ბაზარი

1. დასაქმების ინფრასტრუქტურის განვითარება;
2. განათლების სისტემის სრულყოფა (ორიენტირება შრომის ბაზრის მოთხოვნილებებზე);
3. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
4. სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფა;
5. საზოგადოებაში პოზიტიური სოციალური გარემოს შექმნა.

ტურიზმი

1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, აჭარის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
2. აჭარის რეგიონის ცნობადობის ზრდა, “პიარი”;
3. ტურისტული სეზონის გახანგრძლივება, ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა;
4. ტურისტული მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდა;
5. აჭარის ტურისტულ-საკურორტო რესურსებისა და გარემოს დაცვა;
6. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობი ფინანსური და ეკონომიკური ბერკეტების ამუშავება.

სოფლის მეურნეობა

1. სასოფლო სამეურნეო მიწების ეფექტიანად გამოყენების ხელშეწყობა;
2. წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ამაღლების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები და განსახორციელებელი პროგრამები;
3. აგრო განათლების დონის ამაღლება;
4. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
5. სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის გაუმჯობესება.

მშენებლობა

1. სამშენებლო სფეროში განათლების დონის და დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება;
2. მშენებლობაში სავალდებულო დაზღვევის შემოღების მიზნით საკანონმდებლო ინიციატივა;
3. სამშენებლო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა;
4. მშენებლობაში ხარისხის მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა;
5. ქალაქმშენებლობის პროცესის საჯაროობის უზრუნველყოფა და ურბანული მემკვიდრეობის დაცვა;
6. ქალაქმშენებლობის დარგში სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის სრულყოფა;
7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტების, დასახლებების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავება;
8. საქალაქო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფა.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები

1. სასმელი წყლისა და ზედაპირული წყლების ხარისხის გასაუმჯობესებლად განსახორციელებელი ღონისძიებები;
2. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად განსახორციელებელი ღონისძიებები;
3. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტა;
4. ნარჩენების მართვის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები;
5. მიწის რესურსებით რაციონალური სარგებლობის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები;
6. ტყის რესურსებით სარგებლობის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები;
7. შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები;
8. ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები;
9. ზოგადი გარემოს დაცვითი ღონისძიებები.

მრეწველობა

1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამრეწველო პოტენციალის “შეფუთვა” და რეკლამირება კერძო სამეწარმეო ინტერესებში მოქცევის მიზნით;
2. მრეწველობის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება და საწარმოო პროცესში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვაში მხარდაჭერა;
3. სამრეწველო ბიზნეს ინკუბატორების შექმნა;
4. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის ხელშეწყობა.

ტრანსპორტი

1. მდგრადი ურბანული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
2. შემოვლითი სატრანზიტო გზის მშენებლობა;
3. გზის ხარისხის გაუმჯობესება ბათუმიდან ახალციხემდე;
4. სოფლებთან მისასვლელი გზების ხარისხის გაუმჯობესება;
5. რკინიგზის სანაპირო ზონიდან გადატანა;
6. სავაჭროსივლითი ხაზების შექმნა აჭარის ძირითად გზებზე, განსაკუთრებით ქალაქებში და დაბებში;
7. ეკოლოგიურად უსაფრთხო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება (მეტრო, ტრამვაი);
8. პატარა ნავსადგურების (“მარინა”) მოწყობა.

კავშირგაბმულობა

1. რეგიონის მაქსიმალური ინტერნეტიზაცია.

კომუნალური მომსახურება

1. კომუნალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია;
2. რეგიონის სრული გაზიფიკაცია;

3. რეგიონში არსებული წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების სრული რეაბილიტაცია, ახალი სისტემების მშენებლობა;
4. ღონისძიებები გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით.

ჯანდაცვა

1. რეგიონში სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
2. სამედიცინო მომსახურების ხარისხის რეგულირება;
3. პრევენციული მედიცინის ინფრასტრუქტურის განვითარება;
4. სოციალური მომსახურების გაუმჯობესება;
5. ექიმთა გადამზადების და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის პროგრამა;
6. სადაზღვეო სისტემის სრულყოფა.

განათლება, კულტურა და სპორტი

1. რეგიონში ადამიანური რესურსების კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა;
2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვა და პოპულარიზაცია;
3. სპორტისა და ახალგაზრდულ მიმართულებათა განვითარების ხელშეწყობა;
4. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინსტიტუციური განვითარება.

აჭარის განვითარების ძირითადი ფასეულობები:

- ჯანმრთელობა
- უსაფრთხოება
- თავისუფლება
- სუფთა გარემო
- სტაბილური ეკონომიკური ზრდა
- განვითარებული ინფრასტრუქტურა
- ცხოვრების მაღალი დონე
- განათლებისა და კულტურის მაღალი დონე
- სასიამოვნო დასვენება და გართობა

აჭარის განვითარების მთავარი რისკები:


- ეკონომიკური არასტაბილურობა
- საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის არასტაბილურობა
- ბუნებრივი რესურსების არაეფექტურად გამოყენება
- გარემოს დაბინძურება
- კლიმატური ცვლილებები
- თვითმმართველობების პასიური როლი რეგიონის განვითარების პროცესებში
- სამოქალაქო საზოგადოების პასიური როლი რეგიონის განვითარების პროცესებში.

დანართი

თავი 1. დემოგრაფია და შრომის ბაზარი

დიაგრამა 1.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა (1 იანვრის მდგომარეობით)

(ათასი კაცი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1.1. მოსახლეობის რიცხოვნობა თვითმართველი ერთეულების მიხედვით 2000-2011 წლებში (ათასი კაცი)

დასახელება	2000	2001	2002*	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
აჭარის არ	381,0	379,3	376,0	373,3	370,1	373,0	377,2	378,8	380,2	382,4	386,9	390,6
ქ. ბათუმი	126,0	124,4	121,8	121,0	120,2	121,2	122,1	122,2	122,2	122,5	123,5	124,3
ქედა	20,6	19,9	20,0	19,9	19,5	19,6	19,7	19,8	19,9	20,0	20,2	20,4
ქობულეთი	91,0	89,2	88,1	87,4	86,6	87,2	88,9	89,2	89,4	89,8	91,1	92,1
შუახევი	21,5	21,4	21,9	21,6	21,2	21,3	21,6	21,8	22,0	22,3	22,6	22,8
ხელვაჩაური	89,0	92,4	90,8	90,2	89,6	90,5	91,3	91,8	92,2	92,8	94,4	95,2
ხულო	32,9	32,0	33,4	33,2	33,0	33,2	33,6	34,0	34,5	35,0	35,5	35,8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 1.2. აჭარის რეგიონის მოსახლეობა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1.2. მოსახლეობის სიმჭიდროვე მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით

დასახელება	მოსახლეობის რაოდენობა (ათასი კაცი)	ტერიტორია (კვ. კმ)	მოსახლეობის სიმჭიდროვე (კაცი/1 კვ.კმ-ზე)
აჭარა	376,0	2912,3	129,1
ქ. ბათუმი	121,8	29,0	4200,0
ქედა	20,0	452,0	44,3
ქობულეთი	88,1	720,0	122,4
შუახევი	21,9	588,0	37,2
ხელვაჩაური	90,8	413,3	219,7
ხულო	33,4	710,0	47,0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1.3. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით 2002-2011 წლებში

(ათასი კაცი)

დასახელება	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
საქართველო	4 371,5	4 342,6	4 315,2	4 321,5	4 401,3	4 394,7	4 382,1	4 385,4	4 436,4	4469,2
თბილისი	1 081,7	1 079,1	1 078,2	1 079,7	1 103,3	1 101,1	1 136,6	1 136,6	1152,5	1162,4
აფხაზეთის არ	1,9	1,9	1,9	1,9	1,9	1,9	1,9	1,9	1,9	1,9
აჭარის არ	376,0	373,3	370,1	373,0	377,2	378,8	380,2	382,4	386,9	390,6
გურია	143,4	142,1	139,2	138,7	139,3	139,0	138,8	138,8	139,8	140,3
იმერეთი	699,7	694,9	690,2	689,0	700,1	697,6	694,2	693,5	700,4	704,5
კახეთი	407,2	403,8	401,3	399,9	404,8	403,6	401,9	401,4	404,5	406,2
მცხეთა- მთიანეთი	125,4	124,6	122,5	122,5	124,5	124,1	105,2	105,2	108,8	109,3
რაჭა- ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	51,0	50,2	49,7	49,1	49,1	48,6	48,2	47,7	47,6	47,3
სამეგრელო- ზემო სვანეთი	466,1	462,8	459,5	460,4	471,0	469,8	467,7	468,0	474,1	477,1
სამცხე- ჯავახეთი	207,6	206,2	202,6	203,5	208,5	208,3	207,7	208,1	211,3	212,8
ქვემო ქართლი	497,5	493,2	491,1	494,7	507,6	508,3	486,9	488,8	499,9	505,7
შიდა ქართლი	314,0	310,5	308,9	309,1	314,0	313,6	312,8	313,0	310,6	313,0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1.4. აჭარის მოსახლეობა სქესისა და ასაკის მიხედვით (მოსახლეობის 2002 წლის აღწერით)

მუდმივი მოსახლეობა სულ:	ორივე სქესი	კაცი	ქალი
შრომისუნარიანზე უმცროსი	90349	46648	43701
შრომისუნარიანი	245949	122756	123193
შრომისუნარიანზე უფროსი	39620	11671	27949
მოსახლეობის საშუალო ასაკი	32.8	31.4	34.2
მოსახლეობის მედიანური ასაკი	30.2	28.0	31.3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1.5. აჭარის მოსახლეობა სქესისა და ასაკის მიხედვით (მოსახლეობის 2002 წლის აღწერით)

მთლიან მოსახლეობაში წილი	ორივეს ქვესი (%)	კაცი (%)	ქალი (%)
შრომისუნარიანზე უმცროსი	24,03	12,41	11,63
შრომისუნარიანი	65,43	32,65	32,77
შრომისუნარიანზე უფროსი	10,54	3,10	7,43


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1.6. მოსახლეობის სტრუქტურა ასაკისა და სქესის მიხედვით (მოსახლეობის 2002 წლის აღწერით)

აჭარის მოსახლეობა	ორივე სქესი	კაცი	ქალი
0-15	97464	50187	47277
16-25	64905	32046	32859
26-35	58598	28598	30000
36-55	94777	45182	49595
56-65	30310	13391	16919
66-75	20915	8890	12025
76-85	7284	2359	4925
85 წლის და ზევით	1763	486	1277

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 1.3. აჭარის მოსახლეობის დაყოფა ასაკის მიხედვით (მოსახლეობის 2002 წლის აღწერით)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1.7. აჭარის მოსახლეობის სტრუქტურა ასაკის და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (მოსახლეობის 2002 წლის აღწერით)

დასახელება	აჭარა	ბათუმი	ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა	შუახევი	ხულო
მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა	375918	121806	88063	90843	20024	21752	33430
შრომისუნარიანზე უმცროსი	90349	25791	20198	22803	5099	6292	10166
შრომისუნარიანი	245949	83615	58410	59617	12365	12652	19290
შრომისუნარიანზე უფროსი	39620	12400	9455	8423	2560	2808	3974
მოსახლეობის საშუალო ასაკი	32.8	33.9	33.4	31.7	33.1	31.7	31.1
მოსახლეობის მედიანური ასაკი	30.2	31.7	30.9	28.2	28.8	27.0	26.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1.8. აჭარის ა. რ. მოსახლეობის განაწილება სქესის მიხედვით (მოსახლეობის 2002 წლის აღწერით)

დასახელება	მუდმივი მოსახლეობა (კაცი)		
	ორივე სქესი	კაცი	ქალი
აჭარის ა.რ. მოსახლეობა	376016	181139	194877
ქ. ბათუმი	121806	56171	65635
ქედა	20024	9951	10073
ქობულეთი	88063	43268	44795
შუახევი	21850	10746	11104
ხელვაჩაური	90843	44739	46104
ხულო	33430	16264	17166

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1.9. აჭარისა. რ. მოსახლეობის განაწილება სქესის მიხედვით (მოსახლეობის 2002 წლის აღწერით)

დასახელება	მუდმივი მოსახლეობა	
	კაცი (%)	ქალი (%)
აჭარის ა. რ. მოსახლეობა	48	52
ქ. ბათუმი	46.1	53.9
ქედა	49.7	51.3
ქობულეთი	49.1	50.9
შუახევი	49.2	50.8
ხელვაჩაური	49.2	50.8
ხულო	48.6	51.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1.10. 2000-2010 წლებში აჭარის რეგიონის შრომითი პოტენციალი (ათასი კაცი)

დასახელება	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	169,4	180,7	162,2	189,3	173,1	164,2	150,5	139,6	164,2	190,2	181,1
მომუშავე	144,2	154,5	138,4	166,3	142,5	130,8	122,0	104,2	122,2	148,2	148,6
დაქირავებული	55,1	64,3	57,6	48,0	47,8	46,6	45,1	38,3	44,7	50,4	54,8
თვითდასაქმებული	75,7	85,0	80,2	118,3	94,5	84,2	76,6	65,8	77,4	97,7	93,7
გაურკვეველი	13,4	5,2	0,5	0,0	0,2	0,0	0,3	0,0	0,1	0,0	0,2
უმუშევარი	25,2	26,2	23,9	23,0	30,5	33,4	28,5	35,4	42,1	42,1	32,5
უმუშევრობის დონე (%)	14,9	14,5	14,7	12,1	17,6	20,4	18,9	25,4	25,6	22,1	17,9
აქტიურობის დონე (%)	58,9	61,8	62,9	71,7	60,6	56,7	50,2	48,8	59,6	64,7	64,7
დასაქმების დონე (%)	50,1	52,9	53,7	63,0	50,0	45,2	40,7	36,4	44,4	50,4	53,1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


ცხრილი 1.11. 2001-2010 წლებში აჭარის არ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა

ეკონომიკური საქმიანობის სახეები	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	312	253	203	261	368	151	234	243	199	1230
თევზჭერა, მეთევზეობა	59	70	43	38	54	51	38	12	54	43
სამთომშპოვებითი მრეწველობა	78	110	106	84	170	117	142	123	227	178
დამამუშავებელი მრეწველობა	4094	3334	3402	3057	3605	4056	3972	4092	5521	5787
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება	1583	1576	1728	2044	1796	2081	1140	444	365	412
მშენებლობა	1842	2018	1283	1346	2883	4942	4740	5351	5591	4064
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	5131	3726	3982	3838	5147	4773	4831	4507	4886	4767
სასტუმროები და რესტორნები	980	888	717	954	1626	2209	1978	1700	1816	2278

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	6657	6740	6857	5602	5548	5008	3988	3670	4023	3225
საფინანსო შუამავლობა	52	40	40	31	52	...	...	...		
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1435	1197	1063	1140	1634	1925	1461	1568	1189	1899
განათლება	915	814	783	745	1102	1224	1769	1346	1629	1698
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	4435	4384	4456	4727	5112	4863	5413	4811	4720	5258
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	815	807	837	781	905	872	817	1363	1105	1008
სულ	28388	25957	25500	24648	30002	32271	30523	29229	31325	31847


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 1.4. აჭარის ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 2001-2010 წლები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 1.5. აჭარის არ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა წილი დარგების მიხედვით 2010 წელი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1.12. კადრების დეფიციტი დარგების მიხედვით

სოფლის მეურნეობა	აგრონომი, იხტიოლოგი, ვეტექიმი
მრეწველობა	ელექტრიკოსი, ფარმაცევტული წარმოების ტექნოლოგი, კვების ტექნოლოგი, ხარატი, მდარავი, დურგალი, გაყიდვების მენეჯერი, პოლიგრაფიის სპეციალისტი და სხვა
მშენებლობა	ელექტრო-შემდუღებელი, ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-ელექტრიკოსი, ინჟინერ-გეოდეზისტი, ინჟინერ-მექანიკოსი, საგზაო-ინჟინერი, სამშენებლო ტექნიკის ტექნიკოსი, საგზაო ტექნიკის ტექნიკოსი, სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი, ელექტრიკოსი, ფართო პროფილის მშენებელი, მებათქაშე, მღებავი და სხვა
ვაჭრობა	ელექტრიკოსი, გაყიდვების კონსულტანტი, ბუღალტერი.
სასტუმროები და რესტორნები	მიმტანი, სასტუმროს ადმინისტრატორი, მზარეული, ბარმენი, მასაჟისტი, სანტექნიკოსი, მარკეტოლოგი
ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა	ხარატი, IT-სპეციალისტი, ელექტრიკოსი
კავშირგაბმულობა	კავშირგაბმულობის სპეციალისტი
საფინანსო შუამავლობა	საკრედიტო ექსპერტი, ეკონომისტი, IT—სპეციალისტი.

განათლება	ინფორმატიკის, მუსიკის პედაგოგები
ჟანრები	ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის სპეციალისტი, ექიმი ოტოლარინგოლოგი, ოფთალმოლოგი, ექიმი თერაპევტი, ოჯახის ექიმი, კარდოლოგი, ოკულისტი, ფიზიო- თერაპევტი, უროლოგი, დერმატოლოგი, ტრავმატოლოგი, ექიმი-ანესთეზიოლოგი, პედიატრი.
მოსახლეობის მომსახურების სფერო	მკერავი, მობილური ტელეფონების შემკეთებელი, ელექტრო- შემკეთებელი, ავტო-ზეინკალი, აუდიო-ვიდეო აპარატურის შემკეთებელი

წყარო: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

ცხრილი 1.13. კადრების დეფიციტურობის მიზეზები (%-ით გამოკითხულ დამსაქმებელთა რაოდენობასთან)

ძირითადი მიზეზი	აჭარა სულ:	ბათუმი	ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა	შუახევი	ხულო
ვერ მომიძებნია სასურველი კვალიფიკაციის კადრი	32	30	64	40	40	60	40
ქვეყანაში ამ პროფესიის კადრები არ მზადდება	15	13	36	20	-	-	-
არ ვიცი, ვის მივმართო საჭირო კანდიდატურის მოსაძიებლად	18	7	19	60	60	60	60

წყარო: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

ცხრილი 1.14. მომუშავეთა კატეგორიები, რომელთა მოზიდვა რთულია (გამოკითხვის შედეგებით)

(%)

	აჭარა სულ:	ბათუმი	ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა	შუახევი	ხულო
კვალიფიციური მუშები	56	62	50	-	33	-	10
უმაღლესი განათლების კვალიფიციური სპეციალისტები	37	30	50	80	67	75	90
არაკვალიფიციური კადრები	7	8	-	20	-	25	-

წყარო: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

ცხრილი 1.15

ძირითადი პროფესიები, რომლებზე მოთხოვნა იქნება უახლოესი ერთი წლის მანძილზე	ძირითადი პროფესიები, რომლებზეც მოთხოვნა იქნება უახლოესი 2-3 წლის მანძილზე
ქ. ბათუმი ბარმენი, მიმტანი, სასტუმროს ადმინისტრატორი, ელექტრიკოსი, ეკონომისტი, პედაგოგი, მეზატეაშე, მღებავი, მოლარე-ოპერატორი, გამყიდველი, ფარმაცევტი, ელ. შემდუღებელი, ელექტრიკოსი, მძღოლი, ექთანი.	ქ. ბათუმი ეკონომისტი, იურისტი, მძღოლი, გამყიდველი, მოლარე-ოპერატორი, მიმტანი, ბარმენი, მზარეული, მცხოვრელი, ფარმაცევტი, პედაგოგი, ბუღალტერი, აიტი-სპეციალისტი, პროგრამისტი, მენეჯერი
ზღვისპირააჭარა (ქობულეთი, ხელვაჩაური) მძღოლი, ეკონომისტი, ბუღალტერი, მიმტანი, ბარმენი, მზარეული, მცხოვრელი, კვებისტექნოლოგი, ელ. შემდუღებელი, მორიგე-კონტროლიორი (ტრანსპორტი), მატარებლისშემდგენელი, სანტექნიკოსი, სასტუმროსადმინისტრატორი, მგზავრთაგადაყვანისსპეციალისტი, ფართოპროფილისმშენებელი. ექიმი_თერაპევტი, ექთანი, სანიტარი, ვეტერინარი, აგრონომი, პედაგოგი, ქირურგი, კარდეოლოგი, რენდგენოლოგი, ალერგოლოგი, ოფთალმოლოგი, მენეჯერი.	ზღვისპირააჭარა (ქობულეთი, ხელვაჩაური) მძღოლი, ელექტრიკოსი, სანტექნიკოსი, კვებისტექნოლოგი, ეკონომისტი, მორიგე-კონტროლიორი, (ტრანსპორტი), ინჟინერ-ელექტრიკოსი, ელ. შემდუღებელი, მიმტანი, ბარმენი, დაცვის მუშაკი, სასტუმროს ადმინისტრატორი, გაყიდვების კონსულტანტი, ბუღალტერი, აიტი სპეციალისტი, აგრონომი, მენეჯერი, იურისტი, ფინანსისტი, ფარმაცევტი, ვეტერინარი, პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნე, ენტემოლოგი (მცენარეთადაცვისსპეციალისტი), კინოლოგი, ეკოლოგი, ინჟინერ-მექანიზატორი.
მთიანი აჭარა ექიმი-თერაპევტი, რეანიმატოლოგი, კვების ტექნოლოგი, ვეტერინარი, აგრონომი, ნიადაგმცოდნე, ენტემოლოგი (მცენარეთა დაცვის სპეციალისტი), ინჟინერ-მექანიკოსი, ინჟინერ-ტექნოლოგი. ტრაქტორისტი, მექანიზატორი, ვეტექიმი, მენეჯერი, კარდეოლოგი, ოფთალმოლოგი, პედიატრი, ექიმი ოტოლარინგოლოგი, ექთანი, გეოლოგი, პედაგოგი, ფართო პროფილის მშენებელი. ელექტრიკოსი, ავტო-ზეინკალი, უცხო ენის სპეციალისტი.	მთიანი აჭარა ინჟინერ-მექანიზატორი, აგრონომი, იხტიოლოგი, ენტემოლოგი (მცენარეთა დაცვის სპეციალისტი), ვეტერინარი, ექიმი-თერაპევტი, კვების-ტექნოლოგი, ინჟინერ-ელექტრიკოსი, ინჟინერ-მშენებელი, ფართო პროფილის მშენებელი, ნიადაგმცოდნე, მელიორატორი, მენეჯერი, გიდი. ტრაქტორისტი, ექიმი-ოტოლარინგოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდეოლოგი, პედიატრი, ექთანი, ელექტრიკოსი, ელ. შემდუღებელი, აიტი-სპეციალისტი, ავტო-ზეინკალი.

წყარო: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

თავი 2. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები

ცხრილი 2.1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული მინერალური წყლები

#	მინერალური წყაროს ადგილმდებარეობა	წყლის ტიპი ქიმიური შემადგენლობის მიხედვით	დებეტი (ლ/დღე-ღამეში)	ტემპერატურა C	pH	ქიმიური შემადგენლობა
1	2	3	4	5	6	7
1	კოკოტაური (ქედის რაიონი)	ჰიდროკარბონატულ-სულფატური კალციუმიან-მაგნიუმიანი	50000	10 C	6.6	$\text{HCO}_2,76\text{SO}_4,22\text{Cl}_{12}$ $\text{CO}_2\text{O}_2,92$ $\text{Ca}50\text{Mg}26\text{Na}22$
2	ნამონასტრევი (ქედის რაიონი)	სულფატური ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი	16000	12 C	6.7	$\text{SO}_4,46\text{HCO}_2,40\text{Cl}_{134}$ $\text{CO}_2\text{O}_2,728$ $\text{Ca}50\text{Na}28\text{Fe}6\text{Mg}8$
3	ცხმორისი (ქედის რაიონი)	სულფატური ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი	60000	31 C	7.6	$\text{Cl}_{152}\text{SO}_4,40\text{Cl}_{134}$ $\text{H}_2\text{S}_{0,003}\text{M}_{1,8}$ $\text{Na}58\text{Ca}40$
4	დუმბაძეების წყარო (ქედის რაიონი)	სულფატური-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული ნატრიუმიან-კალციუმიანი	200000	14 C	4.0	$\text{SO}_4,46\text{HCO}_2,20\text{Cl}_{114}$ $\text{M}_{1,34}$ $\text{Ca}42\text{Na}30\text{Mg}18$
5	საქაჯია (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-მაგნიუმიანი	3000	13 C	6.5	$\text{SO}_4,46\text{HCO}_2,20\text{Cl}_{114}$ $\text{CO}_2,0,7\text{M}_{2,4}$ $\text{Ca}72\text{Mg}17\text{Fe}11$
6	საინი (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-მაგნიუმიანი	30000	13.5 C	3.8	$\text{SO}_4,62\text{HCO}_2,37$ $\text{M}_{0,34}$ - $\text{Ca}72\text{Mg}18\text{Fe}11$
7	ბაკანეთი (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული რკინიან-კალციუმიანი	5000	14.5 C	4.8	$\text{SO}_4,90\text{HCO}_2,6\text{Cl}_{13}$ $\text{M}_{0,4}$ $\text{Fe}52\text{Ca}32\text{Mg}8\text{Na}6$
8	წისკვილის ღელე (ქედის რაიონი)		20000	11.5 C	4.6	$\text{SO}_4,92\text{HCO}_2,8$ $\text{M}_{0,4}$ $\text{Fe}62\text{Ca}28\text{Mg}6\text{Na}4$
9	მერისის აბანო (ქედის რაიონი)		30000	12 C	4.6	$\text{SO}_4,93\text{HCO}_2,7$ $\text{M}_{0,4}$ $\text{Fe}64\text{Ca}32\text{Mg}14$
10	დვალბეების აბანო (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული რკინიან-კალციუმიანი	70000	12 C	3.4	$\text{SO}_4,87\text{HCO}_2,\text{HCl}_{12}$ $\text{M}_{0,36}$ - $\text{Fe}58\text{Ca}36\text{Al}_{12}\text{Na}3$
11	ჭიდლის ხევი (ქედის რაიონი)	სულფატურ-რკინიან-კალციუმიანი	6000	13 C	4.4	$\text{SO}_4,\text{HCl}_{16}$ $\text{M}_{0,37}$ $\text{Fe}48\text{Ca}42\text{Al}_{18}\text{Na}2$

12	სარეცხელა (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული რკინიან-კალციუმიანი	2000	13 C	4.4	SO_4 91 HCO_2 7C12 $\text{M}_{0,3}$ ----- Fe62 Ca36Mg2
13	გუნდაურის წყარო (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული რკინიან-კალციუმიანი	4000	14 C	4.5	SO_4 92 HCO_2 6C12 $\text{M}_{0,3}$ ----- Fe58 Ca34Mg4A13
14	ასანიშვილების წყარო (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი	50000	13 C	4.6	SO_4 42 HCO_2 6C12 $\text{M}_{0,3}$ ----- Ca28Na18Mg6Fe10
15	ისტარიშვილების წყარო (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიანი	1200	13 C	4.4	SO_4 67 HCO_2 32 $\text{Fe}_{0,04}\text{M}_{0,3}$ ----- Ca52A128
16	წყალბოკელა (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი	12000	11 C	6.0	SO_4 95 HCO_2 4CH $\text{M}_{0,3}$ ----- Ca78Na19Mg6
17	უჩამბა (შუახევის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი	20000	9 C	6.4	SO_4 84 HCO_2 16 $\text{M}_{0,3}$ ----- Na66 Fe21O12Mg2
18	ტომაშეთი (შუახევის რაიონი)	თერმული, სულფატურ-ჰიდროკარბონატული-ნატრიუმიანი	100000	29 C	7.4	SO_4 84 HCO_2 16 $\text{M}_{0,3}$ ----- Na 76 Ca12Fe6Mg6
19	შუახევი (შუახევის რაიონი)	თერმული, გოგირდწყალბადიანი, ქლორიდულ-სულფატური ნატრიუმ-კალციუმიანი	10000	30 C	6.0	C153 SO_4 32 $\text{H}_2\text{SM}_{1,3}$ ----- Na58Ca44
20	შუახევი (ბოგილი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული	86000	6.6 C	5.8	SO_4 52 HCO_3 46C12 $\text{M}_{0,3}$ ----- Na 76 Ca12Fe6Mg6
21	წყალამპარა (შუახევის რაიონი)	ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი	60000	11 C	5.8	HCO_2 84 SO_4 15Cl $\text{M}_{1,0}$ ----- Fe45 Ca35Na 20
22	ბაბანური (შუახევის რაიონი)	ჰიდროკარბონატული ნატრიუმიან-კალციუმიანი	31000	7 C	5.0	HCO_2 87 SO_4 13 $\text{M}_{0,76}$ ----- Na 72 Ca24Fe4
23	გოგოლაძეების წყარო (შუახევის წყარო)	სულფატურ-რკინა-ნატრიუმიანი	3000	10 C	4.3	SO_4 95C15 $\text{M}_{0,25}$ ----- Fe68 Na26A16
24	ჩანჩხალო (შუახევის რაიონი)	ჰიდროკარბონატული რკინიანი	600	8 C	7.6	HCO_2 88 SO_4 12 $\text{M}_{0,76}$ ----- Fe84 Ca10Na 6
25	ჭირუხის ხევი (შუახევის რაიონი)	ჰიდროკარბონატულ-სულფატური-ნატრიუმიან-კალციუმიანი	2000	10 C	6.6	SO_4 28 HCO_2 64Cl8 $\text{M}_{0,87}$ ----- - Na 68 Ca30 Fe2

26	იაკუბარა (შუახევის რაიონი)	ჰიდროკარბონატ-სულფატური ნატრიუმთან-კალციუმთან	12000	9 C	4.6	$\text{HCO}_2 70 \text{ SO}_4 28 \text{ Cl} 2$ $\text{M}_{0,76}$ ----- Ca 58 Na 40 Fe2
27	ტბეთი (შუახევის რაიონი)	სულფატურ-რკინიან-ნატრიუმთან	1200	9 C	3.4	$\text{SO}_4 100$ $\text{Fe}_{1,65} \text{M}_{0,76}$ ----- Na 54 Ca 21
28	წაბლანა (ხულოს რაიონი)	სულფატური რკინიან-ნატრიუმთან	12000	10 C	4.2	$\text{SO}_4 98 \text{ Cl} 2$ $\text{M}_{1,3}$ ----- - Fe54 Na 21 Mg12 Al1
29	დომის წყაროები (შუახევის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმთან ნატრიუმთან	22000	8 C-10 C	3.3-4.8	$\text{SO}_4 64 \text{ HCO}_2 32 \text{ Cl} 4$ $\text{M}_{0,2}$ ----- - Ca34 Na 38 Mg12 Fe7
30	ხიხამირი (ხულოს რაიონი)	ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-სულფატური ნატრიუმთან-კალციუმთან	4500	11 C	6.4	$\text{HCO}_2 38 \text{ Cl} 34 \text{ SO}_4 28$ $\text{M}_{1,0}$ ----- Na 68 Ca24 Mg8
31	დანისპარაული (ხულოს რაიონი)	ჰიდროკარბონატული ნატრიუმთან-მაგნიუმთან	2000	10 C	6.7	$\text{HCO}_2 98 \text{ Cl} 2 \text{ SO}_4 0,8$ $\text{CO}_2 0,8 \text{M}_{4,8}$ ----- Na 68 Ca24 Mg8
32	დიოკნისი (ხულოს რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმთან-კალციუმთან-მაგნიუმთან	2500	11 C	7.7	$\text{SO}_4 56 \text{ HCO}_2 24 \text{ Cl} 20$ $\text{CO}_2 0,8 \text{M}_{4,8}$ ----- Na 44 Ca44 Mg10 Fe2
33	აბანოსყელი (ხულოს რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული რკინიან-კალციუმთან	45000	11 C	6.0	$\text{SO}_4 52 \text{ HCO}_2 48$ $\text{M}_{0,4}$ ----- Fe42 Ca38 Mg 10 Na 8
34	ყინჩაური (ხულოს რაიონი)	ჰიდროკარბონატულ-სულფატური-კალციუმთან-რკინიან	8000	5.5 C	7.5	$\text{HCO}_2 58 \text{ SO}_4 42$ $\text{M}_{0,2}$ ----- Ca 62 Fe35 Na 3
35	მახინჯაური (ხელვაჩაურის რაიონი)	თერმული, გოგირდწყალბადიანი ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-სულფატური ნატრიუმთან-კალციუმთან	240000	26 C	8.4	$\text{Cl} 144 \text{ HCO}_2 26 \text{ SO}_4 8$ $\text{H}_2 \text{S}_{0,007} \text{M}_{0,24}$ ----- Na 88 Ca 8 Mg4
36	ხალა (ქობულეთის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმთან-კალციუმთან	2100	12 C	7.0	$\text{SO}_4 56 \text{ HCO}_2 44$ $\text{M}_{0,18}$ ----- - Na 58 Ca 32 Mg5Fe4
37	შუაღელე (ბობოყვათი, ქობულეთის რაიონი)	გოგირდწყალბადიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმთან	1500	18 C	7.4	$\text{Cl} 180 \text{ HCO}_2 18$ $\text{H}_2 \text{S}_{0,001} \text{M}_{0,4}$ ----- Na 95
38	კვირიკე (ლანჩას აბანო) (ქობულეთის რაიონი)	გოგირდწყალბადიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმთან	6000	16 C	7.6	$\text{HCO}_2 71 \text{ Cl} 22$ $\text{H}_2 \text{S}_{0,003} \text{M}_{0,19}$ ----- Na 83

